ნოდარ ლომოური

ეგრისის სამეფოს ისტორია

(წარმოქმნიდან ახ. წ. V საუკუნის ბოლომდე)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1968

9(C::)
9(47.922+395)
ლ 823

რედაქტორი ოთ. ლორთქიფანიძე.

შ ი ნ ა ა რ ს ი

I თ ა ვ ი. ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს წარმოქმნა 5

II თ ა ვ ი. ეგრისის სამეფო ახ. წ. II—III საუკუნეებში 30

III თ ა ვ ი. დასავლეთ საქართველოს გაერთიანება ეგრისის სამეფოს მეთაურობით 66

IV თ ა ვ ი. ეგრისის სამეფოს ეკონომიური განვითარება ახ. წ. IV—V საუკუნეებში 87

V თ ა ვ ი. ეგრისის სამეფოს კულტურული განვითარების საკითხისათვის 102

История Эгрисского (Лазского) царства с возникновения до V в. н. э. (резюме) 121

History of the Kingdom of Egrissi (Lazica) from its Origin up to the 5th c. A. D. . . . 131

საძიებლები 141

შეშოკლებათა სია 149

წინასიტყვაობა

ახ. წ. IV საუკუნიდან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილ პოლიტიკურ ერთეულს ქართული წყაროები ეგრისს უწოდებენ, ხოლო რომაელი და ბიზანტიელი მწერლები—ლაზიკას, ლაზების სამეფოს. ეგრისის ანუ ლაზეთის სამეფო გარკვეულ პერიოდში მთელ დასავლეთ საქართველოს აერთიანებს და ძველი კოლხეთის მემკვიდრედ გამოდის. თუ ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანაში მთელი დასავლეთი საქართველო კოლხეთად (კოლხიდად) იწოდებოდა, რადგან ამ უძველესი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნაში წამყვანი როლი, ჰეგემონობა კოლხთა ტომს ჰქონდა, გვიანანტიკურსა და ადრეფეოდალურ ხანაში დასავლეთ საქართველოს გამაერთიანებლის როლში სწორედ ლაზთა ტომი გამოდის. VI საუკუნის ბიზანტიელი მწერალი იოანე ლიდე პირდაპირ ამბობს, რომ კოლხიდას იმიტომ ჰქვია ამჟამად ლაზიკე, რომ ამ ქვეყანაში ჰეგემონობა ლაზებს მოუპოვებიათ [1].

ამავე დროის მეორე ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსიც გარკვევით აღნიშნავს: „ლაზებს რომ ძველად კოლხები ეწოდებოდათ და სწორედ ისინი არიან, ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის, თუ კი ის გაეცნობა ფაზისის, კავკასიისა და მათ გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას“[2]. მეორე ადგილას იგივე აგათია წერს: „(ლაზები) ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია არც თუ ისე უსაფუძვლოდ“.[3].

ძველი კოლხეთის სამეფო ძვ. წ. II საუკუნის ბოლოს თუ I საუკუნის დასაწყისში მითრიდატე VI პონტოელის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. მითრიდატე ევპატორის რომაელთაგან გა-

---

[1] Joann. Lydus, De magistr., III, 34, გეორგიკა, ტ. II, 1965, გვ. 236 (ბიზანტიელ ავტორთა ცნობებს ვიყენებთ ს. ყაუხჩიშვილის გეორგიკების მიხედვით; ქვემოთ ყველგან ციტირების დროს G. ნიშნავს „გეორგიკა“-ს, რომაული ციფრი — ტომს, ხოლო არაბული ციფრი — გვერდს).

[2] Agath., II, 18, G., III, 27.

[3] Agath., III, 5, იქვე, 50.

ნადგურების შემდეგ დასავლეთ საქართველო რომის სახელმწიფო გავლენის ქვეშ მოექცა და ხან მის პროვინციალურ მმართველობა ემორჩილებოდა უშუალოდ, ხან რომის ვასალურ სამეფოთა შემად გენლობაში შედიოდა.

ახ. წ. II საუკუნისათვის ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე უკვ რამდენიმე პოლიტიკური ერთეულია წარმოქმნილი და მათ შორი ერთერთი სწორედ ლაზიკის (ეგრისის) სამეფოა, რომელიც შემდ გომში ძლიერდება და მთელ დასავლეთ საქართველოს თავისი ძალა უფლების ქვეშ აერთიანებს.

ეგრისის სამეფო საუკუნეების მანძილზე საქართველოს ტერი ტორიაზე ერთერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ძალას წარმოად გენდა და საკმაოდ რთული ურთიერთობა ჰქონდა როგორც აღმო სავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიასთან, ასევე სასანურ სპარსეთთან როგორც მეზობელ იბერიის (ქართლის) სამეფოსთან, ისე ჩრდი ლოეთ შავიზღვისპირეთში დამკვიდრებულ თუ აქ შემოსეულ მო მთაბარე ტომებთან. ამასთან ეგრისის სამეფოს ისტორია ძირითადად ორი ეპოქის — ანტიკურისა და ფეოდალურის მიჯნაზე მოდის და შინაგანადაც მეტად საინტერესო და რთული სოციალურ-ეკონომი ური და კულტურული მოვლენებით ხასიათდება.

ეგრისის სამეფოს წარმოქმნის დროისა და პირობების, მისი ისტორიის ცალკეული მონაკვეთებისა თუ ფაქტების შესახებ არა ერთი მეცნიერის გამოკვლევა არსებობს (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანა შია, ს. ყაუხჩიშვილი, გ. მელიქიშვილი და სხვ.), მაგრამ მთლიანი მონოგრაფიული შესწავლა მისი ისტორიისა, ეგრისის სამეფოს შე სახებ ყველა არსებული წყაროებისა და მონაცემების თავმოყრა ჯერ არავის უცდია.

წინამდებარე შრომა სწორედ ამ ხარვეზის შევსების ცდას წარ მოადგენს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წერილობითი წყაროები, ისე სადღეისოდ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ყოველთვის ვერ იძლევა საშუალებას ყველა საინტერესო და საჭირო საკითხის გადაწყვეტისა ან თუნდაც სასურველი სისრულით დასმისა. ამიტომ ეგრისის სამეფოს ისტორიის არაერთი საკითხი დღეს დღეობით ღიად უნდა იქნეს დატოვებული და მისი ზოგიერთი მო ნაკვეთიც გაუშუქებელი დარჩება.

I თავი

ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს წარმოქმნა

შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომების შესახებ ცნობები მოგვეპოვება ძვ. წ. VI საუკუნიდან. ძვ. წ. VI—I საუკუნეების მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ძვ. წ. VI საუკუნეში და შემდგომ ხანებში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ მდებარეობს კოლხეთის სახელმწიფო, რომლის ტერიტორია დაახლოებით სოხუმ-ბიჭვინტის სექტორიდან ჭოროხის შესართავის რაიონამდე ვრცელდება. ამ მონაკვეთზე ძველი წყაროები (ჰეროდოტე, ფსევდო-სკილაქს კარიანდელი, სტრაბონი) მხოლოდ ერთ ტომს — კ ო ლ ხ ე ბ ს და მათ ადგილსამყოფელს — კ ო ლ ხ ი დ ა ს ასახელებენ [1].

სხვა ვითარებაა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროებზე: მდ. ჭოროხის შესართავის რაიონიდან სამხრეთით და შემდეგ დასავლეთით ანტიკური ავტორები ასახელებენ ტომების მთელ რიგს; ასეთივე სურათია შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზეც, სოხუმ-ბიჭვინტის სექტორიდან ჩრდილო-დასავლეთით ტამანის ნახევარკუნძულამდე [2].

ამავე დროს, გვიანდელი ხანის ავტორების, კერძოდ ახ. წ. პირველი საუკუნეების მწერლების ცნობები ცხადყოფენ, რომ არც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობა ყოფილა ერთგვაროვანი და აქაც რამდენიმე ტომი მოსახლეობდა. მაშასადამე, უძველეს წყაროებში მცნება „კოლხები“ და „კოლხიდა“ წმინდა პოლიტიკური ხასიათისაა და კოლხეთის სახელმწიფოს აღნიშნავს. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროები არ შე-

[1] ნ. ლ ო მ ო უ რ ი, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, მსკი, ნაკვ. 35, 1963, გვ. 2—35; Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 237.

[2] М. И. М а к с и м о в а, Местное население юго-восточного Причерноморья по „Анабазису“ Ксенофонта, ВДИ, 1951, № 1, გვ. 250-262; ნ. ლ ო მ ო უ რ ი, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები..., გვ. 33—34.

დიოდნენ ამ პოლიტიკურ გაერთიანებაში და ამდენად ამ ტერიტორიებზე მოსახლე ტომები დამოუკიდებელ ერთეულებს წარმოადგენდნენ და ასე არიან ასახული ანტიკურ წყაროებშიაც [1].

შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო, ისტორიული კოლხეთის სამეფო ამ ერთიანობას ინარჩუნებს შემდგომ ხანებშიაც. მითრიდატე VI ევპატორის დროს მთლიანად შედის პონტოს სამეფოს შემადგენლობაში, ასე რჩება იგი რომის სახელმწიფოს გავლენის სფეროში შესვლის შემდეგ ახ. წ. II საუკუნემდე.

მდგომარეობა მკვეთრად იცვლება ახ. წ. II საუკუნის დასაწყისში. ამ პერიოდისათვის ჩვენ გაგვაჩნია თვითმხილველის მეტად სანდო, პირველხარისხოვანი ცნობები დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ვითარების შესახებ. ესაა კაპადოკიის პროვინციის პროკონსულის ფლავიუს არიანეს ნაწარმოები „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ (Περίπλους Εὐξείνου Πόντου). ეს ნაწარმოები წარმოადგენს არიანეს სამმართველო პროვინციისა და მისი უშუალო მეზობელი მხარეების საინსპექციო დათვალიერების ანგარიშს, რომელიც დართული ჰქონია 131 წელს მის მიერ იმპერატორ ადრიანესადმი მიწერილ ლათინურ წერილს [2]. ამ ე. წ. „პერიპლუსში“ არიანე შემდეგს მოგვითხრობს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროთა პოლიტიკური ვითარების შესახებ:

„შემდეგი ტომები გავიარეთ: ტრაპეზუნტელების მოსაზღვრენი, როგორც ქსენოფონტიც ამბობს, არიან კოლხები და ტომი, რომელიც უგულადესია და ტრაპეზუნტელების მოსისხლე მტერი; ქსენოფონტი მას დრილებს უწოდებს, მე კი ვფიქრობ ისინი სანები არიან. ესენი მეტად ქარგი მეომრები არიან და ახლაც დიდი მტრები ტრაპეზუნტელებისა. გამაგრებულ ადგილებში ცხოვრობს ეს ტომი. მეფე არ ჰყავს... ამათ გვერდით არიან მაკრონები და ჰენიოხები, მათი მეფე ანქიალეა. მაკრონებისა და ჰენიოხების მეზობლები — ძიდრიტები ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან. ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან. ლაზების მეფე მალასაა, რომელსაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული.

---

[1] იხ. ნ. ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბილისი, 1962, გვ. 33—34.

[2] არიანეს შესახებ იხ. მ. ინაძე. ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის (ფლავიუს არიანე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ), საკანდიდატო დისერტაცია დაცული საქ. სსრ მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტში. 1953. (იქვე ლიტერატურა).

ლაზების მეზობლები აფსილები არიან, მათმა მეფემ იულიანემ მეფობა მამაშენისაგან მიიღო. აფსილების მეზობლები აბასკები არიან. აბასკთა მეფე რესმაგაა, ამასაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული. აბასკთა მეზობლები სანიგები არიან, მათ მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისი. სანიგთა მეფემ სპადაგამ შენგან მიიღო ტახტი" [1].

ამრიგად, ფლავიუს არიანეს აღწერილობის მიხედვით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე შემდეგი ვითარება ჩანს: ქ. ტრაპეზუნტი კაპადოკიის პონტოს პროვინციაში შედის. მაგრამ ამ პროვინციაში შედის აგრეთვე მისი მოსაზღვრე კოლხეთისა [2] და სანების (ჭანების), ანუ ქსენოფონტესეული დრილების მიწაწყალიც. ამას ჩვენი აზრით, ასაბუთებს არიანეს შემდეგი სიტყვები: „(სანების ტომი) ძველთაგანვე რომაელების მოხარკეა, მაგრამ ყაჩაღურ ცხოვრებას ეწევა და სისტემატურად არ შეაქვს გადასახადი. მაგრამ ამის შემდეგ თუ ღვთის ნება იქნება, ან წესიერად გადაიხდის ეს ტომი გადასახადს, ან ჩვენ მას გავაძევებთ ქვეყნიდან" [3]. რამდენადაც შემდეგ არიანეს მიერ დასახელებულ ტომებს საკუთარი მმართველები (მეფეები) ჰყავთ და მათ მიერ გადასახადის (ხარკის) გადახდაზე არიანე არაფერს ლაპარაკობს, უნდა ვიფიქროთ, რომ სანები, რომელთაც მეფე არ ჰყავთ და რომელნიც ვალდებულნი არიან ხარკი იხადონ, უშუალოდ რომის პროვინციულ მმართველობას ექვემდებარებიან. ამასთან ერთად, როგორც მოტანილი კონტექსტიდან ჩანს, გადასახადის აკრეფა და ხარკის გადაუხდელობისათვის დასჯა არიანეს, როგორც კაპადოკიის პროკონსულის, იურისდიქციაში შედის, ე. ი. ეს მხარე, ყოველ შემთხვევაში ფორმალურად, კაპადოკიის პონტოს შემადგენლობაში ითვლება.

სანებით (დრილებით) დასახლებულ ტერიტორიას უკვე უშუალოდ მაკრონებისა და ჰენიოხების გაერთიანებული სამეფო მოსდევს. ის გარემოება, რომ მაკრონებსა და ჰენიოხებს ერთი მეფე — ანქიალე — ჰყავთ, ცხადყოფს, რომ ეს ორი ტომი ერთ სამეფოში ყოფილა გაერთიანებული. ცოტა უფრო ზევით არიანე აღნიშნავს, რომ

---

[1] Arrian., PPE, § 11; ქართული თარგმანი მოგვაქვს ყველგან ნ. კეჭაღმაძის გამოცემით: ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი. გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაღმაძისა, 1961.

[2] აქ „კოლხები" ვიწრო, ეთნიკური მცნებაა, ისევე როგორც ქსენოფონტესთან.

[3] Arrian., PPE, § 11.

ანქიალეს სასახლე ყოფილა მდ. პრიტანიდთან[1]. ამ ცნობას თავის დროს ყურადღება მიაქცია ს. ჯანაშიამ, რომელმაც სავსებით სამართლიანად გააიგივა რა მდ. პრიტანიდი თანამედროვე მდ. ფურტუნასთან (ფურტუნა-სუ ანუ აბოვიწე)[2], დასძინა, რომ „რადგანაც საფიქრებელია, რომ მეფის რეზიდენცია დიდად დაშორებული არ უნდა ყოფილიყო სამეფოს ცენტრალურ რაიონს, ამიტომ შეიძლება მივიღოთ, რომ არიანეს მაკრონ-ჰენიოხებს ეჭირათ თანამედროვე ჰანეთის ნაწილი ცენტრით დაახლოებით ქ. ათინასთან“[3].

სადამდე ვრცელდებოდა ჩრდილოეთით მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს მიწაწყალი, ე. ი. სად გადიოდა საზღვარი მასა და მის მეზობელ ზიდრიტთა ტომის ტერიტორიას შორის, ძნელი სათქმელია. არიანეს „პერიპლუსის“ V საუკუნის რედაქტორის, ე. წ. „ანონიმის“ ცნობით მაკრონ (მახელონ)-ჰენიოხთა ადგილსაცხოვრისის ჩრდილოეთ საზღვარს წარმოადგენდა მდ. არქაბისი[4]. სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია არქაბისის თანამედროვე მდ. არხავესთან გაიგივება, მაგრამ ჩვენ თავის დროს ვცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ არქაბისის და მდ. არხავეს გაიგივება, მიუხედავად საცთურისა, რომელსაც სახელთა იგივეობა ჰქმნის, არ შეიძლება და გამოვთქვით მოსაზრება, რომ არქაბისი უნდა ვეძიოთ დაახლოებით იქ, სადაც მდებარეობს სოფ. ხოფა; სწორედ ხოფადან სულ 1,5 კმ დაშორებით ზღვას უერთდება მდ. ორხოფი, რომელსაც არიანეს მიერ მოცემული მანძილითაც და სახელწოდებითაც კარგად შეეფერება არქაბისი[5]. თუ ეს ასეა, მაშინ, V ს. ანონიმის მიხედვით, მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს ტერიტორიას ზიდრიტებისაგან სწორედ ეს მდ. ორხოფი უნდა საზღვრავდეს.

მაგრამ ჩვენი ყურადღება ერთმა გარემოებამ მიიპყრო. არიანე თავის „პერიპლუსში“ საგანგებოდ აგვიწერს ციხე-სიმაგრე აფსაროსს, რომელიც ამ აღწერით საკმაოდ ძლიერ ცენტრს წარმოადგენდა. აქ, არიანეს თქმით, იდგა 5 კოჰორტა, ე. ი. ლეგიონის ნახევარი, რაც გარნიზონისათვის საკმაო ძალას წარმოადგენდა; აფსაროსს

---

[1] Arrian., PPE, § 7.

[2] ამავე ლოკალიზაციას ახდენენ სხვა სპეციალისტებიც; იხ. მაგ. C. Müllerus, Cl. Ptolemaei Geographiae, vol. I, pars III, Parisii, 1901, გვ. 869.

[3] ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, შრომები, ტ. III, 1959, გვ. 22—23.

[4] Anonym., PPE, § 1.

[5] ნ. ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები..., გვ. 13—14.

ჰქონია თავდაცვითი ნაგებობები — გალავანი და თხრილი; არიანეს საგანგებოდ დაუთვალიერებია აქაური საფორტიფიკაციო საშუალებები და შეუმოწმებია პურის დამზადების ვითარება[1]. მაშასადამე, აფსაროსი რომაელთა ხელში ყოფილა, აქ ძლიერი რომაული გარნიზონი მდგარა და ე. ი. ეს სიმაგრე რომის ხელქვეით ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო.

მეორე მხრივ, მაკრონ-ჰენიოხთა მეზობელი ზიდრიტების შესახებ არიანე ამბობს, რომ ისინი „ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან". აქ იგულისხმება იბერიის იმდროინდელი მეფე ფარსმან II, რომლის დროსაც გაძლიერებულ იბერიას გზა გაუკვლევია შავი ზღვის სანაპიროზე. ზიდრიტთა ტომზე თავისი ძალაუფლება გაუვრცელებია და შეჰრილა რომის გავლენის ქვეშ მყოფ სამფლობელოებში[2]. ასეთ ვითარებაში ცხადია, რომ რომაელთა კუთვნილი აფსაროსი არ შეიძლება ზიდრიტების ტერიტორიაზე ვიგულისხმოთ.

ციხე-სიმაგრე აფსაროსი, როგორც ეს სადღეისოდ გარკვეულია, მდებარეობდა აწინდელ გონიოსთან, სადაც არქეოლოგების მიერ დღეს მისი ნაშთებია მიკვლეულ-შესწავლილი[3]. მაშასადამე, ზიდრიტების ტერიტორია ან აწინდელი გონიოს სამხრეთით უნდა ყოფილიყო, ან მის ჩრდილოეთით. თუ ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ ზიდრიტები გონიო-აფსაროსის სამხრეთით მოსახლეობდნენ, მაშინ მათთვის ზღვის სანაპიროზე რჩება მეტად ვიწრო ზოლი მდ. ორხოფიდან გონიომდე (სულ რაღაც 10-11 კმ). ასეთ ვითარებაში აფსაროსი უკვე ლაზების მიწაწყალზე უნდა ვივარაუდოთ, რადგან არიანე პირდაპირ ამბობს, რომ ზიდრიტების მეზობლები ლაზები არიან.

მაგრამ ზიდრიტები რომ ასეთი უმნიშვნელო ტომი ყოფილიყო, რომ მათი ტერიტორია მხოლოდ 10-ოდე კილომეტრით განსაზღვრულიყო სანაპიროზე, საეჭვოა, ისინი იბერიის სახელმწიფოსათვის საკმარისი დასაყრდენი გამხდარიყვნენ ზღვის სანაპიროზე გამოჭრისა და რომის ხელქვეით ტერიტორიათა გათიშვისათვის.

---

[1] Arrian., PPE, § 6.

[2] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 131, 137—138, 353.

[3] ი. გრძელიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I. 1964, გვ. 59—92; ო. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე. მასალები ბათუმის რაიონის არქეოლოგიური შესწავლისათვის, სმამ, ტ. XXI, №6, 1960; შეად. Ф. И. Успенский, Старинная крепость в устье Чорохи, ИАН, 1917, № 2, გვ. 163 და შემდეგ.

მეორე მხრივ, ჩვენ არ მიგვაჩნია შესაძლებლად ლაზების სამოსახლო II საუკუნეში ასე შორს სამხრეთისაკენ გავრცელებულად წარმოვიდგინოთ: ლაზეთის სამეფოს გაძლიერებისა და ტერიტორიული გაფართოების შემდეგაც მისი სამხრეთის საზღვარი მდ. ჭოროხის შესართავს სამხრეთით არ სცილდებოდა და აფსაროსიდან ერთი დღის სავალით იყო დაცილებული[1].

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა დავასკვნათ, რომ ზიდრიტების ტომი აფსაროსის ციხე-სიმაგრის ჩრდილოეთით ვრცელდებოდა და, მაშასადამე, მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს ტერიტორია არა მარტო მდ. ორხოფამდე, არამედ მდ. ჭოროხის შესართავის მახლობლად მდებარე აფსაროსამდეც აღწევდა. ზიდრიტებს კი, როგორც ჩანს, ეკავათ ჭოროხის შესართავის ჩრდილოეთით თანამედროვე აჭარა-ქობულეთის მხარე[2].

ზიდრიტებს, არიანეს მიხედვით, ლაზები ესაზღვრებოდნენ. მათ მიწა-წყალზე მოედინებოდა მდ. ფაზის-რიონი და მდებარეობდა ქ. ფიზისი[3]. მაშასადამე, ლაზებს ეჭირათ დასავლეთ საქართველოს ცენტრალური რაიონი რიონის ორივე მხარეზე და, როგორც ს. ჯანაშიას აქვს გარკვეული, მათი მიწა-წყალი ვრცელდებოდა აჭარა-ქობულეთის საზღვრიდან დაახლოებით მდ. ხობამდე[4]. მერმინდელი წყაროებიც ადასტურებენ ამ დასკვნას[5].

რამდენადაც, არიანეს სიტყვით, ქ. სებასტოპოლისი (აწინდ. სოხუმი) სანიგების ტერიტორიაზე მდებარეობდა, ლაზების ჩრდილოეთი მეზობლებისათვის — აფსილებისა და აბაზგებისთვის ზღვის სანაპიროზე რჩება მდ. ხობსა და სებასტოპოლის-სოხუმს შორის მდებარე სექტორი. სანიგების მიწა-წყალი კი ვრცელდებოდა სებასტოპოლისიდან მდ. აქეუნტამდე, ანუ აწინდელ მდ. შახემდე[6].

აღნიშნულ სამეფოთა წარმოქმნის თარიღს პირველად ს. ჯანაშია შეეხო. იგი ყურადღებას აქცევს არიანეს ცნობას, რომ აფსილების მეფემ იულიანემ მეფობა იმპერატორ ადრიანეს მამისაგან მიიღო. აქ, ცხადია, იგულისხმება ადრიანეს წინამორბედი და მამობილი

---

[1] იხ. ნ. ლომოური, ლაზეთის სახელწოდების საკითხისათვის, მაცნე. 1965, № 5, გვ. 74—75; შეად. Procop., De BP, 11, 29, G., II, 96

[2] ს. ჯანაშია აღნიშნავს, რომ ზიდრიტები აჭარა-ქობულეთის სანაპირო ზოლის ციხე-სიმაგრებამდე ცხოვრობდნენ, იხ. მისი „თუბალ-თაბალი...", გვ. 23.

[3] Arrian. PPE, § 8—9.

[4] ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი..., გვ. 23.

[5] ნ. ლომოური, ლაზეთის სახელწოდების საკითხისათვის, გვ. 74—75.

[6] Arrian., PPE, § 18, აქეუნტისა და შახეს გაიგივების შესახებ იხ. Ф. Брун, Черноморье, т. II, Одесса, 1890, გვ. 257.

ტრაიანე (98—117 წწ.). ამდენად, ს. ჯანაშიას აზრით, ეს სამეფოები უნდა ჩამოყალიბებულიყო, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს ახ. წ. პირველი საუკუნის მეორე ნახევრისა[1].

ამ სამეფოთა წარმოქმნის თარიღს შეეხო აგრეთვე გ. მელიქიშვილი. მან ყურადღება მიაქცია არიანეს იმ ცნობას, რომ ყველა მეფეებმა თავისი ძალაუფლება მიიღეს თვით ადრიანესაგან, ხოლო აფსილების მეფემ იულიანემ — ტრაიანესაგან და აგრეთვე იმ გარემოებას, რომ განსხვავებით ლაზების, აბაზგებისა და სანიგების მეფეთა სახელებისაგან, რომელნიც ადგილობრივ იერს ატარებენ, აფსილების მეფის — იულიანეს სახელი აშკარად რომაულია. ამის საფუძველზე გ. მელიქიშვილი ვარაუდობს, რომ მეფედ დამტკიცების პრაქტიკა დამკვიდრდა აფსილების მიმართ შედარებით ადრე — ტრაიანეს დროს, ხოლო დანარჩენთა მიმართ—ადრიანეს ხანაში[2].

ეს მოსაზრება უდავოდ ანგარიშგასაწევია, მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა ერთ გარემოებაზე შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება, რადგან მას გარკვეული მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს ამ ფაქტის კვლევისას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ს ო რ ნ ე ლ ი უ ს ტ ა ც ი ტ უ ს ი ს ცნობები ახ. წ. 70-იან წლებში პონტოში მომხდარი ე. წ. ანიკეტის აჯანყების შესახებ. როდესაც ტაციტუსი აღწერს ამ აჯანყებას, იგი აღნიშნავს, რომ ანიკეტმა თავი შეაფარა მდ. ხობს, სადაც მას შემწეობას უწევდა ს ე დ ო ხ ე ზ ე ბ ი ს მ ე ფ ე (Sedochezorum regis)[3].

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია აღნიშნულია, რომ რამდენადაც სედოხეზების მეფე მდ. ხობთან კავშირში ჩანს, აქ რეალურ-ისტორიულად უნდა ლაზების მეფე იგულისხმებოდეს, ე. ი. ტაციტუსის ტექსტში აქ ან შეცდომაა დაშვებული ტომის სახელის გადმოცემისას, ან შეიძლება „სედოხეზები" ერთერთი ლაზური ტომის სახელი იყოს[4]. მეორე მხრივ, ჯერ კიდევ ს. ჯანაშიამ აღნიშნა, რომ „სედოხეზების მეფის" ქცევა გვარწმუნებს, რომ იგი არ შეიძლება იყოს ტომის ბელადი, არამედ არის ჰატარა დინასტი, ნამდვი-

---

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, ტ. I. 1949, გვ. 210.

[2] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 372.

[3] Tacit., Hist., III. 47—48.

[4] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. I, გვ. 190; А. И. Болтунова (Амиранашвили), Восстание Аникета, ВДИ, 1939, № 2, გვ. 58; გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, რომის ექსპანსიის წინააღმდეგ შავი ზღვის სანაპიროზე პირველ საუკუნეში ქართველ ტომთა აჯანყების შესახებ, თსუ შრომები, ტ. 37, 1949, გვ. 131—152.

ლი მეფე[1]. ასეთ ვითარებაში გამოდის, რომ უკვე ახ. წ. I ს. 70-იან წლებში ლაზებს თავისი მეფე ჰყავთ და ამდენად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ სამეფოს წარმოქმნა ქრონოლოგიურად ტრაიანეს ხანასთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ უფრო ადრეულ ეპოქასთან, შესაძლოა I ს. შუა წლებთან. თუკი ეს მოსაზრება გამართლდა. მაშინ შეიძლება დავუშვათ, რომ არიანეს ცნობები აღნიშნულ მეფეთა ადრიანესაგან თუ ტრაიანესაგან მეფედ დანიშვნის თუ დამტკიცების შესახებ, სრულიადაც არ ნიშნავს ამ სამეფოთა თავდაპირველ წარმოქმნას. სრულიად დასაშვებია, რომ ჩამოთვლილ მეფეთა წინამორბედებსაც თავისი ხელისუფლება უფრო ადრე, სხვა იმპერატორთაგან მიეღოთ[2]. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ აშკარაა, რომ ამ სამეფოთა წარმოქმნის post quem non თარიღად უნდა მივიჩნიოთ I ს. დასასრული.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილ პოლიტიკურ ერთეულთა ჩამოყალიბების პირობებისა და ამ სამეფოთა ხასიათის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული.

ივ. ჯავახიშვილი, იხილავს რა არიანეს ცნობებს, აღნიშნავს, რომ „ლაზთა მეფე წინანდელ კოლხეთის მეფის მსგავსად მთელი ქვეყნის, მთელი დასავლეთ საქართველოს უზენაესი მფლობელი აღარ ყოფილა. აფშილების, აფხაზებისა და სანიგების მეფეებს თავიანთი ხელისუფლება ლაზთა მეფისაგან კი არ ჰქონდათ მიღებული, არამედ რომის კეისრისაგან, რომლისგანაც თვით ლაზთა მეფეც ყოფილა დამტკიცებული. მაშასადამე, მათ შორის უფლებრივად თითქოს არავითარი განსხვავება არც უნდა ყოფილიყო, განსხვავება შეიძლება მნიშვნელობაზე ყოფილიყო უმთავრესად დამყარებული“[3].

რაც შეეხება ერთიანი კოლხეთის ნაცვლად რამოდენიმე სამეფოს წარმოქმნას, ივ. ჯავახიშვილი ამას მთლიანად რომის პოლიტიკას მიაწერს. „როგორც ჩანს, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — რომაელებს თავიანთი საყვარელი პოლიტიკური მცნება (divide et impera) აქაც განუხორციელებიათ და გაერთიანებული კოლხეთის მაგიერ ოთხი სამეფოს შექმნისათვის ხელი შეუწყვიათ“[4].

ივ. ჯავახიშვილის ეს მოსაზრება არ გაიზიარა ს. ჯანაშიამ. მისი შეხედულებით, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ოთხი სა-

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. I, გვ. 189.

[2] ასეთ ახსნას დასაშვებად თვლის გ. მელიქიშვილიც, იხ. მისი К истории древней Грузии, გვ. 372.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბილისი, 1951, გვ. 173.

[4] იქვე, გვ. 174.

მთავროს არსებობა არის არა გარეშე ძალის (რომის) მიერ თავზე მოხვეული მდგომარეობა, არამედ ნაყოფია თვით ქვეყნის საკუთარი, შინაგანი განვითარებისა. ასეთი პოლიტიკა (divide et impera), ს. ჯანაშიას აზრით, კოლხეთის მიმართ რომს არც სჭირდებოდა, რადგან კოლხეთი მის ხელთ გადავიდა დასუსტებული. პოლიტიკურ ერთიანობასა და დამოუკიდებლობას მოკლებული [1].

ს. ჯანაშია, არიანეს მონაცემთა ანალიზის და ტერმინ „მეფის" (βασιλεύς) მაშინდელი შინაარსის გარკვევის საფუძველზე ადგენს, რომ ეს სამეფოები თუ სამთავროები უკვე გვაროვნულ-ტომურ ორგანიზაციებს აღარ წარმოადგენდნენ, „არამედ გარკვეული, თუმცა პრიმიტიული, სოციალური დიფერენციაციის ნიადაგზე არიან აღმოცენებულნი" [2].

რაც შეეხება თვით ამ დიფერენციაციის ხასიათს, ს. ჯანაშიას აზრით, ამ სამეფოებში უაღრესი სიძლიერითაა გამოხატული გვაროვნული წყობილების ნაშთები, გარკვეული წონა აქვს პირველყოფილ მონობასაც, მაგრამ ამ ელემენტების გვერდით და მათთან შედარებით უპირატესადაც წარმოდგენილია ფეოდალური ურთიერთობის ჩანასახებიც. აღნიშნულ მეფეთა თუ მთავართა ხელისუფლებაც ს. ჯანაშიას აღრინდელ-ფეოდალური დიფერენციაციის ნიადაგზე წარმოშობილად მიაჩნია [3].

დღეს უკვე შეუძლებელია ლაპარაკი ახ. წ. II ს. დასავლეთ საქართველოში „პრიმიტიული სოციალური დიფერენციაციის" შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დასრულდა კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი და შეიქმნა კოლხეთის საკმაოდ განვითარებული სახელმწიფო [4]. ამიტომ ცხადია, ექვსი საუკუნის შემდეგ აქ არ შეიძლებოდა საქმე გვქონოდა პრიმიტიულ სოციალურ დიფერენციაციასთან.

---

[1] ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 211—212. მისივე, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრომები, ტ. II, 1952, გვ. 312.

[2] ს. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, გვ. 308—312.

[3] იქვე, გვ. 308—312.

[4] იხ. გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, 1955; მისივე, К вопросу о возникновении классового общества и первых государственных образований в Грузии, ВИ, 1956, № 4, გვ. 87—96; მისივე, К истории древней Грузии, გვ. 236—251; Ш. А. Месхия, Н. Ю. Ломоури, О. Д. Лордкипанидзе, К вопросу о происхождении государства и существовании рабовладельческой формации в Грузии, ВИ, 1957, № 7, გვ. 104—120.

მეორე მხრივ. აღნიშნულ სამეფოთა წარმოქმნის პროცესის ანალიზისას აქცენტის შინაგან, ადგილობრივ პირობებზე გადატანა სავსებით მართებულია და ს. ჯანაშიას ეს დებულება უდავოდ ანგარიშგასაწევია. რაც შეეხება იმ სოციალური დიფერენციაციის რაობის საკითხს, რომლის ნიადაგზე წარმოიშვა ეს სამეფოები, იგი მეტად რთულ პრობლემად რჩება; ჩვენ მას ცოტა ქვევით შევეხებით.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეულ სამეფოთა წარმოშობის საკითხს კვლავ მიუბრუნდნენ საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს ავტორები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არიანეს მიერ დასახელებულ სამეფოთა წარმოქმნის ახსნამ რამოდენიმეჯერ განიცადა ცვლილება. სახელმძღვანელოს მაკეტში ეს მოვლენა ასე იყო შეფასებული: „ამ ტომთა (იგულისხმება მაკრონ-ჰენიოხები, ლაზები, აფშილები, აბასკები და სანიგები, ნ. ლ.) მიწაწყალს უწინ, დამოუკიდებლობის ხანაში, კოლხთა მეფის სახელით სკეპტუხები განაგებდნენ, ახლა ის „ბასილევსებს“ ემორჩილებოდა. ეს იყო გარკვეული პოლიტიკური რეაქცია, ძველისაკენ ხელოვნურად უკუქცევის ცდა, რასაც მიმართავდნენ, სანამ შეეძლოთ, რომაელი დამპყრობლები“[1].

ამრიგად, აღნიშნულ სამეფოთა წარმოქმნა აქ ისევ რომაელთა პოლიტიკით აიხსნება და ფაქტიურად გამეორებულია ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება[2].

საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში რომის როლი ამ მოვლენასთან დაკავშირებით ისე მკვეთრად აღარ არის ხაზგასმული. ლაპარაკია „ახლად წინწამოწეულ პოლიტიკურ მეთაუ-

---

[1] საქართველოს ისტორია. ნაწ. I, მაკეტი, 1956, გვ. 88—89.

[2] მაკეტის ეს დებულება გააკრიტიკა ნ. კეჭაღმაძემ, ფლავიუს არიანეს პერიპლუსის გამოცემის შესავალში. ნ. კეჭაღმაძე მართალია, როდესაც ამ სამეფოთა წარმოქმნაში რომის გადამწყვეტ როლს უარჰყოფს, მაგრამ იგი აშკარად აჭარბებს, როდესაც აცხადებს, რომ რომი ფაქტიურად სრულიად არ ერეოდა ქვეყნის შინაგან საქმეებში და მას არც სურვილი ჰქონია აქ რაიმე ახალი წყობა დაემყარებინა. მისი აზრით, რომს მხოლოდ „სამხედრო ვალდებულება და მცირე ხარკის გაღება“ აინტერესებდა“ (იხ. ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. ნ. კეჭაღმაძის გამოცემა, გვ. 13—14). ცხადია, ასეთი შეხედულება სინამდვილეს არ შეეფერება, სანამ რომს შესაძლებლობა ჰქონდა, ის დიახაც ერეოდა ქვეყნის, კერძოდ კოლხეთის შინაგან ცხოვრებაში და საკუთარი მოსაზრებით სცვლიდა აქ ხელისუფლების ფორმას (ჯერ თავისი მმართველი — არისტარხე დანიშნა აქ, შემდეგ კოლხეთი პოლემონის პონტოს შეუერთა, შემდეგ ნერონის დროს უშუალოდ პროვინციად გამოცხადდა და ა. შ.). ისე რომ, რომის ხელისუფლებას უდავოდ აინტერესებდა ქვეყანაში მისთვის უფრო ხელსაყრელი მმართველობის წესის შემოღება და როცა შეეძლო, ამას კიდეც აკეთებდა.

რებზე". „სამხედრო დემოკრატიების გაძლიერებულ ბელადებზე", მაგრამ მათი დამოუკიდებელ მეფეებად ქცევა მაინც რომის კეისრებისაგან მათი დაწინაურებით არის ახსნილი[1].

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს საბოლოო ვარიანტში კი ეს საკითხი უკვე სრულიად ახლებურად არის გადაწყვეტილი. აღნიშნულ სამეფოთა წარმოქმნა დაკავშირებულია იმ დროისათვის კოლხეთის ცენტრალურ რაიონებში მთიელთა დიდი ტალღის ჩამოსახლებასთან და მის ადგილობრივ, მონათესავე ტომებთან შერევასთან[2]. სახელმძღვანელოს ამ ვარიანტში ეს თავები გ. მელიქიშვილის ავტორობით არის შესრულებული და აქ აღნიშნული დებულება მას ვრცლად და სათანადო საბუთიანობის მოტანით მოცემული აქვს თავის მონოგრაფიაში „К истории древней Грузии".

გ. მელიქიშვილი საკმაოდ ფართოდ ეხება ამ საკითხს. მისი აზრით, ძვ. წ. I ს. დასაწყისიდან კოლხეთის ტერიტორიაზე ხდება მთიელ ტომთა „მრისხანე სტიქიის" მოძალება. მისი მსჯელობა ძირითადად შემდეგ მონაცემებს ემყარება:

კოლხეთის ჩრდილო რაიონებში და მათ მეზობლად, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ, ცხოვრობდნენ, ერთი მხრივ, შედარებით უფრო დაწინაურებული კერკეტები და, მეორე მხრივ კი — გვაროვნული წყობილების საფეხურზე მდგომი, მეომარი და მეკობრე აქეელები და ჰენიოხები, რომლებიც მეკობრეობითა და შავი ზღვის სანაპიროთა ძარცვით ირჩენდნენ თავს. დაახლოებით ძვ. წ. I ს. დასაწყისისათვის ამ ტერიტორიაზე კავკასიონის გადალმიდან ჩამოსახლებულან ჯიქები და დაუკავებიათ კერკეტების ტერიტორია. ამის შედეგად აღნიშნულ რაიონებში ხდება ტომთა მნიშვნელოვანი გადაადგილება[3]. ჯიქების ჩამოსახლების შემდეგ მთელ ტერიტორიაზე სოხუმიდან გელენჯიკსა და ნოვოროსიისკამდე მყარდება მეომარ მთიელთა შეუზღუდველი (безраздельное) ბატონობა; ესენი არიან ჯიქები, ჰენიოხები და აქეელები, რომლებიც მეკობრეობით ირჩენენ თავს[4]. იგივე ტომები, გ. მელიქიშვილის აზრით, უტევდნენ ცენტრალურ კოლხეთსაც და სდევნიდნენ რიგი ოლქებიდან ძველ ადგილობრივ მოსახლეობას. ასე გაჩნდნენ ახ. წ. I ს. ზღვისპირა ზოლში ს ა ნ ი გ ე ბ ი (დიოსკურიის რაიონში),

---

[1] საქართველოს ისტორია, წ. I, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, გვ. 84.

[2] საქართველოს ისტორია, სახელმძღვანელო VIII—X კლასებისათვის, 1960, გვ. 55.

[3] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 87 — 88; 307—308.

[4] იქვე, გვ. 364.

აბაზგები (მის სამხრეთით) და აფშილები (კიდევ უფრო სამხრეთით). „ყველა ისინი, უდავოა, — აღნიშნავს გ. მელიქიშვილი, — იმყოფებოდნენ იმ მრისხანე სტიქიის შემადგენლობაში, რომელიც ჯიქების, ახეელებისა და ჰენიოხების სახელწოდებით ბატონობდა ჩრდილოეთ კოლხეთში და მეზობელ ოლქებში"[1].

ცენტრალური კოლხეთისაკენ მთის ტომების მოძალების მეორე კერას, პროფ. გ. მელიქიშვილის აზრით, წარმოადგენდა აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთის ოლქები, სადაც ძველად აგრეთვე გვაროვნული წყობილების რღვევის საფეხურზე მდგომი მეომარი ტომები მოსახლეობდნენ. ეს მთიელი ჭანური ტომები იჭრებიან სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ზღვის სანაპირო ზოლში. ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით მდებარე რაიონებში, ძველი დროიდანვე აქ მოსახლე მაკრონებთან ერთად, ამიერიდან აქტიურ როლს ასრულებენ ჰენიოხები, მათ ჩრდილოეთით—ზიდრიტების ტომები, ხოლო უფრო ჩრდილოეთით, ცენტრალური კოლხეთის სანაპირო ზოლში აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთიანეთიდან აქ ჩამოსახლებული ჭანური ტომი — ლაზები[2].

ამრიგად, გ. მელიქიშვილის აზრით, ძვ. წ. I ს. დასაწყისიდან კოლხეთის ტერიტორიაზე ხდება მთიელ ტომთა „მრისხანე სტიქიის" მოძალება. ჩრდილოეთით, კოლხეთის ჩრდილო რაიონებში, ჯერ ჰენიოხები და აქეელები არიან, შემდეგ ჩამოდიან სანიგები, აბაზგები და აფშილები; სამხრეთით ამ შემოტევის შედეგად ჩნდებიან ჰენიოხები და ზიდრიტები, ხოლო ცენტრალურ კოლხეთში — ლაზები. ამ ტომთა მოძალების წინააღმდეგ ბრძოლის უპირსპექტივობა აპირობებს იმ ფაქტს, რომ რომმა ვერ შესძლო კოლხეთის პროვინციად ქცევა, მეორე მხრივ კი, კოლხეთის მოსახლეობის ამ „ბარბარიზაციამ" გამოიწვია უფრო გვიან კოლხეთის ტერიტორიაზე იმ ცალკე პოლიტიკურ ერთეულთა ჩამოყალიბება, რომელთაც არიანე ასახელებს[3].

გ. მელიქიშვილის ამ მოსაზრების მთავარი საბუთია ის, რომ ყველა ეს, მისი აზრით, ჩამოსახლებული ტომები, წყაროებში პირველად ახ. წ. დამდეგიდან იხსენიებიან. მაგრამ ვფიქრობთ, ეს საბუთი მაინცა და მაინც მყარი არ უნდა იყოს. განა ამა თუ იმ ტომის სა-

---

[1] იქვე, გვ. 367; უნდა აღინიშნოს, რომ გ. მელიქიშვილი ძირითადად, ზოგიერთი შესწორებებით, იმეორებს ამ საკითხზე კისლინგის აზრს, იხ. RE, VIII Bd. s. v. „Heniochi".

[2] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 365.

[3] იქვე. გვ. 367—375.

ტელწოდების ამოტივტივება წყაროებში ყოველთვის და უსათუოდ ამ ტომთა ჩამოსახლების, მათი მოცემულ ტერიტორიაზე რეალურად პირველად გაჩენის მაუწყებელია?

ზევით ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ძვ. წ. VI—ახ. წ. II საუკუნეების ანტიკური მწერლები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე მთელ რიგ ტომებს ასახელებენ, ხოლო აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ კი, მხოლოდ ერთ ტომს — კ ო ლ ხ ე ბ ს (ჰეროდოტე, ფსევდო-სკილაქსი). ან მათ შვეყანას — კოლხიდას (სტრაბონი). აქვე ნათქვამი გვქონდა, რომ ამ შემთხვევაში „კოლხები", „კოლხიდა" პოლიტიკური მცნებაა და კოლხეთის სახელმწიფოს აღნიშნავს. შეიძლება თუ არა წარმოვიდგინოთ, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ, ბიჭვინტა-სოხუმის რაიონიდან, ვიდრე ჭოროხის შესართავის სექტორამდე, მხოლოდ ერთი ტომი — კოლხები მოსახლეობდნენ, რომ აქ მდეშარე ეს ვრცელი სახელმწიფო მხოლოდ ერთი ტომის — კოლხების ორგანიზაციას წარმოადგენდა? ცხადია, ეს გამორიცხულია. ვიმეორებთ, ამ შემთხვევაში ტერმინები „კოლხები" და „კოლხიდა" პოლიტიკური, კრებითი მნიშვნელობისაა და ასე აქვს გაგებული გ. მელიქიშვილსაც [1]. მაშასადამე, კოლხეთის ერთიანი სახელმწიფოს არსებობის ხანაში ძველი წყაროები არ ასახელებს ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალ ტომებს, ყველა მათ სახელს ფარავს პოლიტიკური, კრებითი შინაარსის სახელწოდება — „კოლხები", „კოლხიდა". ამიტომ ჩვენ არ ვიცით ვინ მოსახლეობდა ძველიდანვე დიოსკურია-სებასტოპოლისის რაიონში, მის სამხრეთით ან ცენტრალურ კოლხეთში.

მაგრამ შემდეგ ვითარება იცვლება. კოლხეთის სამეფო სუსტდება, მას ჯერ მითრიდატე VI ევპატორი იპყრობს, შემდეგ — რომი. კოლხეთი ხდება ბოსფორისა და პონტოს მმართველთა ურთიერთშორის ბრძოლის სარბიელი. ყოველივე ეს, ცხადია, კოლხეთის სამეფოს ტომთა ისედაც სუსტ კონსოლიდაციას კიდევ უფრო არღვევს და ამ ტერიტორიაზე მოსახლე ეთნიკურ ერთეულთა დამოუკიდებლობის ზრდას იწვევს. უდავოა, ამ პროცესს ხელს უწყობს აღნიშნულ ტომთა შინაგანი განვითარებაც (საწარმოო ძალთა ზრდა, ვაჭრობის გაფართოება, ფულადი მეურნეობის განვითარება). ყოველივე ამას ზედ ერთვის ისიც, რომ რომში უკეთ ეცნობიან კოლხეთის რეალურ მდგომარეობას და მის შინაგან ვითარებას. სწორედ ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო რომაულ მწერლობაში უფრო დაწვრი-

---

[1] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 63—66

ლებითი ცნობები ჩნდება ამ მხარის შესახებ და კერძოდ ჩნდება ცნობები იმ ტომთა შესახებაც, რომლებიც მანამდეც მოსახლეობდნენ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ მათი სახელწოდებანი იფარებოდა კოლხებისა და კოლხეთის ზოგადი სახელით [1].

ერთი სიტყვით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან ანტიკურ წყაროებში ჩნდება დასახელება აფშილების, აბაზგებისა და სანიგების (ჩრდილოეთ კოლხეთში), ლაზების (ცენტრალურ კოლხეთში), ჰენიოხებისა და ზიდრიტების (სამხრეთ კოლხეთში), ჯერ კიდევ არ არის საკმარისი საბუთი იმისათვის, რომ აღნიშნულ ტომთა აქ ჩამოსახლება ვივარაუდოთ.

კიდევ უფრო რთულად დგას საკითხი სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან დაკავშირებით. ანტიკურ წყაროებში ამ ადგილებში მოსახლე იმდენი სხვადასხვა სახელის ტომი გვხვდება, რომ ძალზე ძნელია მათი რეალური მნიშვნელობის გარკვევა. ჩვენ აქ მოვიყვანთ გ. მელიქიშვილის სიტყვებს, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ახალი სატომო სახელის გაჩენა წყაროებში ჯერ კიდევ არ ნიშნავს რეალურად ახალი ტომის ჩამოსახლებას მოცემულ ტერიტორიაზე: «Конечно, наличие многих разных племенных названий еще не значит, что мы имеем дело с племенами разного этнического происхождения, или даже, вообще с разными племенами. Имеются названия, которые покрывают друг друга... Некоторые названия являются греческими нарицательными (описательными) названиями и не могут рассматриваться как названия определенных племен, которые в других случаях так же могли выступать под другими именами. В ряде случаев мы имеем дело с искажениями или модификацией племенных названий и т. д. Один и тот же этнический коллектив в источниках мог выступать под разными названиями вследствии заимствования этих последних из разноязычных источников или посредством разных соседей» [2].

ვფიქრობთ, ეს უდავოდ მართებული მსჯელობა ძნელი დასაკავშირებელია თვით გ. მელიქიშვილის მიერ ტომთა ჩამოსახლების დასამტკიცებლად მოტანილ ზევით დასახელებულ საბუთიანობასთან.

შევეხოთ ამ საკითხს უფრო კონკრეტულად. გ. მელიქიშვილი კოლხეთში ჩამოსახლებულ „მრისხანე მთის სტიქიას“ აკუთვნებს სანიგებს, აბაზგებსა და აფშილებს. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ ასეთი

---

[1] ამ საკითხზე იხ. ავრეთვე მ. ი ნ ა ძ ე, ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 78 და შემდ. მისივე, კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიათა საკითხისათვის, სმამ, ტ. XXVI, № 6, 1961, გვ. 783—790.

[2] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 83 (ხაზი ჩვენია, ნ. ლ.).

ჩამოსახლებისათვის ვერავითარ რეალურ საბუთს ვერ ვხედავთ; მაგრამ თუ აბაზგებისა და აფშილების მიმართ ჩვენ არც პირდაპირ საწინააღმდეგო ცნობები გვაქვს, სანიგების მიმართ შეიძლება ზოგი რამ ითქვას.

როგორც ს. ჯანაშიას აქვს გარკვეული, სახელწოდება „სანიგი“ მჭიდროდ უკავშირდება კოლხეთის ძირითადი მოსახლეობის იმ ეთნიკურ სახელწოდებას, რომელიც ვლინდება „სან“, „ზან“, „წან“ ფუძის ვარიანტული სახესხვაობებით[1]. სანიგთა სახელის კავშირი კოლხეთის უძველეს მოსახლეობასთან უთუოდ გასათვალისწინებელი გარემოებაა და უნდა ვიფიქროთ, უფრო ეთანხმება ამ სახელის წყაროებში გაჩენის ჩვენს მიერ მოტანილ ახსნას, ვიდრე გ. მელიქიშვილის შეხედულებას.

ახლა რაც შეეხება ჰენიოხებს. მათი ძველ და ახალ წელთაღრიცხვათა მიჯნაზე კოლხეთის სანაპიროზე ჩამოსახლების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს თუნდაც ის გარემოება, რომ უკვე ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისის მწერალი ჰ ე რ ა კ ლ ი დ ე პ ო ნ ტ ო ე ლ ი ჰენიოხებს ასახელებს ფაზისის აუზში, ქ. ფაზისის უძველეს მცხოვრებლებად[2]. სხვა საქმეა, როგორ ავხსნით ჰენიოხების სახელის არსებობას კოლხეთის სხვადასხვა ოლქებში (ეს კვლევის ცალკე საგანია), მაგრამ ჰერაკლიდეს ეს ცნობა ცხადყოფს, რომ თუკი საერთოდ ჰენიოხთა მთებიდან ჩამოსახლებაზე შეიძლება ლაპარაკი, ეს უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისისა.

ბოლოს იმ ტომის შესახებ, რომელიც ჩვენ ამჟამად ყველაზე მეტად გვაინტერესებს — ლაზების შესახებ. ლაზები წყაროებში პირველად მართლაც ძვ. წ. I საუკუნეში იხსენიებიან[3]. გ. მელიქიშვილის აზრით, ლაზებიც ცენტრალურ კოლხეთში სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან გადმოსახლდნენ. ამ აზრს იგი შემდეგნაირად ასაბუთებს: მისი სიტყვით, ტომთა თითქმის ყველა

---

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალი..., გვ. 7,9—11.

[2] Heracl., XVIII FHG, II, 218; ჰენიოხების შესახებ იხ. მ. ი ნ ა ძ ე, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის, მსკი, ნაკვ. 32, 1955, გვ. 13—20.

[3] M e m n., Heracl., XXXVII, 7; თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ს მოაქვს რა მემნონის ცნობა, რატომღაც მიაჩნია, რომ მემნონი ლაზებს სანეგებთან ერთად ტრაპეზუნტის მიდამოებში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს სამხრეთ ნაწილში ასახელებს, განსხვავებით სხვა ავტორებისაგან, რომლებიც ორივე ამ ტომს კოლხეთში ათავსებენ (იხ. მისი „მემნონის „ჰერაკლეის ისტორიის“ ცნობები საქართველოს შესახებ“, მსკი, ნაკვ. 34, 1962, გვ. 145—146). მაგრამ მემნონის ცნობის კონტექსტიდან ეს სრულიადაც არ გამომდინარეობს; მემნონი წერს, რომ ქ. სინოპედან ლტოლვილი მითრიდატე VI მომხრეები „ნავებზე დასხდნენ და გაიქცნენ

მსხვილი გაერთიანების სახელი, რომელიც ურარტულ წარწერებშია დამოწმებული ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, პოულობს პარალელს უფრო გვიანდელ ეთნო- და ტოპონიმიკაში. მაგრამ ერთი ყველაზე მსხვილი გაერთიანებათაგანი თითქოს ასეთი პარალელის გარეშე რჩება; გ. მელიქიშვილის აზრით, სწორედ ამ სახელწოდებაში შეიძლება დავინახოთ ლაზების სახელი. „Урартское luša произносилось, очевидно, как losa. Чередование „а" и „о" являлось, вероятно, характерным для языков этой области (ср. урартск. katarza—поздн. Kotarz(ene). Поэтому, можно допустить, существование диалектной формы losa в форме „las (a)". Конечно „а" как здесь, так и в наименовании Qulha, Katarza и т. д., возможно возникшая на урартской почве форма локатива"[1].

ჩვენ, რასაკვირველია, თავს ნებას არ მივცემდით ამა თუ იმ ტერმინის ან სახელის ლინგვისტური გარჩევის დასაბუთება-დაუსაბუთებლობას შევხებოდით, მაგრამ ამ მსჯელობაში იმდენი სათუო ვარაუდებია, რომ ჩვენ იგი მეტად მერყევად გვეჩვენება. ჯერ ერთი, ავტორი არაფრით არ ასაბუთებს იმას, რომ ურარტული luša გამოითქმებოდა როგორც losa და ასეთ შესაძლებლობას მხოლოდ დასაშვებად თვლის. ამავე დროს ეს უნდა იყოს ამოსავალი იმისათვის, რომ შემდეგ ვილაპარაკოთ losa-ს დიალექტურ ფორმებზე. შემდეგ, მხოლოდ ერთი მაგალითი Katarza—Kotarz(ene)-ში „а" და „о"-ს მონაცვლეობისა, ჯერ კიდევ არ გვეჩვენება საკმარისად იმისათვის, რომ ასეთი მონაცვლეობა ჩვეულებრივად ჩავთვალოთ. ეს უკანასკნელი მაგალითი საერთოდ არ გამოდგება რაიმე კანონზომიერების დასადგენად, რადგან კლავდიოს პტოლემაიოსის ხელნაწერებში Κοταρζηνή ფორმის გვერდით გვხვდება Καταρζηνή ფორმაც და ზოგიერთ ხელნაწერში კი Κοραζηνή კითხვასხვაობაც[2]. ამასთან, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ყველა ეს ფორმები შერყვნილია და თავდაპირველი, სწორი ფორმა უნდა იყოს Καλαρζηνή[3].

პონტოს უკიდურეს აღმოსავლეთის მხარეებში (ამ ადგილებში ხომ სახლობდნენ სანები და ლაზები)". ამ მითითებიდან საერთოდ ძნელია ლაზთა ზუსტი ადგილსამყოფელის გარკვევა, მაგრამ ვფიქრობთ, არც იმის თქმა შეიძლება. რომ მემნონით ლაზები უფრო სამხრეთით სახლობენ, ვიდრე სხვა ავტორებით.

[1] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 365—366 (ხაზი ყველგან ჩვენია, ნ. ლ.).

[2] იხ. ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემაიოსი, გეოგრაფიული სახელმძღვანელო, ცნობები საქართველოს შესახებ, მსკი, ნაკვ. 32. 1955, გვ. 49.

[3] C. Müllerus, Cl. Ptolemaei Geographiae, vol. I, para II, Parisii. 1901, გვ. 937; J. Marguart, Eranšahr, Berlin, 1901, გვ. 116; H. Hübschmann, Die altarmenischen Ortsnamen, Straßburg, 1904, გვ. 212.

ამდენად ურარტული „ლუშას“ და „ლაზის“ დაკავშირება მეტად ხელოვნურად გამოიყურება და ვერ ჩაითვლება საკმარის საბუთად ამ ტომთა გაიგივებისათვის და მათი გადასახლების მტკიცებისათვის.

ამრიგად, გ. მელიქიშვილის მთელი ეს მოსაზრება კოლხეთში ძვ. წ. I საუკუნიდან მთიელი ტომების დიდი მასის, „მრისხანე სტიქიის“ ჩამოსახლების, კოლხეთის თავისებური „ბარბარიზაციის“ შესახებ მეტად მერყევ საფუძველზე ჩანს დამყარებული. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ჩვენ საერთოდ უარვყოფთ ცალკეულ ტომთა შავი ზღვის სანაპიროზე და კერძოდ ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე ჩამოსახლების შესაძლებლობას. ჯიქების მიმართ, მაგალითად, ეს ეჭვს არ იწვევს[1]. მაგრამ ჩვენ არადამაჯერებლად მიგვაჩნია ისეთი მასობრივი, მძლავრი შემოტევა მთის ტომებისა, რომელსაც შეეძლო განეპირობებინა ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც ახ. წ. პირველ საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ხდება და კერძოდ განეპირობებინა არიანეს მიერ ჩამოთვლილ სამეფოთა წარმოქმნა.

აღნიშნული მოვლენის ახსნას ჩვენ მაინც კოლხეთის სამეფოს ძველადვე არსებულ თავისებურებებში ვხედავთ და ამ სამეფოთა წარმოქმნას ერთიანი კოლხეთის დაშლის შედეგად მივიჩნევთ, რვ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას მსგავსად, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ მოვლენის მიზეზად არც რომის მიერ კოლხეთისათვის თავსმოხვეულ პოლიტიკას და არც ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესს ვთვლით, არამედ იმ კონკრეტულ საერთო-პოლიტიკურ სიტუაციას, რომელიც ამ ხანებისათვის ამიერკავკასიასა და მეზობელ ქვეყნებში შეიქმნა.

ანტიკურ მწერალთა ცნობების ანალიზი და კერძოდ კი სტრაბონის ცნობა კოლხეთის ე. წ. „სკეპტუხიათა“ შესახებ საფუძველს იძლევა ვაღიაროთ, რომ კოლხეთის სამეფო თავისი ჩამოყალიბების დროიდანვე არ წარმოადგენდა შინაგანად მყარ, მონოლითურ ჯაერთიანებას. მის შემადგენლობაში შემავალი ცალკეული ტომები ყოველთვის ინარჩუნებდნენ ერთგვარ დამოუკიდებლობას, მხოლოდ, როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნავს მ. ინაძე, თანდათან იქცეოდნენ ადმინისტრაციულ ერთეულებად, „სკეპტუხიებად“. ეს „სკეპტუხიები“, რომლებიც წარმოადგენდნენ „ჯერ კიდევ კლასობრივი საზოგადოების წინა ხანაში არსებულ სატომო ორგანიზაციათა

[1] Kissling, RE, VIII Bd., s. v. Heniochi, გვ. 263; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ. 125; ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემაიოსი..., გვ. 53—54.

საფუძველზე წარმოქმნილ ადმინისტრაციულ ერთეულებს", „აერთიანებდნენ კოლხეთის სამეფოში შემავალ ცალკეულ ტერიტორიულ-ეთნიკურ ჯგუფებს" [1]. სანამ კოლხეთის სამეფო ხელისუფლებას ძალა შესწევდა, ის იმორჩილებდა „სკეპტუხიებს" და ამ პირობებში ისინი მეფის ხელქვეით ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ, მაგრამ ასეთ პირობებშიაც ყოველთვის „იჩენდნენ ტენდენციას ადმინისტრაციული ერთეულიდან ცალკე სამთავროდ გადაქცევისა" [2].

ჯერ მითრიდატე ევპატორის, შემდეგ კი რომაელებისაგან კოლხეთის დაპყრობის შემდეგ სკეპტუხთა ეს ტენდენციები შეიზღუდა და, სანამ რომის ხელისუფლება აღმოსავლეთში მეტნაკლებად მტკიცე იყო, კოლხეთშიაც ის ბოჭავდა ადგილობრივ ტერიტორიულ-ტომობრივ ერთეულთა მეთაურების დაბოუკიდებლობისაკენ მისწრაფებას. მაგრამ ახ. წ. I საუკუნეში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ამ დროისათვის რომი იძულებული გახდა საგრძნობლად დაეთმო თავისი პოზიციები მახლობელ აღმოსავლეთში; ამოიწურა რომის დაპყრობითი პოტენციალი, უშუალო დაპყრობების ნაცვლად იგი იძულებულია დაკმაყოფილდეს თავის აღმოსავლეთ საზღვრებზე მხოლოდ ფორმალურად მასზე დამოკიდებულ სამეფოთა სისტემის შექმნით, რომელიც ერთგვარი ბუფერის როლს ასრულებს რომსა და პართიას შორის [3]. ამას ზედ ემატება იბერიის სახელმწიფოს აშკარა გააქტიურება, რაც უკვე რომისთვისაც საშიში და ზოგჯერ საზიანო ხდება. თუ ჩვენ გავიხსენებთ იბერიის მეფის ფარსმანისა და ადრიანეს ურთიერთდამოკიდებულებას, მაშინ ჩვენთვის აშკარა უნდა გახდეს რამდენად არასასურველი უნდა ყოფილიყო რომისთვის დასავლეთ საქართველოს ერთერთ ოლქზე — ზიდრიტების ტომის ტერიტორიაზე ფარსმანის ძალაუფლების გავრცელება. ეს ნიშნავდა რომისადმი ხელქვეით ტერიტორიაზე მოუსვენარი და ზოგჯერ აშკარად მტრულად განწყობილი ხელისუფლების შეჭრას. რაც რომისათვის შემდგომ გართულებათა მოსალოდნელ საშიშროებასაც ქმნიდა [4].

---

[1] მ. ი ნ ა ძ ე, კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიათა საკითხისათვის. გვ. 783—739.

[2] იქვე, გვ. 789.

[3] Ф. Энгельс, К истории древних германцев, К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XVI, ч. I, გვ. 362; А. И. Аминранашвили, Иберия и римская экспансия в Азии, ВДИ, 1938, № 4 (5); მ. ი ნ ა ძ ე, იბერიის და რომის ურთიერთობა II საუკუნის პირველ ნახევარში, იიშ, ტ. I, 1955, გვ. 313.

[4] მ. ი ნ ა ძ ე, იბერიისა და რომის ურთიერთობა..., გვ. 321—327; 353—362.

ასეთ სიტუაციაში, ჩვენ ვფიქრობთ, კოლხეთის ადგილობრივ ხელისუფალთა ზემოაღნიშნული ტენდენციები უნდა გაძლიერებულიყო. ამას ემატებოდა კოლხეთის მოსახლეობის მზარდი უკმაყოფილება რომაელთა მიმართ, რისი ერთერთი გამოხატულება იყო ანიკეტის აჯანყება იმპერატორ ვესპასიანეს დროს (69—79 წწ.)[1]. ამ ვითარებაში რომს უკვე აღარ შესწევს ძალა წინააღმდეგობა გაუწიოს ადგილობრივ მმართველთა ტენდენციას დამოუკიდებლობა მოიპოვონ, მის წინაშე ისახება ამ მხარის სრული დაკარგვის საშიშროება და იგი იძულებულია ცნოს კოლხეთის ცალკეულ ტერიტორიულ-ეთნიკურ ერთეულთა ბელადების პრეტენზია, მათ მიერ ფაქტიურად დამოუკიდებლობის მოპოვება, რათა ფორმალური სიუზერენობა და ერთგვარი გავლენა მაინც შეინარჩუნოს კოლხეთში.

ამრიგად, კოლხეთის სამეფოს არსებობის ხანაშივე მოქმედი ტენდენციების გაძლიერების წინააღმდეგ ბრძოლის შეუძლებლობა, გამოწვეული ამიერკავკასიაში საერთო პოლიტიკური სიტუაციის რომის საზიანოდ შეცვლით, კოლხეთის ცალკეულ „სკეპტუხთა“ გააქტიურობითა და იბერიის მომძლავრება-გააგრესიულებით, არის, ჩვენი აზრით, კოლხეთის ტერიტორიაზე ცალკეულ სამეფოთა წარმოქმნის ობიექტური პირობები და რეალური მიზეზი.

მაგრამ, რომთან კავშირის გარკვეულ პირობებში შენარჩუნება, თუნდაც კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებში რომაული გარნიზონების ყოფნა აღნიშნულ სამეფოთა მმართველი წრეებისთვისაც უნდა ყოფილიყო სასარგებლო. ამ მხრივ, პირველ რიგში ისევ გააქტიურებული და გაძლიერებული იბერია არის მხედველობაში მისაღები. ზიდრიტების ტომზე იბერიის გაბატონებას ემატებოდა ისიც, რომ სწორედ ამ ხანებში მას დამორჩილებული აქვს დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი ოლქი — არგვეთი[2]. ყოველივე ეს იბერიის ხელისუფლების დასავლეთ საქართველოში დამკვიდრების მიდრეკილებაზე მიუთითებდა და ცხადია, პირველ რიგში, სწორედ კოლხეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილ შედარებით პატარა პოლიტიკურ ერთეულთა დამოუკიდებლობას ემუქრებოდა. როგორც სამართლიანად აღნიშნავს გ. მელიქიშვილი, ეს გარემოება უბიძგებდა ლაზების

---

[1] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 188—191; А. И. Болтунова, Восстание Аникета, გვ. 57—67; გ. გოზალიშვილი, რომის ექსპანსიის წინააღმდეგ შავი ზღვის სანაპიროზე პირველ საუკუნეში ქართველ ტომთა აჯანყების შესახებ, თსუ შრომები, ტ. 37, 1949, გვ. 131—152.

[2] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 354—355, ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. ქვევით.

და სხვათა მეფეებს რომთან კავშირი არ გაეწყვიტათ და შეენარჩუნებინათ რომის ხელქვეითობა[1].

ამ გარემოებას მეორე მიზეზიც შეიძლებოდა ჰქონოდა. ეს იყო დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე მცხოვრებ ტომთა თავდასხმები, მით უფრო მას შემდეგ, რაც აქ ჯიქების საკმაოდ დიდი გაერთიანება დამკვიდრდა. ჯერ კიდევ ახ. წ. I საუკუნეში, პ ლ ი ნ ი უ ს ი ს ცნობით, „მდიდარი ქალაქი პიტიუნტი (აწინდელი ბიჭვინტა, ნ. ლ.) გაძარცული იყო ჰენიოხების მიერ“[2]. ასეთი თავდასხმებისაგან თავდასაცავად სასურველი იყო დასავლეთ საქართველოში რომაული რაზმების დგომა.

ასეთი იყო, ჩვენი აზრით, ის რეალური სიტუაცია, რომელშიაც ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოში დასახელებული სამეფოები და მათ შორის ლაზების, ანუ ქართული წყაროების მიხედვით, ეგრისის სამეფო.

ერთერთი ყველაზე რთული საკითხი, რომელიც ლაზეთის სამეფოს ისტორიის კვლევისას მეცნიერთა წინაშე დგება, არის საკითხი ამ სამეფოს სოციალური ბუნების შესახებ. ეს სირთულე გაპირობებულია, პირველ რიგში, წყაროების სიმცირით, ცნობების ფაქტიურად სრული უქონლობით.

მიუხედავად ამ გარემოებისა, ზოგიერთი ნიშნის და რეტროსპექტიული თვალსაზრისით ამ საკითხისადმი მიდგომის საფუძველზე, ს. ჯანაშიამ სცადა გაერკვია ლაზეთისა და დასავლეთ საქართველოს სხვა სამეფოებში არსებული სოციალური დიფერენციაციის საფუძველი. მისი დასკვნით ამ სამეფოებში უაღრესი სიძლიერითაა გამოხატული გვაროვნული წყობილების ნაშთები, გარკვეული წონა აქვს პირველყოფილ მონობასაც, მაგრამ, ამ ელემენტების გვერდით და, მათთან შედარებით, უპირატესადაც წარმოდგენილია ფეოდალური ურთიერთობის ჩანასახებიც. აღნიშნულ მეფეთა თუ მთავართა ხელისუფლებაც ს. ჯანაშიას აღრინდელ-ფეოდალური დიფერენციაციის ნიადაგზე წარმოშობილად მიაჩნია. ამასთან ს. ჯანაშია აღნიშნავს, რომ „ეს ფეოდალური წყობა ამ დროს ჯერ სავსებით პრიმიტიული ფორმისაა და მის საბოლოო გამარჯვებამდე, აღებულ ქვეყანაში, კიდევ გრძელი და ძნელი გზა ძევს. იგი მხოლოდ, სხვა ელემენტებთან შედარებით, ბევრად უფრო მეტს სასიცოცხლო უნარს იჩენს და უფრო სწრაფად იზრდება“[3].

---

[1] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 369.

[2] Plin., NH, VI, 16.

[3] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 312—313.

სხვა შეხედულება ამ საკითხზე გამოთქვა გ. მელიქიშვილმა. მისი აზრით, არ არსებობს საფუძველი, რათა „სამთავროების, და კერძოდ ლაზეთის (ეგრისის) სამეფოს წარმოქმნა დაუკავშიროთ ფეოდალიზაციის პროცესს, მივიჩნიოთ ისინი „ადრეფეოდალური დიფერენციაციის“ ნიადაგზე წარმოშობილად. გ. მელიქიშვილის აზრით, ლაზთა სამეფო „ადრემონათმფლობელური“ ტიპის სახელმწიფოს წარმოადგენდა[1].

რაც შეეხება დასავლეთ-საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე აფსილთა, აბაზგთა და სანიგთა სამეფოებს, გ. მელიქიშვილი ეჰვს გამოთქვამს აქ აგრეთვე „ადრემონათმფლობელური ურთიერთობის“ არსებობასთან დაკავშირებით და ვარაუდობს, რომ უფრო სარწმუნოა ეს გაერთიანებები სახელმწიფოებრიობის ძლიერი ჩანასახების მქონე ტომთა კავშირებად მივიჩნიოთ, ხოლო მათ სათავეში მდგომი „მეფეები“ — ამ ტომობრივ გაერთიანებათა ბელადებად [2].

ამგვარი ვარაუდის საფუძველს გ. მელიქიშვილს აძლევს ის გარემოება, რომ, მისი აზრით, დიოსკურია-სოხუმის რაიონში და მის შემდგომ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ოლქებში ადგილი არ ჰქონდა ტომთა და დაწინაურებულ ბარის მცხოვრებთა ისეთ ურთიერთქმედებას, როგორიც ჩანს კოლხეთის ცენტრალურ რაიონში. ამ ადგილებში მთიელთა უპირატესობა სრული იყო და ამ მთის ოლქებში განვითარებაც შედარებით ნელი ტემპით ხდებოდა[3].

გ. მელიქიშვილის ამ დასკვნას არ დაეთანხმა ზ. ანჩაბაძე. ის კერძოდ აღნიშნავს, რომ აბაზგებსა და აფსილებს ჰქონდათ მუდმივი ურთიერთქმედება აფხაზეთის ზღვისპირა ქალაქებთან და გარე სამყაროსთან. შემდეგ, ზ. ანჩაბაძე არ ეთანხმება გ. მელიქიშვილის განსაზღვრას, რომ აბაზგები, აფსილები და სხვ. ცხოვრობდნენ „მწირ მთიან ოლქებში“ — მათი სამფლობელოების დასავლეთი ნაწილი ზღვის ნაპირზე გადიოდა. ამას გარდა, როგორც აღნიშნავს ზ. ანჩაბაძე, არქეოლოგიური მასალა მოწმობს, რომ ამ ხანაში აფხაზეთის შიდა რაიონებშიაც კლასობრივი საზოგადოება არსებობს. ყოველივე ამის გამო, ზ. ანჩაბაძე თვლის, რომ I—V სს. აფხაზეთის სამთავროებშიაც ადრემონათმფლობელური ურთიერთობა იყო გაბატონებული, რაც თავისთავად არ გამორიცხავს მაღალმთიან ოლქებში პატრიარქალურ-თემური ყოფის შენარჩუნებას[4].

---

[1] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 375.

[2] იქვე, გვ. 374—375.

[3] იქვე.

[4] З. В. Анчабадзе, История и культура древней Абхазии, М., 1964, გვ. 203—204.

ცენტრალური კოლხეთისა და ჩრდილოეთ ოლქების მოსახლეობას შორის უდავოდ იყო სოციალური განვითარების დონეთა შორის გარკვეული განსხვავება. VI საუკუნეშიაც კი ბიზანტიელი მწერლები აბაზგების ერთგვარ ჩამორჩენილობაზე ლაპარაკობენ ლაზებთან შედარებით[1], მაგრამ ეს განსხვავება, როგორც ზ. ანჩაბაძეც აღნიშნავს, რაოდენობრივი ხასიათისა იყო და არა ხარისხობრივი. ვფიქრობთ, ზ. ანჩაბაძე მართალია, როცა აღნიშნავს, რომ აფხაზეთის ტერიტორიის მოსახლეობას (აფშილები, აბაზგები) და ლაზებს შორის მნიშვნელოვანი სოციალური განსხვავება არ უნდა ყოფილიყო და აქ ძირითადად ერთნაირი სოციალური წყობაა სავარაუდებელი.

როგორც ზევითაც გვქონდა აღნიშნული, ახ. წ. პირველ საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს სოციალური წყობილების დასახასიათებლად გარკვეული საბუთები არ გაგვაჩნია, ამიტომ აღნიშნულ სახელმწიფოთა „მონათმფლობელურად“ თუ „ადრემონათმფლობელურად“ აღიარებისას სპეციალისტები ითვალისწინებდნენ საქართველოს მაშინდელ საერთო სოციალურ-ეკონომიურ ვითარებას. უკანასკნელი 20-25 წლის მანძილზე კი ისტორიოგრაფიაში მიღებული იყო უძველესი ქართული სახელმწიფოების საზოგადოებრივი განვითარების შემდეგი სქემა.

უძველესი ქართული სახელმწიფოები (იბერია და კოლხეთი) მონათმფლობელურ სახელმწიფოებად იყო აღიარებული. ამავე დროს ექცეოდა რა ყურადღება იმ გარემოებას, რომ ჩვენში მონათმფლობელობას, როგორც ჩანს, არ ჰქონდა ისეთი საყოველთაო მნიშვნელობა, როგორც ვთქვათ საბერძნეთსა და რომში, და რომ აქ პირველყოფილი-თემური ურთიერთობა ჯერ კიდევ ძლიერი იყო კლასობრივი საზოგადოების არსებობის პირობებშიაც, ქართულ სახელმწიფოებს „ადრემონათმფლობელურ“ ან „თემურ-მონათმფლობელურ“ სახელმწიფოებად აცხადებდნენ.

გ. მელიქიშვილი, მაგალითად, აღნიშნავდა, რომ ანტიკური ხანის ქართული სახელმწიფოები „თავისი ხასიათით ყველაზე ახლო უნდა მდგარიყვნენ ე. წ. ადრემონათმფლობელურ ანუ თემურ-მონათმფლობელურ სახელმწიფოებთან, რომელთა ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს შეადგენდა სასოფლო თემის და გვაროვნული წყობის ბევრი სხვა გადმონაშთის არსებობა, მონური შრომის შედარებით შეზღუდული გამოყენება, მონების გვერდით რიგითი მეთემეების ფართო მასების ექსპლოატაცია სამეფო ხელისუფლებისა და არისტოკრატიული ზედაფენის მიერ, ტაძრებისა და მის მსახურთა (ქუ-

[1] იხ. მაგ., Procop, De BG. VIII, 3, G., II, 133—134.

რუმების) დიდი ხვედრითი წონა ქვეყნის ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში და ა. შ.“[1].

ეს „ადრემონათმფლობელური“ სოციალურ-ეკონომიური წყობილება, ქართული ისტორიოგრაფიის თანახმად, გაგრძელდა ახ. წ. IV საუკუნემდე; IV—VI საუკუნეებში საქართველოში მიმდინარეობს ფეოდალიზაციის პროცესი, რომელიც VI საუკუნეში მთავრდება ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებით და ამ საუკუნიდან საქართველოში ადრეფეოდალური წყობილება მყარდება. საქართველოს ძველი ისტორიის ეს პერიოდიზაცია ძირითადად ს. ჯანაშიას მიერ იყო შემუშავებული და შემდეგ, ზოგიერთი უმნიშვნელო კორექტივით გაზიარებული შემდგომი ხანის მეცნიერთა მიერ.

ასეთ ვითარებაში ს. ჯანაშიას მიერ დასავლეთ საქართველოში I—II საუკუნეებში წარმოქმნილ სამეფოთა ადრეფეოდალურად გამოცხადება შეუსაბამობას ჰქმნიდა. აღსანიშნავია, რომ თავისი ზემოხსენებული ნაშრომების გამოქვეყნების შემდეგ[2], მას მერე, რაც ს. ჯანაშიამ საბოლოოდ ჩამოაყალიბა საქართველოში მონათმფლობელური ფორმაციის არსებობის, მონათმფლობელობის რღვევისა და ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა-ჩამოყალიბების დებულებები, მას აღნიშნულ სამეფოთა ხასიათის ზემომოტანილი განმარტება აღარ გაუმეორებია. კერძოდ, საქართველოს ისტორიის პირველ სახელმძღვანელოში ს. ჯანაშია აღარაფერს ამბობს ამ სამეფოთა ადრეფეოდალური ხასიათის შესახებ და ადრინდელ-ფეოდალურ ურთიერთობას როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში IV საუკუნიდან იწყებს[3].

რაკიღა უკანასკნელი წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში ახ. წ. IV საუკუნის წინადროინდელი ქართული სახელმწიფოები ადრემონათმფლობელურ სახელმწიფოებად იყო აღიარებული, ლოგიკური იყო დასავლეთ საქართველოში I—II საუკუნეებში წარმოქმნილი სამეფოებიც ადრემონათმფლობელური სოციალური წყობის მქონე ერთეულებად წარმოგვედგინა.

როგორც ს. ჯანაშიას მიერ პირველი ქართული სახელმწიფოების „მონათმფლობელურად“ გამოცხადება, ასევე შემდგომი ხანის

---

[1] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, გვ. 184—185.

[2] „ეგრისის სამეფოს წარმოშობა“ გამოქვეყნდა 1936 წ., ხოლო „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“ — 1937 წ.

[3] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1946. გვ. 83—84, შეად. გვ. 86—89.

ქართველი სპეციალისტების გამოკვლევებში მათი „ადრემონათმფლობელურად" აღიარება, უშუალო კავშირში იყო ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებათა ბუნების შესახებ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ თვალსაზრისთან. ცნობილია, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო თვალსაზრისი, რომ ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებები სწორედ „ადრემონათმფლობელურ" საზოგადოებებს წარმოადგენდნენ [1].

მაგრამ უკანასკნელი წლების მანძილზე, ჯერ საზღვარგარეთის მარქსისტულ პრესასა და ლიტერატურაში, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის სპეციალისტთა შორისაც დაისვა საკითხი ამ პრობლემის გადასინჯვისა და ფაქტიურად დაიწყო ახალი დისკუსია ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებათა სოციალური ბუნების შესახებ [2].

რიგი სპეციალისტებისა, როგორც ჩანს, სამართლიანად აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიურ წყობას არ შეიძლება ეწოდოს „მონათმფლობელური", რამდენადაც მონობამ, მონურმა შრომამ აქ ვერ მიიღო გაბატონებული მდგომარეობა მეურნეობაში, რამდენადაც ძირითად ექსპლუატირებულ ფენას აქ წარმოადგენს პირადი თავისუფლების ასე თუ ისე მქონე მეთემეთა ფართო მასა და ა. შ. ამიტომ ეს სპეციალისტები აყენებენ საკითხს იმის შესახებ, რომ ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებებში ჩვენ უნდა დავინახოთ რაღაც თავისებური, განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიური წყობა, ზოგიერთი მათგანი ამტკიცებს, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შრომებში არაერთგზის ნახსენებ და დახასიათებულ „წარმოების აზიურ წესთან".

აღნიშნულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე გ. მელიქიშვილმა. მან, ჩვენი აზრით, საკმაოდ დამაჯერებლად აჩვენა, რომ ძველაღმოსავლური საზოგადოების სახით საქმე გვაქვს გარდამავალი ტიპის განუვითარებელ კლასობრივ საზოგადოებებთან. ეს საზოგადოებები გარდამავალია უკლასო საზოგადოებიდან განვითა-

---

[1] В. И. Авдиев, История древнего Востока, М., 1953, გვ. 10; С. Л. Утченко, Е. М. Штаерман, О некоторых вопросах истории рабства, ВДИ. 1960, № 4, გვ. 9 და მემდ. Всемирная история, т. I. 1955, გვ. 140 და სხვ.

[2] იხ. ფრანგი სპეციალისტების სტატიები ჟურნალში „La Pensée", 1964 წ. № 114 და № 117, ჩეხი მეცნიერების სტატიები ჟურნალ „Eirene"-ს 1964 წ. ტ. III; J. Suret-Canale, L'Afrique Noire, I, Paris, 1961; M. Godelier, La notion de „mode de production asiatique" et les schémas marxistes d'evolution des societes, Paris, 1964; აგრეთვე საბჭოთა სპეციალისტების სტატიები ჟურნალში „Народы Азии и Африки", 1965, № 2, 3, 4.

რებულ კლასობრივ საზოგადოებაზე. ასეთი გარდამავალი ტიპის საზოგადოებებისათვის დამახასიათებელია ხალხის, უშუალო მწარმოებელთა ძირითადი მასის მიერ თავისი პირადი თუ სამეურნეო-ეკონომიური დამოუკიდებლობის ასე თუ ისე შენარჩუნება, გაბატონებული ფენის მიერ გარეგნულად მაინც მეთაურის, ორგანიზატორის, ხელმძღვანელის ფუნქციების ძირითადად შენარჩუნება და, რაც მთავარია, ექსპლუატაციის სხვადასხვა ფორმების (ფეოდალურის, მონათმფლობელური ტიპის, დაქირავებული შრომის) თანაარსებობა, როგორც წესი, განუვითარებელ ფორმებში [1].

სწორედ ასეთი გარდამავალი ტიპის განუვითარებელ კლასობრივ საზოგადოებას ხედავს გ. მელიქიშვილი საქართველოში ანტიკურ ხანაში და კერძოდ აგრეთვე დასავლეთ საქართველოშიც [2].

ძნელია ჯერჯერობით გადაჭრით თქმა რამდენად ყოველმხრივ ეჭვმიუტანელია ანტიკური ხანის ქართულ სახელმწიფოთა სოციალური წყობილების ასეთი დახასიათება (ისევე როგორც ძველაღმოსავლურ საზოგადოებათა სოციალური ბუნების ამგვარი გაგება), მაგრამ ვფიქრობთ, რომ საკითხის ასეთი დაყენება და ამ მიმართულებით მისი კვლევა უფრო სწორი და მეცნიერულად გამართლებული გზა არის [3].

ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამეფოთა სოციალური ბუნების განსაზღვრისას ახ. წ. I—III საუკუნეებში, ჩვენ ისინიც უნდა მივიჩნიოთ ექსპლოატაციის სხვადასხვა ფორმების ერთდროულად მქონე გარდამავალი ტიპის კლასობრივ საზოგადოებად და ძირითადად გავიმეოროთ ს. ჯანაშიას ზევით მოტანილი დახასიათება, რომელიც გულისხმობს აქ პირველყოფილი-თემური ურთიერთობის მნიშვნელოვან გადმონაშთებსაც, მონობასაც და ფეოდალური ურთიერთობის საწყისებსაც. ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ, როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავდა, „ეგრისი და მისი წინამორბედი ტომობრივი წარმონაქმნები წარმოადგენენ ხიდს, რომლითაც ეს ქვეყანა ძველი სამყაროდან ფეოდალურში გადავიდა უკვე საბოლოოდ“ [4].

---

[1] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიური წყობილების საკითხი, მაცნე, 1966, № 1, გვ. 52—90. აქვე იხილე საერთოდ ამ საკითხზე დაწვრილებით.

[2] იქვე, გვ. 85—90.

[3] ისტორიის ინსტიტუტის მეთოდოლოგიურ სემინარზე ამ საკითხზე გამართული დისკუსიის ანგარიში: ნ. ხ ა ზ ა რ ა ძ ე, დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, უძველესი კლასობრივი საზოგადოების ბუნების საკითხი, მაცნე, 1966, № 4, გვ. 262—292.

[4] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, გვ. 307.

II თავი

ეგრისის სამეფო ახ. წ. II—III საუკუნეებში

ლაზეთის (ეგრისის) სამეფოს შესახებ ცნობები ახ. წ. II—III საუკუნეებისათვის ერთობ მცირეა. როგორც ზევით იყო აღნიშნული, ლაზეთის სამეფო გადაჭიმული იყო რიონის ორივე ნაპირზე აჭარა-ქობულეთის საზღვრიდან. ვიდრე დაახლოებით მდ. ხობამდე.

აღმოსავლეთით ლაზთა სამეფო, როგორც ჩანს, ლიხის (სურამის) ქედამდე არ აღწევდა. ლიხის ქედის მიმდგომი ოლქი, ქართული წყაროების არგვეთი, ამ დროს ქართლის სამეფოს ერთერთ საერისთავოს (საპიტიახშოს) წარმოადგენდა. კერძოდ ამას ადასტურებს არქეოლოგიური მასალა სოფ. ბორში[1] აღმოჩენილი სამაროვნიდან. პირველ რიგში ძვირფასი ნივთები, რომლებიც ძალზე ახლოა არმაზისხევის პიტიახშთა ცნობილი სამაროვნის ინვენტართან[2]. ამ ნივთთა შორის იმთავითვე მიიქცია ყურადღება ვერცხლის თასმა საკურთხეველის წინაშე მდგომი ცხენის გამოსახულებით, რომელიც უახლოეს ანალოგიას პოულობს იმავე არმაზისხევში, ერთერთ სამარხში (ბერსუმა პიტიახშის) აღმოჩენილ ასეთსავე თასთან. თასზე არის არმაზული დამწერლობით შესრულებული წარწერა: „ბუზმიჰრ, კეთილი პიტიახშის"[3]. ჯერ კიდევ მ. ივანიშვილმა აღნიშნა, რომ ბორი ეტყობა იყო პიტიახშების რეზიდენცია[4], ხოლო ი. ცქიტიშვილმა არქეოლოგიური მასალის, წერილობითი და ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე დაადასტურა, რომ II—III საუკუნე-

---

[1] სოფ. ბორი მდებარეობს დაბა შორაპნის სამხრეთ-აღმოსავლეთით 7-8 კმ მანძილზე.

[2] Е. Придик, Новые кавказские клады, МАР, т. 34, 1914; Е. Такаишвили, ИКОМАО, вып. I, გვ. 90—91; Я. Смирнов, Восточное серебро, СПБ, 1909, გვ. 7; ა. აფაქიძე, ახალი არქეოლოგიური მასალები სოფ. ბორიდან, სსმმ, XII—ბ, 1944.

[3] А. Борисов, Надписи на серебряной чаше из Бори; СГЭ, IV, 1947, გვ. 8—10; Г. В. Церетели, Армазское письмо и проблема происхождения груз. алфавита, ЭВ, II, 1948, გვ. 93.

[4] М. Иващенко, Бори, Тбилиси, 1943, გვ. 78.

ებში ბორი წარმოადგენდა იბერიის (ქართლის) სამეფოს ერთერთი „მონაპირე ერისთავის“ (პიტიახშის) რეზიდენციას[1]. ამასთან, როგორც მერმინდელი (VI ს.) წყაროებიდან ჩანს, საზღვარი ქართლსა და ლაზეთს შორის დაახლოებით სკანდა-შორაპნის ხაზზე გადიოდა და, მაშასადამე, ბორის პიტიახში სწორედ ლაზეთ-ეგრისის საზღვართან მჯდომი მონაპირე მოხელე ჩანს ქართლის მეფისა[2].

ბორის წარწერა, როგორც ჩანს, ახ. წ. III საუკუნის შუა წლებით თარიღდება[3], მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იბერიის სამეფოს საერთო გაძლიერებას სწორედ II საუკუნის დასაწყისიდან, უნდა ვიფიქროთ, რომ თუ უფრო ადრეული ხანიდან არა, II საუკუნიდან მაინც არგვეთის ეს ნაწილი ქართლის სამეფოში შედის[4].

არიანეს ცნობებიდან ჩანს, რომ ეგრისის სამეფო, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა პოლიტიკური ერთეულები, რომის ვასალურ სამეფოს წარმოადგენდა. ლაზთა მეფე ტახტს იღებს რომის იმპერატორისაგან და ზღვისპირა პუნქტებში დგას რომაული გარნიზონი.

არიანე საგანგებოდ აგვიწერს ფაზისის სიმაგრეს, რომელიც ერთერთ მნიშვნელოვან პუნქტად ჩანს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე: „თვით ციხე-სიმაგრე. — წერს არიანე, — რომელშიაც თავსდება ოთხასი რჩეული მეომარი. მე მეჩვენა მეტად მიუდგომლად ადგილის ბუნების მიხედვით, უშიშროების თვალსაზრისით მეტად მოხერხებულ ადგილზე მოთავსებულად აქ მომსვლელთათვის. ორმაგი თხრილი ერტყმის კედელს. ორივე ფართოა. წინათ კედელი თიხისა იყო და ხის კოშკები იდგა მასზე, მაგრამ ახლა კედელი და კოშკები გამომწვარი აგურისაგანაა გაკეთებული, საძირკველი მისი მყარია, ზედ სამხედრო მანქანებია დადგმული. ერთი სიტყვით, ყოველმხრივ იმგვარადაა მოწყობილი, რომ ვერავინ მიუახლოვდეს ბარბაროსთაგან და რომ ალყის საფრთხე არ მოელოდეს ციხის დამცველთ. ხოლო, რადგან ნავთსაყუდელი უშიშარი თავშესაფარი უნდა ყოფილიყო ხომალდთათვის, საიმედო უნდა გამხდარიყო აგრეთვე ციხის გარშემო მდებარე სხვა ადგილებიც, რომლებიც დასახლებულია სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირებით და ვაჭრებით. გადავწყვიტე, რომ ციხის კედლის გარშემო მდებარე ორმაგი თხრი-

---

[1] გ. ცქიტიშვილი, იბერიის საპიტიახშოს საკითხისათვის ლიხთიმერეთში. იიშ. ტ. I. 1955. გვ. 303—311.

[2] იქვე, გვ. 303.

[3] Г. В. Церетели, Армазское письмо..., გვ. 93; F. Altheim, Literatur u. Gesellschaft im ausgehenden Altertum, II, Halle, 1950, გვ. 49—52.

[4] Г. А. Меликишвили, К истории..., გვ. 352—357.

ლიდან გამეყვანა მდინარემდე სხვა თხრილი, რომელიც გარს შეაკუვლიდა ნავსადგურს და ციხის კედლის გარეთ მდგომ სახლებს[1].

არიანეს ეს ცნობა მრავალმხრივ არის საინტერესო. ჯერ ერთი, ფაზისის სიმაგრეთა აღწერილობა მოწმობს იმას, რომ რომის ხელისუფლება სათანადოდ ზრუნავდა მის გაძლიერებასა და სამხედრო აღჭურვაზე. წინათ თუ კედლები თიხისა იყო (როგორც ჩანს, ალიზისა) და კოშკები კი ხისა, ეხლა, არიანეს თქმით, ციხე-სიმაგრე მთლიანად გამომწვარი აგურისაგან არის აგებული და ზედ სამხედრო მანქანებია დადგმული. ამავე დროს, არიანეს ცნობის კონტექსტიდან ჩანს, რომ ეს ღონისძიება შედარებით ახალი ამბავია, რაკი არიანე სპეციალურად ატყობინებს ამას იმპერატორს. როგორც ჩანს, რომს უხდება ზრუნვა თავისი საყრდენი პუნქტების უკეთ გამაგრებაზე. ამასთან, გარკვეულ ინტერესს იწვევს არიანეს სიტყვები, თითქოს სიმაგრე ისეა მოწყობილი, რომ „ვერავინ მიუახლოვდეს ბარბაროსთაგან და რომ ალყის საფრთხე არ მოელოდეს ციხის დამცველთ“. ვინ უნდა იგულისხმებოდეს ამ „ბარბაროსებში“? რასაკვირველია, შესაძლოა აქ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ სანაპიროთა ტომები ჰყავდეს არიანეს მხედველობაში. ხომ აღნიშნავს პ ლ ი ნ ი უ ს ი, რომ ახ. წ. I ს. „უმდიდრესი ქალაქი პიტიუნტი ჰენიოხების მიერაა გაძარცვული“[2]. ამას გარდა, ახ. წ. I ს. მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით გაიზარდა ყირიმის სკვითების აქტივობა. ბოსფორის ქალაქები უძლური აღმოჩნდნენ სკვითების თავდასხმათა წინაშე. შემდგომ ხანებში განსაკუთრებით გააქტიურდნენ ტავრო-სკვითები და ბოსფორის სამეფოს მათთან ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლების გადატანა უხდებოდა[3]. ყოველივე ეს არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო თვით რომისთვისაც შემაწუხებელი გარემოება, ვინაიდან ტავრო-სკვითების შემოსევა საშიშროებას უქადდა არა მარტო ბოსფორს, ოლბიასა და ქერსონესს, არამედ თვით რომის პროვინციებსაც. შემთხვევითი არ იყო ის, რომ ადრიანეს მომდევნო იმპერატორმა ანტონინე პიუსმა (138—161) ჯარებიც კი შეიყვანა ოლბიაში[4].

ამას უნდა დაემატოს ალანთა განსაკუთრებული გააქტიურება და ალანთა საკითხის საკმაო სიმწვავით დადგომა რომის სახელმწიფოს

---

[1] Arrian., PPE, § 9.

[2] Plin., NH, VI, 16.

[3] В. Ф. Гайдукевич, Боспорское царство, М.-Л., 1949, გვ. 331—334

[4] М. И. Ростовцев, Бронзовые фибулы с надписями из Донской области, ИАК, вып. 65, გვ. 23.

წინაშე სწორედ ახ. წ. I—II საუკუნეებში[1]. ყოველივე ამას შეეძლო განეპირობებინა ამიერკავკასიის სანაპიროზე რომისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ ოლქებში რომაული ციხე-სიმაგრეებისა და აქ მდგომი გარნიზონების მნიშვნელობის გაზრდა და მათი გაძლიერებისათვის საგანგებო ზრუნვა. მაგრამ ქ. ფაზისი მაინც შედარებით მოშორებული იყო ჩრდილოეთის ტომთა ტერიტორიას და მათგან უშუალო საფრთხე მას, ვფიქრობთ, ნაკლებად ელოდა. ამიტომ, არიანეს ზემომოტანილი სიტყვები ფაზისის გამაგრების შესახებ „ბარბაროსთა" თავდასხმებისაგან უზრუნველყოფისათვის შეიძლება სწორედ ადგილობრივ, დასავლეთ საქართველოს მცხოვრებლების მხრიდან თავდასხმის საშიშროებასაც გულისხმობდეს. მიუხედავად იმისა, რომ ლაზების მეფეს მალასას ადრიანესგან ჰქონდა მიღებული ხელისუფლება და ამდენად „რომაელი ხალხის მეგობრად და მოკავშირედ" ითვლებოდა, ადგილობრივი მცხოვრებლების თავდასხმა რომაელთა გარნიზონზე გამორიცხული არ უნდა ყოფილიყო და არიანე საჭიროდაც კი თვლის საგანგებოდ დამატებითი თხრილი შემოავლოს ნავსადგურსა და ციხის გარეთ მდგომ სახლებს, რომ ესენიც დაიცვას მოსალოდნელი თავდასხმის საშიშროებისაგან. ამრიგად, არიანეს ეს ცნობა შესაძლოა მოწმობდეს, რომ რომაელებსა და ადგილობრივ მკვიდრთა შორის არც ისეთი მშვიდობიანი ურთიერთდამოკიდებულება ყოფილა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს.

ყურადღებას იქცევს არიანეს მოცემული კონტექსტიდან აგრეთვე ის ადგილი, სადაც რომაელი მოხელე ლაპარაკობს ფაზისის სიმაგრის გარშემო „სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირების" დასახლების შესახებ.

ე. წ. ვეტერანთა მიწაზე დასმა, გარკვეულ ადგილებში მათი დასახლება, ჩვეულებრივი ამბავი იყო რომში. მაგრამ აქ ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ ვეტერანები ამ შემთხვევაში საჭუთრივ რომის იმპერიის ტერიტორიაზე კი არ არიან დასახლებული, არამედ სხვა, თუნდაც ვასალური სამეფოს მიწაზე. ავგუსტუსის შემდეგ ვეტერანებს, როგორც წესი, იტალიაში აღარ ასახლებენ და მათ მიწებს ჩვეულებრივ პროვინციებში, უფრო ხშირად საზღვრისპირა პროვინ-

---

[1] მ. ი ნ ა ძ ე. იბერიის და რომის ურთიერთობათა..., გვ. 315—327; ნ. ლ ო მ ო უ რ ი, რომისა და ამიერკავკასიის ქვეყნების ურთიერთობისათვის ახ. წ. I საუკუნეში, თსუ შრომები. ტ. 77. 1959. გვ. 132—153.

ციებში მიუჩენდნენ ხოლმე [1]. ამ ღონისძიებით რომაელები სასაზღვრო რაიონებში ქმნიდნენ მოსახლეობის თავისებურ ფენას, რომელიც რომის სახელმწიფოს ერთგული იყო; საჭიროების შემთხვევაში გაწვრთნილი და ნაცადი ვეტერანები საზღვრების დასაცავადაც შეიძლებოდა გამოეყენებინათ [2].

ვეტერანებს ხშირად ასახლებდნენ დაპყრობილ ქვეყნებშიაც. ასე მაგალითად, სწორედ II ს. დასაწყისში, როდესაც იმპერატორმა ტრაიანემ (98—117) დაიპყრო დაკების მიწა-წყალი და აქ რომაული პროვინცია შექმნა, მან, პირველ რიგში, დაასახლა დაკიაში თავისი ვეტერანები, რასაც მოწმობს წარწერათა საკმაო რაოდენობა დაკიიდან [3].

რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც ვეტერანებს რომის იმპერიის საზღვრებს გარეთ, თუნდაც ვასალური სახელმწიფოს ტერიტორიაზე ასახლებდნენ, ჩვენ არ შეგვხვედრია. არიანეს ცნობა ფაზისში ვეტერანთა დასახლების შესახებ, ზემომოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით, მეტად საინტერესოდ გამოიყურება. როგორც ჩანს, რომის ხელისუფლება ცდილობს აქ თავისი კოლონისტების დამკვიდრებას, რომლებიც ციხე-სიმაგრეებში მდგომ ჯარებთან ერთად უნდა ყოფილიყვნენ რომის ძალაუფლების დასაყრდენი დასავლეთ საქართველოში. რა პირობებში ცხოვრობდნენ აქ ეს კოლონისტები და როგორი ურთიერთობა მყარდება მათსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის, ძნელი სათქმელია, თუმცა, არიანეს ზრუნვა მათი დასახლების დაცვისათვის თითქოს უნდა მოწმობდეს, რომ ეს ურთიერთობა საკმაოდ დაძაბული უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში არიანეს ეს ცნობა იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ შუქს ჰფენს რომის ხელისუფლების მიერ დასავლეთ საქართველოში თავისი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის გამიზნულ კიდევ ერთ ღონისძიებას: ვეტერანთა კოლონიის შექმნას, რომელსაც შეიძლებოდა მომავალში აქ რომისადმი ერთგული მოსახლეობის თავისებური ფენა შეექმნა.

ფაზისიდან გამოსულ არიანეს გაუვლია მდ. ჭარიენტის შესარ-

---

[1] Н. А. Машкин, История древнего Рима, М., 1956, გვ. 253; E. Meyer, Caesars Monarchie und das Principat des Pompeius, Stuttgardt—Berlin, 1919, გვ. 431.

[2] RgdA, c. 28; W. Sardthausen, Augustus und seine Zeit, I Bd. Leipzig, 1891, გვ. 401; II Bd., 1896, გვ. 215; Н. А. Машкин, Принципат Августа, М.-Л., 1949, გვ. 299—301.

[3] CIL, III. №№ 1147—1151; 1361—1363, 6247, 7859 და სხვ., И. Т. Кругликова, Дакия в эпоху римской окупации, М., 1955, გვ. 82—83.

თავი, ხოლო შემდეგ მდინარე ქობოსთან გაჩერებულა: „ქარიენტიდან გავიარეთ ორმოცდაათი სტადიონი და შევცურეთ მდინარე ქობოსში. აქ ღუზაზე დავდექით. თუ რატომ (შევისვენეთ აქ) და რა მოვიმოქმედეთ, შენთვის ცხადი გახდება ლათინური წერილიდან“ [1].

ამ ლათინურ წერილს, რომელიც მას იმპერატორ ადრიანესთვის მიუწერია, არიანე უფრო ადრეც ახსენებს, როდესაც აფსაროსში თავის ყოფნას აღწერს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს წერილი ცნობილი არაა და ჩვენ მხოლოდ საეგებიო ვარაუდი შეიძლება გამოვთქვათ იმ საქმიანობის შესახებ, რომელიც არიანეს მდ. ქობოსში უწარმოებია.

მდ. ქარიენტი, როგორც ეს პირველად ლ. ელნიცკიმ ივარაუდა, ხოლო შემდეგ ჩვენ ვცადეთ დამატებითი საბუთებით დაგვემტკიცებინა, აწინდელი ენგურია[2]. ამრიგად, არიანე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ერთერთი უდიდესი მდინარის, ენგურის შესართავში საგანგებოდ გაჩერებულა და რაღაც „მოუმოქმედია“, რის შესახებაც იმპერატორისთვის სპეციალურად მიუწერია კიდეც. უნდა ვიფიქროთ, რომ მისი საქმიანობა ამ ადგილას რაღაც მნიშვნელოვანი ხასიათისა ყოფილა და დასავლეთ საქართველოში რომის პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის გარემოება, რომ კლავდიოს პტოლემაიოსს (ახ. წ. II ს.) „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ მდ. ხარიუსტოსსა და სიგანეონს შორის დასახელებული აქვს პუნქტი ნეაპოლისი (Νεάπολις)[3].

სიგანეონი, როგორც ეს აღიარებულია, შეეფერება არიანეს მდ. სინგამს (PPE, § 14), რომელიც გაიგივებულ უნდა იქნეს მდ. ოქუმისა და ერისწყლის საერთო შესართავთან, ხოლო მდ. ხარიუსტოსი ეს იგივე არიანეს ქარიენტია, ე. ი. თანამედროვე მდ. ხობი[4]. ამრიგად, პტოლემაიოსის მიხედვით, ნეაპოლისი მდებარეობს ამ ორი მდინარის — ხობისა და ოქუმ-ერისწყლის შუა, ხოლო სწორედ ამ მდინარეთა შორის არიანესთან დასახელებულია მდ. ქობოსის შესართავი. ჯერ კიდევ არიანეს ერთერთმა გამომცემელმა კ. მიულერმა

---

[1] Arrian., PPE, § 10.

[2] Л. А. Ельницкий, Из исторической географии древней Колхиды, ВДИ, 1938, № 2, გვ. 314—315; Н. Ю. Ломоури, Из исторической географии древней Колхиды, ВДИ, 1957, № 4, გვ. 99—101.

[3] Cl. Ptol., Geogr., V, 9, 2.

[4] Н. Ю. Ломоури, Из исторической географии, გვ. 101.

გამოთქვა მოსაზრება, რომ ნეაპოლისი სწორედ არიანეს ქობოსის შესართავში უნდა იყოს აღნიშნული და არიანეს მოღვაწეობა აქ რაღაც ახალი ქალაქის ანუ „ნეა-პოლისის“ აგებაში გამოიხატა[1].

რასაკვირველია, ეს მხოლოდ ვარაუდია და ნეაპოლისის განსაზღვრა საბოლოოდ ვერ ჩაითვლება, მაგრამ ერთი რამ კი საყურადღებოა: პტოლემაიოსი სრულიად არ ასახელებს მდ. ქობოსს, თუმცა ძირითადად არიანეს „პერიპლუსს“ მიჰყვება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს აღწერისას. შესაძლოა, რომ ნეაპოლისის აღნიშვნით პტოლემაიოსმა მოახდინა მდ. ქობოსის შესართავის ფიქსაცია და თვით მდინარე კი აღარ აღნიშნა, მით უფრო თუ მის დროს აქ რაიმე ახალი დასახლება იყო აღმოცენებული.

თუ ეს ვარაუდი სიმართლეს შეიძლება შეეფერებოდეს, მაშინ უფრო გასაგები იქნება არიანეს საქმიანობა ქობოსის შესართავში. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მან აქ საფუძველი ჩაუყარა კიდევ ერთ სიმაგრეს, რომაელთა კიდევ ერთ პუნქტს დასავლეთ საქართველოს სანაპიროზე, რაც, თავის მხრივ, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ რომის ხელისუფლება აუცილებლად მიიჩნევდა თავისი სიმაგრეებისა და გარნიზონების გამრავლებას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე გარდა ფაზისისა რომაული გარნიზონები მდგარა. აგრეთვე აფსაროსში (აწინდ. გონიო) და სებასტოპოლისში (აწინდ. სოხუმი). განსაკუთრებით ძლიერი რაზმი, როგორც აღნიშნული გვქონდა, აფსაროსში ყოფილა (5 კოჰორტა, ნახევარი ლეგიონი) და იგი რომაელთა მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი იყო მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს მიწა-წყალზე. აფსაროსის ასეთი სიძლიერე გაპირობებული უნდა ყოფილიყო მეზობელ ზიდრიტთა ოლქში იბერიის დამკვიდრებით; მის ერთერთ ძირითად დანიშნულებას, როგორც ჩანს, წარმოადგენდა რომის ვასალური ტერიტორიის დაცვა გაძლიერებული იბერიის შემოტევისაგან[2].

რაც შეეხება სებასტოპოლისს, იგი არიანეს დროს სანიგთა მიწა-წყალზე მდებარეობდა; აქ ყოფილა ციხე-სიმაგრე და მდგარა რომაული რაზმი, რომლის გარკვეულ ნაწილს ცხენოსანი მანიპულები შეადგენდა[3]. რამდენადაც სებასტოპოლისი რომაელთა ბატონობის უკანასკნელი პუნქტი იყო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მას ევალებოდა არა მარტო რომის ძალაუფლების დაცვა სანიგების სა-

---

[1] K. Müller, GGM, v. I, Parisii, 1888, გვ. 377, შენ. 1.

[2] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 375—377.

[3] Arrian., PPE, § 10.

მეფოში, არამედ რომის მოკავშირე სამეფოების და თვით რომის სამფლობელოების დაცვაც შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ სანაპიროების მეკობრე და აგრესიულად განწყობილი ტომებისაგან.

ამრიგად, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდგომი რომაული გარნიზონების დანიშნულებას წარმოადგენდა რომის ვასალური ტერიტორიების დაცვა გაძლიერებული იბერიისაგან. შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე ერთგვარი კონტროლის დაწესება და ამ მხრიდან რომის სამფლობელოთა უზრუნველყოფა და, რაც მთავარია, თვით დასავლეთ საქართველოს სამეფოებში რომის გავლენის განმტკიცება, ადგილობრივი მოსახლეობის დამოუკიდებლობისაკენ სულ უფრო მზარდი მიდრეკილების და ზოგჯერ ანტირომაული განწყობილების ალაგმვა.

რომ რომს მართლაც ჰქონდა გართულებები თვით ლაზეთშიაც, ამას უნდა მოწმობდეს ორი ცნობა. პირველი ეკუთვნის იმპერატორ ანტონინე პიუსის ბიოგრაფს იულიუს კაპიტოლინეს. იგი აღნიშნავს, რომ ანტონინემ „ლაზებს მისცა მეფედ პაკორი“ [1]. თუ ამ შემთხვევაში შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ ლაპარაკია ლაზებისათვის მეფის ჩვეულებრივ დამტკიცებაზე ისევე, როგორც ამას გვამცნობს არიანე მალასის შესახებ [2], მეორე ცნობა უკვე აშკარად მეტყველებს ლაზების დამორჩილებაზე. ჩვენ მხედველობაში გვაქვს VIII—IX სს. მოღვაწის გიორგი სინგელოზის „ქრონიკაში“ შენახული ცნობა: აქ ჩამოთვლილია იმპერატორ სეპტიმიუს სეველრუსის (193—211 წწ.) მიერ სპარსელთა დამარცხება, ნიზიბინის აღება, ადიაბენებისა და არაბების დამორჩილება და შემდეგ ნათქვამია, რომ „მანვე დაიმორჩილა კოლხიკე, ესე იგი ლაზიკე“ [3]. ამ ამბის თარიღად აღნიშნულია სეველრუსის მეფობის მე-18 წელი ე. ი. 211 წ. როგორც ჩანს, სეველრუსს დასჭირვებია ლაზეთის იარაღით დამორჩილება, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ უფრო ადრე ლაზები რომს განუდგნენ და უარი თქვეს მორჩილებაზე. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ, როგორც ფიქრობს გ. მელიქიშვილი, სწორედ II საუკუნეში არის სავარაუდო კოლხეთის ცალკეულ პოლიტიკურ

---

[1] SHA, Jul. Capit., IX, 6.

[2] თუმცა, გ. მელიქიშვილის აზრით, ამ ფორმულის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლაპარაკია დამარცხებულ ქვეყანაზე (К истории древней Грузии, გვ. 379).

[3] Georg. Syncell., G., IV, ნაკვ. I, გვ. 68.

ერთეულთა შორის მძაფრი შეტაკებები, რომლებიც დამთავრდა ლაზთა სამეფოს დაწინაურებით [1].

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ პოლიტიკურ ერთეულთა შორის პირველობისათვის ბრძოლა თავისთავად უდავოდ საკარაუდოა, მით უფრო, რომ IV საუკუნეში, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, ლაზების სამეფო იმორჩილებს კოლხეთის მიწაწყალზე არსებულ რიგ სამეფოებსა და ტომებს. ცხადია, ამას წინ უსწრებდა მათ შორის ბრძოლა. ამას გარდა, უკვე V საუკუნეში მნიშვნელოვნად უფრო ჩრდილოეთით ჩანს გადაწეული ლაზეთის სამეფოს ჩრდილოეთი საზღვარი და მისი მეზობელი აფსილები და აბაზგებიც აგრეთვე უფრო ჩრდილოეთით არიან გადანაცვლებული. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს ცნობები, თუ როდის და რა პირობებში მიმდინარეობდა ეს ბრძოლა.

გ. მელიქიშვილი, როცა ამ ბრძოლის თარიღად II ს. ასახელებს, ეყრდნობა არიანეს „პერიპლუსის“ მეორე ნაწილს, სადაც თითქოს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს ტომთა განსახლებაში მნიშვნელოვანი განსხვავებაა „პერიპლუსის“ პირველ, ძირითად ნაწილთან შედარებით. გ. მელიქიშვილი ამ შემთხვევაში მთლიანად იმეორებს კისლინგის მოსაზრებას ამ საკითხზე. კისლინგის მსჯელობა შემდეგნაირად არის აგებული: სებასტოპოლისის შემდგომი სანაპიროს აღწერისას არიანეს „პერიპლუსში“ დასახელებულია მდ. ა ბ ა ს კ ო ს ი, რომელიც თანამედროვე მდ. ფსოუს უნდა უდრიდეს და რომლის სახელი აბასკთა ტომის სახელწოდებიდან უნდა მომდინარეობდეს. მაშასადამე, ასკვნის კისლინგი, მთელი სანაპირო ამ მდინარემდე აბასკებს ეკუთვნოდა, როგორც ეს V ს. ანონიმთან გარკვევით არის დადასტურებული. ამავე დროს, არიანეს „პერიპლუსის“ პირველ ნაწილში სებესტოპოლისი სანიგების მიწაზეა დასახელებული და აბასკებს უჭირავთ ვიწრო ზოლი ჩრდილოეთ კოლხეთის სანაპიროზე. მაშასადამე, დასძენს კისლინგი, არიანეს ნამდვილ „პერიპლუსსა“ და მის გაგრძელებას შორის აშკარა წინააღმდეგობაა. ეს წინააღმდეგობა, მისი აზრით, აიხსნება იმით, რომ გაგრძელება არიანეს შრომისა უფრო გვიანდელი დამატებაა, შესრულებული ვიღაც უცნობი პირის მიერ II ს. ბოლოს. ამ გაგრძელების შედგენასა და არიანეს მოგზაურობას შორის მომხდარა აქაურ ტომთა განსახლებაში მნიშვნელოვანი ცვლილება. ამ მოსაზრებას, კისლინგის შეხედულებით, ადასტურებს მეორე ფაქტიც: არიანეს ანონიმი „გამგრძელებელი“ აღნიშნავს, რომ ზიგებიც (იგივე ზიხები, ზილხები) რო-

[1] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 379.

მის ქვეშევრდომნი არიან, რადგან მათ მეფეს სტაქემფაკს ტახტი არიანესგან მიუღია. ამავე დროს თვით არიანე საგანგებოდ წერს, რომ დიოსკურიაში, ანუ სებასტოპოლისში „მთავრდება რომაელთა სამფლობელოები პონტოს მარჯვენა მხარეს მცურავთათვის". მაშასადამე, აქაც წინააღმდეგობაა [1].

კისლინგის აზრით, არიანეს მოგზაურობის შემდეგ, II საუკუნის ბოლოს, მოხდა აბასკების (აბაზგების) ძალაუფლების გავრცელება დიოსკურიიდან მდ. აბასკოსამდე. ე. ი. მიწაწყალზე, რომელიც 30 ნამდე სანიგებს ეკავათ [2]. მთელ ამ მსჯელობას იმეორებს გ. მელიქიშვილი და დასძენს, რომ ლაზების დაწოლის შედეგად აფშილები და აბაზგები გადაწეულან ჩრდილოეთით მდ. კოდორის გადაღმა. ამასთან II ს. 30-იან წლებში შედარებით მცირე აბაზგთა გაერთიანებას თავისი ძალაუფლებისათვის დაუმორჩილებია ტერიტორია დიოსკურიიდან ფსოუმდე და მსხვილ ტომთა კავშირად ქცეულა [3].

მთელი ამ მსჯელობის ამოსავალი ჩვენ ნაკლებდამაჯერებლად მიგვაჩნია. ჯერ ერთი, მდ. აბასკოსის სახელწოდების მსგავსება აბაზგების სატომო სახელთან ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ამ კონკრეტულ პერიოდში აბაზგების განსახლება უსათუოდ ამ მდინარემდე ვივარაუდოთ. გამორიცხული არ არის აქ შემთხვევითი დამთხვევაც იყოს და, გარდა ამისა, დასაშვებია, რომ ამ მდინარესთან კავშირი აბაზგებს უფრო ადრეულ ხანაში ჰქონოდათ. ამას გარდა, იმავე პარაგრაფში ნახსენებია პუნქტი „ძველი ლაზიკა" (Πάλαι Λασική)[4]; კისლინგის მსჯელობას რომ გავყვეთ, მაშინ აქამდე გავრცელებულად უნდა წარმოვიდგინოთ ლაზების საცხოვრებელი ტერიტორიაც.

არ არის დამაჯერებელი არც კისლინგის მეორე საბუთი. როცა არიანე ამბობს, რომ დიოსკურიაში მთავრდება რომაელთა სამფლობელო, აქ ის შეიძლება იმასაც გულისხმობდეს, რომ ეს არის უკანასკნელი პუნქტი, სადაც რომაული გარნიზონი დგას და სულ არ არის სავალდებულო ვიფიქროთ, რომ, მისი აზრით, დიოსკურიის შემდეგ უკვე აღარც რომზე დამოკიდებული სამფლობელოები შეიძლება იყოს.

მაგრამ, რაც მთავარია, არიანეს „პერიპლუსის" ეს ნაწილი ისე ორგანულად უკავშირდება წინა ნაწილს, რომ ძნელია მისი შედგენა სხვა პირს მივაწეროთ. არიანე სწერს იმპერატორ ადრიანეს, რომ

---

[1] Kissling, ΗΝΙΟΧΟΙ, RE, VIII Bd., გვ. 274—275.

[2] იქვე, გვ. 275.

[3] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 371.

[4] Arrian., PPE, § 18.

დიოსკურიასთან მთავრდება რომაელთა სამფლობელოები, მაგრამ „რადგან გავიგე, რომ ეგრეთ წოდებული კიმერიული ბოსფორის მეფე, გარდაიცვალა, მე შევეცადე ამეწერა შენთვის გზა ბოსფორამდე, რათა, თუკი რაიმეს მოისურვებ ბოსფორის მიმართ, შესაძლებლობა გქონდეს იმსჯელო ამ გზის ცოდნის საფუძველზე“[1]. და შემდეგ, ამას მოჰყვება უშუალოდ სანაპიროს აღწერა დიოსკურიიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.

აქ ნახსენები ბოსფორის მეფე კოტისი არის ტიბერიუს იულიუს კოტის II, რომელიც სწორედ 131 წ. გარდაიცვალა. მაშასადამე არიანე ვარაუდობს რა, რომ ადრიანეს, ბოსფორის მეფის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, შეიძლება ჰქონდეს განსაკუთრებული მიზნები ბოსფორის სამეფოს მიმართ, საჭიროდ ცნობს ბოსფორში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან მიმავალი გზა აუწეროს და ამას ასრულებს კიდეც. მაგრამ, რადგანაც თვით არიანეს ეს გზა არ უნახავს, იგი ამ აღწერას ლიტერატურული წყაროების საფუძველზე ადგენს, რამაც გამოიწვია „პერიპლუსის“ ამ ნაწილში შედარებით მეტი შეცდომებისა და უზუსტობის დაშვება, ვიდრე შრომის ძირითად ნაწილში[2].

ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ არიანეს „პერიპლუსში“ უცნობი გამგრძელებლის ნაღვაწის ვარაუდი არ იქნება სწორი და ამდენად II ს. ბოლოსთვის ლაზთა მიერ აფშილებისა და აბაზგების შევიწროება და მათი ჩრდილოეთისაკენ გადაწევა არ არის წყაროებით დასაბუთებული. მაშასადამე, თუმცა ჩვენ აპრიორად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამეფოთა და ტომთა შორის ბრძოლა უდავოდ მიგვაჩნია, რაიმე კონკრეტული ცნობა ამ ბრძოლის დროისა და ვითარების შესახებ არ გაგვაჩნია.

შემდეგი ცნობები დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ვითარების შესახებ ჩვენ მხოლოდ III ს. 50-იანი წლებისათვის გვაქვს. ბიზანტიელი ისტორიკოსის ზოსიმეს (V—VI სს.) „ახალ ისტორიაში“ შენახულია მოთხრობა სკვითების (იგივე გუთების) მიერ დასავლეთ საქართველოს სანაპიროთა დარბევის შესახებ იმპერატორების ვალერიანეს და გალიენის ერთობლივი მმართველობის დროს (253—260 წწ.). ზოსიმე მოგვითხრობს, რომ 252 წ. ბოსფორის მმართველებმა მისცეს სკვითებს გასასვლელი გზა აზიაში და საკუთარი ხომალდებითაც კი გადაიყვანეს ისინი. როდესაც სკვითებმა ყვე-

---

[1] Arrian., PPE, § 17.

[2] E. Schwartz, Arrianus, RE, II Bd. გვ. 1232; ნ. კეკელიძე, შესავალი არიანეს „პერიპლუსის“ გამოცემისა, გვ. 6.

ლაფრის მოოხრება დაიწყეს, პონტოს სანაპიროების მცხოვრებლებმა თავი შეაფარეს ხმელეთის შიგნით მდებარე ოლქებსა და გამაგრებულ ადგილებს, სკვითები პირველ ყოვლისა თავს დაესხნენ პიტიუნტს, „რომელიც შემოზღუდული იყო უზარმაზარი კედლით და რომელსაც ჰქონდა კარგად მოწყობილი ნავსადგური". აქ მდგომი ჯარის სარდალმა სუკესიანუსმა შეუტია მომხვდურ სკვითებს, დაამარცხა ისინი და აიძულა თავის ქვეყანაში გაქცეულიყვნენ [1]. მაგრამ შემდეგ, როდესაც იმპერატორმა ვალერიანემ სუკესიანუსი რომში გაიწვია, სკვითები კვლავ გამოჩნდნენ, ისევ ბოსფორელთა ხომალდებით. ამჯერად ისინი მიადგნენ ქ. ფაზისს და სცადეს აქ მყოფი არტემიდას საკურთხევლის აღება, მაგრამ, რადგან ეს ვერ მოახერხეს, კვლავ პიტიუნტს მიაშურეს, აიღეს იგი, გაძარცვეს, მისი მცველი ჯარი გაწყვიტეს და იშოვეს რა დიდი რაოდენობა ხომალდებისა, რომლებზედაც ნიჩბების ხმარების მცოდნე ტყვეები დასვეს, ილაშქრეს ტრაპეზუნტის წინააღმდეგ, აიღეს იგი და საშინლად გაძარცვეს [2].

ზოსიმეს ამ მონათხრობში ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოებები. ჯერ ერთი, აქ ლაპარაკია ბიჭვინტაში ძლიერი სიმაგრისა და ნავსადგურის არსებობაზე და აქ რომაული რაზმის გარნიზონად დგომაზე. ეს სურათი მკვეთრად განსხვავდება არიანეს მონათხრობისგან. არიანეს მიხედვით, პიტიუნტში რომაული რაზმი არ დგას და თანაც იგი პიტიუნტს „სადგომს" (ὅρμος) უწოდებს [3]. რაც შეუფერებელი იქნებოდა ისეთი ძლიერი სიმაგრისათვის, როგორსაც ზოსიმე აღწერს. როგორც ჩანს, I ს. ჰენიოხთაგან გაძარცვული პიტიუნტი II ს-ის 30-იან წლებში ჯერ კიდევ უმნიშვნელო პუნქტს წარმოადგენდა, მაგრამ III ს. შუა წლებისათვის იგი კვლავ გაშენებულა, აქ ძლიერი ციხე აგებულა და რომაელებს საკმაოდ ძლიერი რაზმიც ჩაუყენებიათ. პიტიუნტ-ბიჭვინტის ეს აღორძინება, გარდა საერთოდ დასავლეთ საქართველოში ამ დროს საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებისა [4], გამოწვეული უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში გუთებისა და სკვითების გააქტიურებით.

შემდეგ, ზოსიმეს ზოგიერთი ცნობა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სკვითებთან ბრძოლაში მონაწილეობდა აგრეთვე

---

[1] Zosim., Hist. Nova, I; G., I, გვ. 266—268.

[2] იქვე, I, 32—33; G., I, 268—269; L. Schmidt, Geschichte der deutschen Stäme bis zum Ausgang der Völkerwanderung, I Bd., 1 Ausl., Berlin, 1904, გვ. 67.

[3] Arrian., PPE, § 18.

[4] ამ საკითხზე იხ. ქვემოთ

ადგილობრივი მოსახლეობაც. ამაზე მიუთითებს ზოსიმე მაგალითად ტრაპეზუნტის აღების აღწერისას; იგი აღნიშნავს, რომ აქ თავი მოეყარათ „თითქმის ყველა გარშემო მცხოვრებთა"[1]. ვფიქრობთ, ამ გარემოებას უნდა ადასტურებდეს ზოსიმეს მითითება, რომ პიტიუნტის აღების მერე სკვითებმა გაწყვიტეს მცველი ჯარი, ხოლო მეხოფეებად გამოიყენეს ტყვეები. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ტყვეებში სწორედ ბიჭვინტის მიდამოების მცხოვრებლები არიან სავარაუდონი (რომაული ჯარი გაწყვეტილია!), რომლებიც ძველთაგანვე კარგ ნაოსნებად იყვნენ ცნობილი.

გ. მელიქიშვილი ყურადღებას აქცევს კიდევ ერთ გარემოებას. გუთები (სკვითები) დამარცხდნენ ფაზისთან, იმ დროს, როდესაც წარმატება მოიპოვეს ბიჭვინტასა და ტრაპეზუნტში. გუთების წარუმატებლობა ფაზისთან, გ. მელიქიშვილის აზრით, შეიძლება იყოს მოწმობა ლაზეთის სამეფოს გაზრდილი ძლიერებისა; ლაზები უდავოდ აქტიურად გამოდიოდნენ მომხვდური გუთების წინააღმდეგ[2]. მართლაც, ძნელი საფიქრებელია, რომ ფაზისში უფრო ძლიერი რომაული გარნიზონი მდგარიყო, ვიდრე ტრაპეზუნტში. ზოსიმეს სიტყვით, ამ უკანასკნელს, გარდა ადგილობრივი ჯარისა, კიდევ ათი ათასი სხვა ჯარისკაცი იცავდა[3]. ისე რომ, გუთების მარცხი ფაზისთან სწორედ ადგილობრივი სახელმწიფოს ძლიერებით უნდა იქნეს ახსნილი.

იმპერატორმა კლავდიუს II (268—270) შესძლო გუთების სერიოზული დამარცხება და ძირითადად მათი თავდასხმების შეკვეცა. ხოლო ავრელიანეს (270—275) მნიშვნელოვანმა წარმატებებმა ააცილეს, დროებით მაინც, იმპერიას გუთების შემოჭრის უშუალო საფრთხე. მაგრამ ავრელიანეს გარდაცვალებისთანავე, 275 წ. თავი იჩინა გუთების ახალმა თავდასხმამ. ზოსიმეს მოთხრობით, ამჯერადაც ისინი მდ. ფაზისთან გადმომსხდარან, მაგრამ ზოსიმე არაფერს ამბობს ქ. ფაზისის აღების შესახებ და აღნიშნავს, რომ აქედან გუთები სანაპიროს გასწვრივ ჩავიდნენ პონტოში და შემდეგ გალატიასა და კილიკიაში შეიჭრნენ[4]. მათთან ომს რომაელები რამოდენიმე წელიწადს მოუნდნენ და მხოლოდ იმპერატორმა პრობუსმა (276—282) შესძლო მათი შემორიგება[5].

---

[1] Zosim., Hist. Nova, I, 31.

[2] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 340.

[3] Zosim., Hist. Nova, I, 33. G., I, 269.

[4] Zosim., Hist. Nova, I, 63—64; B. Rappaport, Die Einfälle der Goten in das Römische Reich, Lpz., 1899, გვ. 101.

[5] Zosim., Hist. Nova, I, 71.

საყურადღებოა, რომ ამ თავდასხმის დროსაც გუთებს, რომლებიც ფაზისთან გადმოსხდნენ ხომალდებიდან. თვით ამ ადგილებში არაფერი მოუმოქმედიათ და სამხრეთისაკენ წასულან. ეს ახალი მონაცემი გ. მელიქიშვილის ზემომოტანილ აზრს კიდევ ერთხელ უნდა ადასტურებდეს.

ჩრდილოეთის ტომებთან ბრძოლის შემდგომი ეპიზოდი უკვე III საუკუნის მიწურულზე მოდის. კონსტანტინე პორფიროგენეტს დაცული აქვს ცნობა, რომელიც მას რომელიღაც ლიტერატურული წყაროდან უნდა აეღო[1], რომ რომში დიოკლეტიანეს იმპერატორობის დროს (284—305) ბოსფორელთა მეფემ სავრომატე კრისკონორეს ძემ შეკრიბა სარმატები და ილაშქრა რომაელების წინააღმდეგ: ჯერ მას ლაზთა ქვეყანა დაუპყრია (καταλαβὼν), უომია იქაურ მცხოვრებლებთან (πολεμήσας τοὺς ἐκεῖσε...) და შემდეგ მდ. ჰალისამდე (აწინდ. ყიზილ-ირმაკი) მისულა. დიოკლეტიანემ შემოსეულ სარმატთა წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა ეგზარქოს კოსტას მეთაურობით. ამ უკანასკნელს შეუჩერებია სარმატები ჰალისზე, მაგრამ სარმატებთან გამკლავება ვერ შესძლო და იძულებული იყო სხვა ხერხისთვის მიემართა: რომაელებმა შეუსიეს ბოსფორს ქერსონესელები, რომლებმაც აიღეს ბოსფორი და შემდეგ შოლაპარაკება გამართეს სავრომატესთან. უკანასკნელი იძულებული გამხდარა ზავზე დათანხმებულიყო, დაბრუნებულა ლაზეთში. აქედან ქერსონესელთა მძევლები თავის კაცებთან ერთად ბოსფორში გაუგზავნია, რათა მათ ქერსონესელებისგან ბოსფორი ჩაებარებინათ და შემდეგ დაბრუნდა უკან[2].

ამრიგად, სარმატების ამ შემოსევის ასპარეზი ძირითადად ლაზეთი და პონტოს პროვინცია გამხდარა. თვით სავრომატე კი ამ ლაშქრობის დროს, როგორც ჩანს, ლაზეთში დამკვიდრებულა. გ. მელიქიშვილი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ თვით ლაზეთში არ არის ნახსენები რომაული ჯარი და სავრომატე მხოლოდ „აქაურ მცხოვრებლებს“, ე. ი. ლაზებს ეომება. ამაში შესაძლოა იმის მოწმობა დავინახოთ, რომ აქ, ამ დროისთვის რომაელთა გარნიზონები აღარ მდგარა, თუმცა ფორმალურად ლაზეთი კვლავინდებურად რომის გავლენის სფეროში ითვლებოდა[3].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტის ეს

---

[1] Bury-ს შენიშვნები კონსტანტინე პორფიროგენეტის გამოცემისადმი: CB. 1840. v. III, გვ. 244—268.

[2] Const. Porphyr., De adm. imp., LIII, G., IV, 2, 287—288.

[3] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 381.

მოთხრობა მეცნიერთა ნაწილის მიერ, თ. მომზენის ავტორიტეტზე დაყრდნობით [1], არასანდოდ იყო მიჩნეული და მისი ისტორიული ღირებულება უარყოფილი იყო. მაგრამ, უკანასკნელ ხანებში დამტკიცებულ იქნა (ს. მ. შესტაკოვი, გ. მანოილოვიჩი, რ. ა. ჯენკინსი), რომ ეს ცნობა კონსტანტინეს აღებული ჰქონია ქერსონესული ძველი ქრონიკიდან, რომელიც იმპერატორს ქერსონესის მმართველისაგან მიუღია. ქრონიკის ხასიათი, კერძოდ აღწერის დეტალურობა, კხადყოფს ამ წყაროს მაღალხარისხოვნებას და სანდოობას[2].

უკანასკნელად ამ საკითხს საგანგებოდ შეეხო ი. ჰარმატა. უპირველეს ყოვლისა, მან დამაჯერებელი ახსნა მისცა ერთ გარემოებას, რომელიც თითქოს კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობას დამაჯერებლობას აცლიდა. საქმე ისაა, რომ ბოსფორის მონეტებიდან სრულიად აშკარად ირკვევა, რომ 286—308 წწ. ბოსფორში მეფობდა თოთორსი [3], კონსტანტინესთან კი 291—292 წწ. ლაზეთში შემოჭრასთან დაკავშირებით ბოსფორის მეფედ დასახელებულია სავრომატე. მაგრამ განსხვავება ამით არ ამოიწურება; სავრომატედვე ახსენებს კონსტანტინე მომდევნო ორ მეფესაც. მონეტები კი ცხადყოფენ, რომ თოთორსის შემდეგ მეფობენ რადამსადე (309—318) და რისკუპორიდე (318—332) [4]. სწორედ ეს გარემოება აძლევს საბუთს ი. ჰარმატას დაასკვნას, რომ ქერსონესულ ქრონიკაში სახელი სავრომატე იყო საერთოდ ბოსფორის მეფეთა საზოგადო სახელი [5].

შემდეგ ი. ჰარმატა აღნიშნავს, რომ სწორედ III ს-დან ბოსფორში შეიმჩნევა ირანული (სარმატულ-ალანური) ელემენტების გაძლიერება. ბოსფორის მეფეთა შორის ჩნდებიან სარმატული თუ ალანური წარმოშობის მეფეები (ინინთიმენე თუ ინინთიმაიოსი, ფარსანძი, თოთორსი). კერძოდ მეფე თოთორსის სახელი ასახავს, როგორც ჩანს, ირანულ სახელს *ϑuϑʷrʷs.

და ბოლოს ი. ჰარმატა იმოწმებს სასანური ხანის წარწერას პაიკულიდან, რომლის გამოყენება როგორც ისტორიული წყაროსი, მისი ფრაგმენტული ხასიათის გამო, ფრიად გაძნელებული იყო. წარწერაზე ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ ი. ჰარმატამ შესძლო ამ

---

[1] Т. Моммзен. История Рима, т. V, გვ. 270, შენ. 1.

[2] С. М. Шестаков, По поводу новейших трудов по истории и топографии Херсонесса Таврического, Казань, 1908, გვ. 35—36.

[3] Н. Н. Зограф, Античные монеты, МИА, № 16, 1951, გვ. 211—212.

[4] იქვე. გვ. 212.

[5] Я. Харматта. К истории Херсонесса Таврического и Боспора, Античное общество, Труды конференции по изучению проблем античности, М., 1967, გვ. 204—206.

წარწერის უდიდესი ნაწილის წაკითხვა და მასში მოთხრობილი ამბების განმარტება.

წარწერის შინაარსი ასეთია: დასაწყისში ნათქვამია, რომ ძეგლი და მასზე წარწერა გაკეთებულია „უფალის ნარსეს, ირანისა და არაირანის მეფეთ მეფის, მეფეთ მეფე შახპუჰრის ძისა და მეუფე და მეფეთ მეფე არტახშაჰრის შვილიშვილის“ მიერ. შემდეგ მოთხრობილია, რომ ნარსე იყო მეფე არმენიისა და იცავდა არმენიის საზღვრებს. როცა მაზკუთების (ჰარმატათი — სარმატების ან ალანების) ჯარმა გაიარა არმენიაზე და ვახნამმა თუთრუსის ძემ თავისი გაბოროტების გამო მიაყენა ზიანი არმენიას. შემდეგ წარწერიდან ირკვევა, რომ ნარსესა და სეგისტანის მეფეს ვარხრანს შორის წარმოიქმნა მტრობა — ორივე ცდილობდა ხელთ ეგდო ირანის ტახტი. სწორედ ამ ვარხრანის დასახმარებლად მოსულა მაზკუთების ჯარით ზემოხსენებული ვახნამი. ხანგრძლივი ბრძოლების მერე, რომელიც წარწერაშია აღწერილი, ნარსეს მხედართმთავრებს დაუმარცხებიათ ვახნამი ურმიის ტბის მიდამოებში და ტყვედ ჩაუგდიათ.

ვახნამის მამის თუთრუსის სახელი, ი. ჰარმატას აზრით, იდეუტური უნდა იყოს ბოსფორის მეფის თუთურს-თოთორსის სახელისა (Tuθrus → T'uθur"s). ი. ჰარმატას მიაჩნია, რომ შეუძლებელია შემთხვევითი იყოს დამთხვევა ბოსფორის მეფის თოთორსის ლაზიკაზე თავდასხმისა და თუთურსის ძის ვახნამის შეჭრისა არმენიაში: მისი აზრით, თუთრუს, ვახნამის მამა და თოთორსი, ბოსფორის მეფე, ერთი და იგივე პირი უნდა იყოს. ასეთი ვარაუდის სისწორის შემთხვევაში მოვლენათა განვითარება ასე უნდა წარმოვიდგინოთ: 291 წ. თოთორსი, ბოსფორის მეფე, შეიჭრა ლაზიკასა და მცირე აზიაში იმავე დროს, 292 წ. მისი ვაჟი ვახნამი მოქმედებს არმენიაში და ერევა სასანური დინასტიის ტახტისათვის ბრძოლაში. ქერსონესელთა თავდასხმამ ბოსფორზე აიძულა თოთორსი უკან დაბრუნებულიყო, მისი ვაჟი კი, ვახნამი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა[1].

ი. ჰარმატას მიერ ახალი წყაროს მოშველიება კიდევ ერთხელ ადასტურებს კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობის რეალურობას.

ამით ამოიწურება ჩვენს ხელთ არსებული ცნობები ლაზეთის პოლიტიკური ისტორიის შესახებ II—III საუკუნეებში.

რაც შეეხება ამ ხანის ეკონომიურ ვითარებას, ჩვენს ხელთ არსებული მასალა საშუალებას გვაძლევს დავადასტუროთ გარკვეული სამეურნეო პროგრესი წინარე პერიოდთან შედარებით, რაც პირველ

---

[1] Я. Харматта, დასახ. ნაშრომი, გვ. 207—208.

რიგში, საქალაქო ცხოვრებისა და ვაჭრობის, კერძოდ საგარეო ვაჭრობის. გამოცოცხლებაში უნდა დავინახოთ.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამორკვეულია, რომ ელინისტური ხანის დასასრულისათვის ხდება დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ქალაქების დაცემა-დაქვეითება. ჩრდილო კოლხეთის ქალაქების — ბიჭვინტისა და დიოსკურიის არქეოლოგიური მასალის ანალიზი აძლევს საფუძველს მ. ინაძეს ამ ქალაქთა დაცემის ერთერთ მიზეზად აღიაროს ქალაქისა და მის გარშემო მდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ადგილობრივ წვრილ-ხელოსანთა და მიწათმოქმედთა გაჩანაგება-გაღატაკება[1]. საერთოდ კი, დასავლეთ საქართველოს ქალაქების დაცემას ხელი შეუწყო აგრეთვე რომსა და პონტოს სამეფოს შორის ხანგრძლივი ომის დროს კოლხეთის სავაჭრო ურთიერთობის მოშლამ. კოლხეთის საგარეო ვაჭრობის შესუსტება სავსებით აშკარად ჩანს ძვ. წ. I—ახ. წ. I სს[2].

ჩრდილო კოლხეთის ქალაქების დაცემის შესახებ წერილობით წყაროებშიაც გვაქვს ცნობები. პ ლ ი ნ ი უ ს ი აღნიშნავს, რომ მის დროს, ე. ი. ახ. წ. I ს. პირველ ნახევარში, ოდესღაც დიდი სავაჭრო ცენტრი დიოსკურია დაცარიელებულია[3]. იგივე პლინიუსი პიტიუნტის შესახებ წერს, რომ იგი გაძარცვულია ჰენიოხთა მიერ[4] და, როგორც ზევითაც გვქონდა აღნიშნული, არიანეს დროსაც იგი მეორეხარისხოვან სადგომად რჩებოდა მხოლოდ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს გარკვეული დაქვეითება განიცადა ფაზისმაც. ამ მხრივ, აღსანიშნავია არიანეს ცნობა, რომ აქ გამომწვარი აგურის კედლები და კოშკები მის დროს ახალი აგებული იყო[5].

მაგრამ უკვე ახ. წ. I საუკუნიდან ძველი დაქვეითებული ქალაქების ადგილას იწყება ახალი ტიპის ქალაქების აღმოცენება. ასე მაგალითად, იგივე პლინიუსი დიოსკურიის გვერდით ასახელებს ციხე (castellum) სებასტოპოლისს[6]. არიანეს მოწმობით, სებასტო-

---

[1] მ. ი ნ ა ძ ე. ანტიკური ხანის ჩრდილოეთ კოლხეთის ქალაქების განვითარების ხასიათის საკითხისათვის, სმაძ, ტ. XXIII, № 6, 1959, გვ. 771 და 772.

[2] მ. ი ნ ა ძ ე, სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, 1962, № 11. გვ. 119.

[3] P l i n., NH, VI, 16.

[4] იქვე. VI, 16.

[5] A r r i a n., PPE. § 9.

[6] P l i n., NH. VI, 14.

პოლისი ძველად დიოსკურიად იწოდებოდა, აქ ძლიერი სიმაგრე იყო და რომაული გარნიზონი იდგა[1]. საკმაოდ ძლიერი ციხე-სიმაგრეა ახ. წ. II ს. დასაწყისში, როგორც ზევით აღვნიშნეთ. აგრეთვე ფაზისიც, ხოლო არიანეს მიერ აქ ვაჭართა უბნის დასახელება ცხადყოფს, რომ იგი ამავე დროს მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრსაც წარმოადგენდა.

არიანეს დროს ასევე გაძლიერებულ-განმტკიცებული ჩანს კოლხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე აფსაროსის ციხე-ქალაქიც (გონიო)[2].

რაც შეეხება პიტიუნტს, როგორც ზოსიმეს ზემომოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, მისი აღდგენა-აღორძინება უფრო გვიან, ახ. წ. III ს. პირველ ნახევარში უნდა მომხდარიყო[3].

მ. ინაძის აზრით, ამ ახალი ტიპის ქალაქებისათვის, განსხვავებით ელინისტური ხანის ქალაქებისგან, რომელთა ეკონომიკის საფუძველს წვრილი ხელოსნობა და წვრილი მიწათმფლობელობა წარმოადგენდა, დამახასიათებელი იყო ხელოსნობისა და კერძო მიწათმფლობელობის შედარებითი გამსხვილება. ამას გარდა, თუკი ელინისტური ხანის ქალაქები ძირითადად და პირველ რიგში სავაჭრო-ეკონომიურ ცენტრებს წარმოადგენდნენ, ახალი ქალაქები უმთავრესად სამხედრო-სტრატეგიული პუნქტები, ციხე-ქალაქები იყო, რომელთა მთავარი დანიშნულება რომის საზღვრებისა და თვით ამ ქვეყანაში ძალაუფლების დაცვა იყო. მკვლევარი ყურადღებას აქცევს სხვათა შორის იმასაც, რომ პლინიუსი დიოსკურიას უწოდებს urbs ან oppidum, ე. ი. უბრალოდ ქალაქს, ხოლო სებასტოპოლისს — castellum ანუ ციხეს[4].

მაშასადამე, ასეთი ახალი ტიპის ციხე-ქალაქები წარმოქმნილა შავი ზღვის სანაპიროზე როგორც მაკრონ-ჰენიოხების მიწაწყალზე, ისე ლაზეთის და აგრეთვე სანიგების ტერიტორიაზე.

რაც შეეხება კოლხეთის შიდა რაიონებს, აქაური ქალაქების დასახელება ჩვენს წყაროებში თითქმის არ გვხვდება. უძველეს დროს

---

[1] Arrian., PPE, § 10.

[2] იქვე, § 6; შეად. ი. გრძელიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, 1964, გვ. 59—94.

[3] Kissling, RE, VIII Bd, გვ. 1755; აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიური მასალა თითქოს ამ თარიღს ცოტა უკან წევს და შესაძლოა ბიჭვინტის აღდგენა II ს. მეორე ნახევარში მომხდარიყო.

[4] მ. ინაძე, სმამ, ტ. XXIII, № 6, გვ. 772—773.

წყაროები აქ სულ რამოდენიმე ქალაქს ასახელებენ. ყველაზე ხშირად იხსენიება ძველი კოლხეთის დედაქალაქი აია, მაგრამ ეს სახელი სულ სხვადასხვა ადგილას თავსდება და მისი დაკავშირება რომელიმე კონკრეტულ ქალაქთან ძნელდება; ამასთან, ამ სახელით ხშირად კოლხების ქვეყანა იხსენიება და არა რომელიმე ქალაქი და ამდენად საფიქრებელია, რომ ამ სახელით თავდაპირველად აღნიშნებოდა თვით ქვეყანა კოლხეთისა და შემდეგ, მერმინდელმა ავტორებმა შეცდომით დაინახეს მასში ქალაქი [1].

ძვ. წ. IV საუკუნის „პერიპლუსის“ ავტორს, ე. წ. ფსევდო-სკილაქს კარიანდელს კოლხეთის შიგნით დასახელებული აქვს დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა; ეს ქალაქი ზღვიდან 150 სტადიონის მანძილზე (დაახლ. 27 კმ) რიონ-ფაზისის პირას მდებარეობდა [2].

აპოლონიოს როდოსელი (ძვ. წ. III ს.) ასახელებს აგრეთვე კოლხეთის ქალაქს კჳტაიისს (Κυταιῆς), რომელიც ნახსენებია აგრეთვე ამ საუკუნის სხვა ავტორებთანაც, კერძოდ ლიკოფრონ ქალკიდელთან და კალიმაქესთან და რომელიც სახელის მიხედვით ქუთაისთან უნდა იყოს გაიგივებული [3].

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ იხსენიება ციხე-სიმაგრე სარაპანა (Σαραπανά) ანუ შორაპანი [4].

პლინიუსი შიდა კოლხეთში მხოლოდ ქ. სურიუმზე ლაპარაკობს. იგი აღნიშნავს, რომ „მდ. ფაზისის ნაპირას მდებარეობდა რამოდენიმე ქალაქი, რომელთა შორის უსახელოვანესია ტინდარიდა, კირკეუმი და კინუმი და შესართავთან ფაზისი; მაგრამ განსაკუთრებით სახელმოხვეჭილი იყო აია, ზღვიდან 15000 ნაბიჯის დაშორებით, იქ სადაც ფაზისს სხვადასხვა მხრიდან უერთდება დიდი მდინარეები ჰიპოსი და კიანეოსი. ამჟამად არსებობს მხოლოდ სურიუმი (Surium), რომელმაც სახელი მიიღო მდინარისაგან, რომელიც ფაზისს უერთდება იმ ადგილას, სადამდისაც ის, როგორც აღვნიშნეთ, სანაოსნოა დიდი ხომალდებისათვის“ [5].

მიუხედავად იმისა, რომ პლინიუსის მიერ ფაზისის ნაპირას დასახელებული ქალაქების ლოკალიზაცია ვერ ხერხდება, საინტერე-

---

[1] ა. ურუშაძე. აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა, 1958. გვ. 182, 301.

[2] Pseudo-Scyl., § 81.

[3] ა. ურუშაძე. ძველი კოლხეთი არგონავტების ლეგენდაში. 1964. გვ. 182, 301, 493—494.

[4] Strabo, XI, 2, 17; XI, 3, 4.

[5] Plin., NH, VI, 13.

სოა თვით ფაქტი, რომ პლინიუსი ძველად კოლხეთის ზღვისპირეთში დენიმე ქალაქის არსებობას აღნიშნავს, თავისი დროისათვის კი მხოლოდ ერთ ქალაქს — სურიუმს ასახელებს. როგორც ჩანს, ძვ. წ. I საუკუნეში დაცემა-დაქვეითება განიცადა არა მარტო კოლხეთის ზღვისპირეთის, არამედ შიდა რაიონების ქალაქებმაც.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ ანტიკური დროის კოლხეთის ერთერთი დიდი ქალაქი ვანი, რომელიც არქეოლოგიური გათხრების შედეგად გახდა ცნობილი, სწორედ ძვ. წ. I საუკუნეში ჩანს დანგრეული[1]. ზოგიერთი მკვლევარი ვანის დაღუპვას მითრიდატე VI და პომპეუსის ბრძოლებით ხსნის[2], ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს უფრო უნდა მომხდარიყო ძვ. წ. I ს. 40-იან წლებში, როდესაც კოლხეთი გახდა რომაელთა მიერ ბოსფორის მეფედ დანიშნულ მითრიდატე პერგამელსა და ადგილობრივი ტახტის პრეტენდენტის — ასანდრეს შორის ბრძოლის ასპარეზი[3]. მაგრამ ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა ის გარემოება, რომ ვანიც სწორედ იმ დროს ინგრევა, როცა ხდება ზღვისპირა ქალაქების დაქვეითება.

რაც შეეხება თვით პლინიუსის მიერ დასახელებულ ქ. სურიუმს, ნ. ხოშტარია მას სწორედ ქ. ვანთან აიგივებს. ნ. ხოშტარიას აზრით, გაიგივების მთავარი საფუძველია ამ ქალაქისა და ვანის მეზობლად მდებარე სოფ. ციხესულორის სახელების დამთხვევა. „სუ-ლ-ორი და სუ-რ-ი-უსი — წერს ნ. ხოშტარია — შესაძლებელია ერთი და იგივე სახელწოდებას წარმოადგენს"[4].

ჩვენ არ გვგონია, რომ სახელთა ასეთი, მეტად საეჭვო დამთხვევა საკმარისი იყოს სურიუმის ვანთან გაიგივებისათვის. თავის დროს ჩვენ პლინიუსის სურიუმი, ისევე როგორც კლავდიოს პტოლემაიოსის სურიონი (Σούριον) და IV ს. საგზაო რუკის, ე. წ. Tabula Peutingeriana-ს გადამმუშავებლის, ე. წ. „რავენელი ანონიმის" სურტუმი (Surtum—Surium) გავაიგივეთ შორაპნის ქვევით, მდ. ყვირილის ნაპირას მდებარე სოფ. სვირთან[5].

იწყება თუ არა შიდა კოლხეთის ქალაქთა ხელახალი აღმავლობა ახ. წ. I—II საუკუნეებში, როგორც ეს ზღვის სანაპიროზე ჩანს, ჩვენ არ ვიცით. მაგრამ გარკვეულ ინტერესს იწვევს II საუკუნის

[1] Н. В. Хоштария, Археологические раскопки в Вани, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, II. 1962, გვ. 68. 74—75.

[2] იქვე, გვ. 75.

[3] შეად. მაგ., Strabo, XI, 2, 17.

[4] საქართველოს არქეოლოგია, 1959, გვ. 233.

[5] Н. Ю. Ломоури, Из исторической географии древней Колхиды, ВДИ, 1957, № 4, გვ. 109, 110

ცნობილი მეცნიერის კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ კოლხეთის შიდა რაიონებში რამდენიმე დასახლებული პუნქტის — „ქალაქისა და სოფლის“ (πόλεις καὶ κωμαι) დასახელება[1]. მართალია, დასახელებული ხუთი პუნქტიდან ჩვენ არ ვიცით, რომელია ქალაქი და რომელი სოფელი და ორი მათგანის ლოკალიზაციაც არ ხერხდება, მაგრამ თავისთავად საინტერესოა მათი შეტანა პტოლემაიოსის „გეოგრაფიაში“. ცხადია, რომ პტოლემაიოსის ნაშრომში ვერ მოხვდებოდა უმნიშვნელო, მეორეხარისხოვანი პუნქტები და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ პტოლემაიოსის წყაროთა შორის ასახელებენ საგზაო-სავაჭრო რუკებს, ვაჭარ-მოგზაურთა ჩანაწერებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პუნქტებს გარკვეული ეკონომიური მნიშვნელობაც ჰქონდა.

პტოლემაიოსთან დასახელებული ხუთი პუნქტიდან, როგორც აღვნიშნეთ, ორის — მადიას და ძადრისის — ლოკალიზაცია საერთოდ ვერ ხერხდება. პუნქტი სარაკე სარაპანის-სარაპას, ანუ შორაპანის შერყვნილი ფორმა უნდა იყოს[2]. სურიონზე ჩვენ ზევით გვქონდა საუბარი, ხოლო მეხლესოსზე კი საჭიროდ ვთვლით უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ.

მეხლესოსის (Μεχλεσσός) ლოკალიზაციის საკითხს შეეხო კ. მიულერი და შემდეგ ჰერმანი. ორივე მეცნიერი ამ პუნქტის სახელს უკავშირებს სვიდას „ლექსიკონში“ და ლუკიანესთან მოხსენიებულ მახლიების ტომს (Μάχλυες), რომელიც, თავის მხრივ, გაიგივებულია ფსევდო-არიანეს მახელონებთან, არიანეს მაკრონებთან და პტოლემაიოსის მანრალებთან. ჰერმანი პირდაპირაც ამბობს, რომ პუნქტი მეხლესოსი და მახლიების ტომი უნდა ვეძიოთ აწინდელ სამეგრელოში[3], მაგრამ მეხლესოსის დაკავშირება მახლიებთან (მახელონ-მაკრონ-მანრალებთან) ფაქტიურად არაფერს იძლევა მისი ლოკალიზაციისათვის.

ჩვენ უურადღება მივაქციეთ იმ გარემოებას, რომ გვიანდელ ბიზანტიელ მწერალთან პროკოპი კესარიელთან რამდენიმეჯერ იხსენიება ლაზეთის ერთერთი უველაზე დაწინაურებული და უხვმოსავლიანი ოლქი მოხერესის მხარე (Μοχήρεσις)[4].

---

[1] Cl. Ptol., Geogr., V, 9, 6.

[2] Н. Ю. Ломоури, Из исторической географии..., გვ. 109.

[3] Cl. Ptolemaei Geographia, Ed. C. Müllerus. v. I, Pars II, Parisii, 1901, გვ. 225; Hermann, RE, XXIX Bd. I, Reihe, გვ. 17.

[4] Procop., De BG, VIII, 14, G., II, 194—195.

ს. ყაუხჩიშვილისა და ს. ჯანაშიას ლოკალიზაციით მოხერესის (მოხირისის) მხარე შეეფერება დღევანდელ ქვემო იმერეთს და შეიცავდა ტერიტორიას ცხენისწყალსა და რიონს შორის[1]. როგორც გადმოგვცემს ს. ყაუხჩიშვილი, 1930 წ. აქ ძიება უწარმოებია ნ. ბერძენიშვილს; ამ ძიების შედეგად გამორკვეულია, რომ სწორედ ამ ტერიტორიაზე, ოღონდ რიონის მარცხენა ნაპირას, აწინდელ სამტრედიის რაიონში, სოფ. დაბლაგომთან მდებარე მხარეს ეხლაც ბუხური ეწოდება, ხოლო დაბლაგომის აღმოსავლეთით, მისგან 4-5 კმ. დაშორებით, მდებარეობს მუხურის ციხე.

მუხურის ციხესთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ პროკოპი კესარიელი, გარდა მოხირისის მხარისა, ასახელებს ამავე სახელწოდების ქალაქსაც, რაგორც ლაზიკის ერთერთ საუკეთესო ქალაქს[2]. შესაძლოა, რომ იგივე ქალაქია დასახელებული იმპერატორ იუსტინიანეს ერთერთ ნოველაში, ოღონდ დამახინჯებული ფორმით — მურისიოს (Μουρίσιος)[3].

რამდენადაც ქ. მოხერესისი VI ს. წარმოადგენდა ლაზეთის ერთერთ უშესანიშნავეს ქალაქთაგანს, ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ იგი უფრო ადრე წარმოიქმნა. ამიტომ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, ჩავთვალოთ პტოლემაიოსის მეხლესოსი მოხერესისის შერყვნილ ფორმად, მით უფრო, რომ პტოლემაიოსის „გეოგრაფიის“ ერთერთ ხელნაწერში ეს პუნქტი აღნიშნულია ფორმით „მეხრესოს“ (Μέχρέσσος)[4].

თუ ეს ვარაუდი სამართლიანია, მაშინ ჩვენ გვექნება ერთი საბუთი იმისა, რომ ლაზეთის შემდეგში დაწინაურებული ქალაქები უკვე II საუკუნეში აღმოცენებულან და დაუწყიათ განვითარება. ამ მხრივ საინტერესოა, რომ ლაზეთის მეორე, ასევე მნიშვნელოვანი ქალაქი — როდოპოლისი (აწინდელი ვარდციხე) უკვე III საუკუნეში ყოფილა შემოვლებული ციხე-გალავნით, როგორც ეს სააღმშენებლო ხერხების ანალიზიდან ჩანს[5].

როგორც ზევით გვქონდა აღნიშნული, II—III საუკუნეებში აშკარად ჩანს დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობის,

---

[1] G., II, 208—210; ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 97—98.

[2] Procop., De BP, II, 29, G., II, გვ. 101.

[3] Iustin., Novelle, XXXI (XXXIII), G., II, გვ. 36.

[4] E. L. Stowenson, Geographie of Cl. Ptolemey, transl. in English, New York, 1932, გვ. 171.

[5] В. А. Лекваиадзе, Материалы по монументальному строительству в Лазике, ССМ, ტ. XXII — В, 1961, გვ. 149—150.

კერძოდ საგარეო ვაჭრობის აღორძინება. საერთოდ ცნობილია, რომ საერთაშორისო ვაჭრობის ახალი აღმავლობა სწორედ რომის მსოფლიო სახელმწიფოს შექმნის დროიდან იწყება. რომაული ნაწარმი აღწევს სკანდინავიის ქვეყნებს, ბალტიისპირეთს; რომაელი ვაჭრები უკავშირდებიან დნეპრისპირეთს, გამოცოცხლება იგრძნობა შავი ზღვის ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ სანაპიროების ქალაქებში. სავაჭრო ურთიერთობაში ებმებიან სამხრეთ რუსეთის სტეპებში მოსახლე ტომები და ა. შ. [1].

განსაკუთრებით ცხოველდება ვაჭრობა აღმოსავლეთის ქვეყნებსა და რომს შორის, რაც კარგად შეიმჩნევა ოქტავიანე ავგუსტუსის ხანიდან [2].

ინდოეთიდან და ჩინეთიდან რომის სახელმწიფოში მოდის ბრინჯი, ბამბა და მისი ქსოვილი, სანელებლები, ძვირფასი ქვები, მარგალიტი, სპილოს ძვალი, შავი ხე, აბრეშუმი და სხვ. აღმოსავლეთის ქვეყნებში კი იმპერიას გააქვს ტყვია, სპილენძი, თითბერი, ეგვიპტური და სირიული ოქროქსოვილები და მოხატული ქსოვილი, აგრეთვე მინის ნაწარმი, პაპირუსი, ოქრომჭედლობის ნაწარმი და სხვ. [3]. უდიდეს სავაჭრო ცენტრად გადაიქცა ალექსანდრია, დამასკო, დურა ევროპოსი, ქტეზიფონი და სხვ., საიდანაც როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო სავაჭრო გზები მიემართება ინდოეთისა და ჩინეთისაკენ [4]. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთის ბაზარზე ჩნდება საკუთრივ რომაული, იტალიური საქონელი, იტალიურ სახელოსნოთა ნაწარმი: ბრინჯაოს ჭურჭელი, წითელლაკიანი თიხის ჭურჭელი და ამფორები, სანათურები, მინის თასები და ა. შ. [5].

ასეთ ვითარებაში თავისთავად სავარაუდოა რომთან და მის პროვინციებთან დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობის გა-

---

[1] M. J. Rostovtzeff, The Social and Economic History of Roman Empire, Oxford, 1923, გვ. 146; В. Ф. Гайдукевич, Боспорское царство, გვ. 365—368.

[2] RgdA, c. 31; შეად. Plin., NH, XII, 3; N. H. Bayns, The Byzantine Empire, London, 1925, გვ. 207; E. Speck, Handelsgeschichte des Altertums, III Bd., გვ. 930.

[3] Я. А. Манандян, О торговле и городах Армении, Ереван, 1954, გვ. 95.

[4] М. Хвостов, История восточной торговли греко-римского Египта, Казань, 1907, გვ. 381—392; M. P. Charlesworth, Trade routes and commerce of the Roman Empire, Cambridge, 1927, გვ. 57. Н. А. Машкин, Принципат Августа, გვ. 489.

[5] R. Grusset, Begram et l'histoire in novelles recherches archéologigues à Begram par J. Mackin, MDAEA, t. XI, 1954, გვ. 2. 3; O. Kurz, Begram et l'occident Gréco-Romain, იქვე. გვ. 107—111, 141—149.

მოცოცხლებაც. ერთგვარი აღორძინება იმ ძველი, მჭიდრო ურთიერთობის ტრადიციებისა, რომელიც კოლხეთს ანტიკურ სამყაროსთან ჰქონდა, განსაკუთრებით ელინისტურ ხანაში[1].

წერილობითი წყაროები ჩვენთვის საინტერესო ხანაში დასავლეთ საქართველოს სავაჭრო კავშირებზე თითქმის არაფერს გვამცნობენ, ამდენად ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალით. სამწუხაროდ, არქეოლოგიური მასალა საკუთრივ ლაზეთის ტერიტორიიდან არ მოგვეპოვება. ეს აიხსნება იმით, რომ არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჯერჯერობით მიმდინარეობს ფაქტიურად II—III საუკუნეთა ისეთ ქალაქებში, როგორიცაა პიტიუნტი-ბიჭვინტა, სებასტოპოლის-სოხუმი და აფსაროს-გონიო. ისე რომ, ჩვენ ხელთ არსებული არქეოლოგიური მასალა, ცალკეულ შემთხვევით აღმოჩენებს თუ არ ჩავთვლით, ფაქტიურად საფუძველს გვაძლევს ვილაპარაკოთ სანიგების და მაკრონ-ჰენიოხების საგარეო ვაჭრობაზე, უფრო ზუსტად მათ მიწაწყალზე მდებარე ზღვისპირა ქალაქების რომთან ვაჭრობაზე. მაგრამ ვითვალისწინებთ რა, რომ ლაზეთის საერთო განვითარება დაახლოებით დასახელებული პოლიტიკური ერთეულების (საფიქრებელია, გარკვეულად უფრო მაღალ) დონეზე უნდა ყოფილიყო, რომ ლაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ქ. ფაზისი ამ ხანებში არაფრით ჩამოუვარდებოდა პიტიუნტს, სებასტოპოლისსა და აფსაროსს და, პირიქით, თავისი მდებარეობით შესაძლოა ამ ქალაქებზე უფრო მნიშვნელოვანი პუნქტიც იყო, ჩვენ საჭიროდ ვთვლით ზოგადად მაინც შევეხოთ არსებული მასალის ანალიზს. ვფიქრობთ, რომ ლაზეთის ზღვისპირა მხარეებში, კერძოდ კი ფაზისში ძირითადად იგივე ვითარება უნდა იყოს, როგორც დასახელებულ ქალაქებში.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ არქეოლოგიური მასალის გამოყენება გარკვეულ დაბრკოლებებს ხვდება. ჯერ ერთი, დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალა არ არის საკმარისად კარგად ოა ღრმად შესწავლილი, რაც აძნელებს ამა თუ იმ ნახელავის საწარმოო ცენტრის დადგენას, მით უფრო, რომ ამ დროისთვის ცალკეულ საწარმოო ცენტრთა ნაწარმი ფორმებითა და ტიპით იმდენად ემსგავსება ერთმანეთს, რომ მათი გამიჯვნა ხშირად შეუძლებელი ხდება. ამდენად კონკრეტული საკითხების დაყენება იმის შესახებ, რომის იმპერიის რომელ ოლქთან თუ ქალაქთან ჰქონდა დასავლეთ საქარ-

---

[1] მ. ი ნ ა ძ ე, სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში, ტ. 81—121; ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. 1966.

თველოს უფრო მყარი და გაცხოველებული სავაჭრო კავშირი ყოველთვის ვერ ხერხდება. ამიტომ აქ მხოლოდ ისეთ არქეოლოგიურ მასალას ვიყენებთ, რომელიც შედარებით ზუსტადაა დიფერენცირებული, სისტემატიზირებული და გაანალიზებული. მაგრამ, ამ შემთხვევაშიაც უნდა გვახსოვდეს, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უცხოური (რომაული და სხვ.) ნაწარმი ყოველთვის არ შეიძლება ჩაითვალოს სავაჭრო გზით შემოსულად; უცხოური ნივთები, ისევე როგორც მონეტების გარკვეული ნაწილი, უნდა იმ გარნიზონების ჯარისკაცთა კუთვნილებად მივიჩნიოთ, რომლებიც ამ დროს დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ქალაქებში იდგნენ.

იმპორტული მასალის ერთერთ ყველაზე გავრცელებულ სახეობას წარმოადგენს ე. წ. წითელლაკიანი კერამიკა. რომაულ ხანაში ამგვარი ჭურჭლის შემოტანა დასავლეთ საქართველოში ძირითადად ახ. წ. II საუკუნიდან იწყება, უფრო მეტად ამ საუკუნის შუა წლების შემდგომ ხანებში. ასეთი კერამიკის დამზადების რამოდენიმე კერაა ცნობილი, კერძოდ აღმოსავლეთში ორი მთავარი ცენტრია დადასტურებული — პერგამი და სამოსი. თითოეულისათვის დამახასიათებელია ნაწარმის მეტად თავისებური ნიშნები, რითაც ადვილად გაირჩევა ერთმანეთისაგან. მაგრამ, სწორედ ჩვენთვის საინტერესო ხანაში, ახ. წ. II ს. ბოლოს და III ს. დასაწყისში, აღმოსავლეთის ეს საწარმოო ცენტრები დაქვეითებას იწყებენ, ჩნდება ახალი, ჯერჯერობით უცნობი ცენტრები, რომელთა ნაწარმის გარჩევა ყოველთვის ვერ ხერხდება[1]. ამიტომ არის, რომ დასავლეთ საქართველოში მოპოვებული წითელლაკიანი ჭურჭლის მიკუთვნება ამა თუ იმ საწარმოო ცენტრისათვის ხშირად ძალზე გაძნელებულია.

ჩვენს მასალაში ფაქტიურად არ ჩანს არც დასავლური იტალიკური და არც სამოსის სახელოსნოთა ნაწარმი[2]. ისე რომ, უნდა ვივარაუდოთ II—III სს. წითელლაკიანი ჭურჭლის ძირითადად მცირეაზიული წარმომავლობა. ბიჭვინტაში მოპოვებულ წითელლაკიან ჭურჭელში ო. ლორთქიფანიძის მიერ გამოყოფილი შვიდი ტიპიდან მხოლოდ ერთ ტიპზე შეიძლება მეტნაკლები სიზუსტით ითქვას, რომ ის პერგამის სახელოსნოთა ნაწარმია. ესაა ღრმა ჯამები პატარა მრგვალი ქუსლით, მომრგვალებული კალთებით და შიგნით შეზნე-

---

[1] Т. Н. Кипович, Краснолаковая керамика первых веков н. э. из раскопок Боспорской экспедиции 1935-40 гг., МИА, вып. 25, გვ. 289 და შემდ.

[2] ო. ლორთქიფანიძე. ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა. სმგმ. I, 1962, გვ. 234—235.

ქილი ნაპირით (IV ტიპი)[1]; ასეთი ჯამები გვხვდება სოხუმშიც, განსაკუთრებით მრავლად—სწორედ II—III საუკუნეებიდან[2]. მათი საკმაო რაოდენობით აღმოჩენა მოწმობს დასავლეთ საქართველოს კავშირს, უშუალოდ თუ სხვა ქალაქთა მეშვეობით, პერგამის ოლქთან. დანარჩენი ტიპების საწარმოო ცენტრების ზუსტი დადგენა ვერ ხერხდება, თუმცა თიხის შემადგენლობით, კეცითა და წერნაქით მათი საკმაო რაოდენობა მაინც მცირეაზიულ ნაწარმს უახლოვდება[3].

დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ წითელლაკიან ჭურჭლებს შორის არის რამოდენიმე ტიპი, რომელიც ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან უნდა იყოს მოხვედრილი აქ. ასე მაგალითად, სოხუმში აღმოჩენილია რამოდენიმე ფრაგმენტი მოზრდილი უყურო ფინჯნებისა, რომელთაც პირი ვერტიკალურად აქვთ აკეცილი და კალთები ძირისაკენ მკვეთრად ვიწროვდება. საერთო მოყვანილობით ეს ჯამები ჰგავს ბოსფორის ნაწარმად მიჩნეულ ასეთსავე ჭურჭელს, რომელიც II—III სს. თარიღდება[4].

განცალკევებით დგას ერთი ტიპი (III) დაბალკალთიანი, ბრტყელი და ფართო პირის მქონე პირგადაშლილი ლანგრები, ორნამენტირებული კიდით და ჰორიზონტალური ყურით. ამგვარი ლანგრების ანალოგიები არსად არ ჩანს მცირე აზიასა და ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ საკმაო რაოდენობითაა მოპოვებული ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში — პანტიკაპეიონში, მირმეკიონში, ოლბიაში და სხვაგან. გვხვდება აგრეთვე ბიჭვინტაში, მაგრამ განსაკუთრებით უხვად—სოხუმში[5]. ეს გარემოება საფუძველს აძლევს ო. ლორთქიფანიძეს ამ ლანგრების საწარმოო ცენტრად შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო ივარაუდოს[6].

აქვე უნდა იქნეს აღნიშნული მცირე ზომის დაბალი, ოდნავ პირ-

---

[1] ო. ლორთქიფანიძე, ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა, გვ. 238—239. სურ. 4-5.

[2] რ. ფუთურიძე, წითელლაკიანი კერამიკა სოხუმის ძველი ციხის ტერიტორიიდან, მსკა, ტ. IV, 1965, გვ. 101.

[3] ო. ლორთქიფანიძე, ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა, გვ. 236—241.

[4] რ. ფუთურიძე, წითელლაკიანი კერამიკა..., გვ. 101—102; Л. Ф. Силантьева, Краснолаковая керамика из раскопок Илурата, МИА, вып. 85, გვ. 109, სურ. 17.

[5] რ. ფუთურიძე, წითელლაკიანი კერამიკა...., გვ. 103—104; ა. აფაქიძე, ო. ლორთქიფანიძე, მასალები დიოსკურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის, მაცნე, 1965, № 3, გვ. 121.

[6] ო. ლორთქიფანიძე, ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა, გვ. 238.

გადაშლილი და მუცელგაბერილი ჭურჭელი, რომელსაც პატარა მოხრილი ყური და დაბალი ქუსლი აქვს. კეცის მიხედვით გვხვდება ორი ტიპი: წითელკეციანი და რუხკეციანი. ამგვარი ძირის ფრაგმენტები ხშირად ჩნდება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში II—III სს., ხოლო რუხკეციანი ფრაგმენტები აუარებელია ქერსონესში, რაც მათი ქერსონესის ნაწარმად მიჩნევის საფუძველს იძლევა[1].

ამრიგად, დასავლეთ საქართველოში სადღეისოდ მოპოვებული წითელლაკიანი ჭურჭლის ანალიზი აშკარას ხდის, რომ იგი უმთავრესად შემოჰქონდათ აქ II—III სს. და ამ მხრივ დასავლეთ საქართველო ძირითადად მცირე აზიასთან ჩანს დაკავშირებული. აშკარაა აგრეთვე წითელლაკიანი ჭურჭლის ზოგიერთი ტიპის ბოსფორის ცენტრებიდან შემოტანა და გამორიცხული არაა მისი წარმოების ადგილობრივად დაწყებაც.

წითელლაკიანი ჭურჭლის დიდი უმეტესობა აღმოჩენილია ზღვისპირა ზოლში და თანაც იმ პუნქტებში, სადაც რომაული გარნიზონები იდგა (ბიჭვინტა, სოხუმი, გონიო). ამიტომ შესაძლოა, ეს ჭურჭელი ამ გარნიზონების ჯარისკაცთა სახმარი ჭურჭელი იყო და არა სავაჭრო იმპორტის საგანი. მაგრამ ის გარემოება, რომ ეს ჭურჭელი საკმაოდ დიდი რაოდენობითაა მოპოვებული, რომ ის თითქმის ყოველთვის ადგილობრივ კერამიკასთან ერთად გვხვდება და გარკვეული დროიდან მისი ადგილობრივი წარმოებაც იწყება[2], თითქოს იძლევა საშუალებას ვიფიქროთ, რომ ის სავაჭრო გზითაც ხვდებოდა კოლხეთში.

იმპორტული კერამიკის საკმაოდ გავრცელებული ტიპია ე. წ. სატრანზიტო ტარა, რომელიც ამფორებით არის წარმოდგენილი. ამფორები ფართოდ იყო გავრცელებული ბერძნულ-რომაულ სამყაროში და იხმარებოდა სხვადასხვა სახის პროდუქტების — მარცვლეულის, ზეთის, ღვინის, თაფლის და სხვათა გადასატანად და შესანახად. ბერძნული და ელინისტური ხანის ამფორები დასავლეთ საქართველოში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი და მათი გამოყენება გრძელდება რომაულ ეპოქაშიაც, ახ. წ. პირველ საუკუნეებში. მათი აღმოჩენა იმ მხრივ არის საინტერესო, რომ მიუთითებს დასავლეთ საქართველოში გარკვეული პროდუქტების შემოტანას (ზეთის ხილი, ზეთი, თაფლი); შესაძლოა, ზოგჯერ მათ თვით დასავლეთ საქართველოდან ზოგიერთი პროდუქტის, მაგალითად, მარცვლეულის, გასატანადაც იყენებდნენ.

---

[1] ა. აფაქიძე, ო. ლორთქიფანიძე, მასალები დიოსკურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის, გვ. 123.

[2] ა. აფაქიძე, ო. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

ძიუხედავად იმისა, რომ ამფორების ცალკეული ტიპები, რიგი მიზეზების გამო, ჯერ კიდევ ზუსტად არაა გამოყოფილი, რაც აძნელებს მათ შედარებას ანალოგიურ მასალასთან და მათი საწარმოო ცენტრების დადგენას, დასავლეთ საქართველოში მოპოვებული იმპორტული ამფორების ანალიზი მაინც იძლევა ზოგიერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას.

გამოქვეყნებული მასალიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ სოხუმში აღმოჩენილი ამფორები. აქ განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ფრაგმენტები შავი კვარცის მინარევიანი ღია ფერის თიხისაგან დამზადებული ვიწროყელიანი ამფორებისა, რომლებიც დიდი რაოდენობით გვხვდება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში (ქერსონესი, სკვითური ნეაპოლი, მირმეკიონი, ილურატი და სხვ.). სპეციალისტები ამ ტიპის ამფორებს II—III სს. ათარიღებენ და ზოგადად სამხრეთპონტური წარმოშობისად თვლიან [1]. ამ ტიპის ამფორები მრავლად ჩანს აგრეთვე ბიჭვინტაში. საინტერესოა, რომ სოხუმსა და ბიჭვინტაში მსგავსი ტიპის ამფორები, ოღონდ წითელი თიხისაგან, როგორც ჩანს, ადგილობრივ მზადდებოდა და უცხოური ნაწარმის იმიტირებას წარმოადგენდა [2].

როგორც სოხუმში, ისე ბიჭვინტაში გვხვდება ამფორათა ფრაგმენტები, რომლებიც თიხის შემადგენლობით სინოპის ნაწარმად არის მიჩნეული. ამასთან ასეთი ფრაგმენტები საკმაოდ დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი [3].

ბიჭვინტის მასალაში, III—IV სს. ფენაში აღმოჩენილია აგრეთვე 11 ძირი და 8 ფრაგმენტი პირისა, რომლებიც, რ. ფუთურიძის დასკვნით, შეიძლება როდოსული ტიპის ამფორებს მივაკუთვნოთ [4].

---

[1] С. Ф. Стржелецкий, Раскопки в Инкермане в 1940 г., СА IX, გვ. 292, 294—295; И. Б. Зеест, К вопросу о торговле Неаполя и ее значение для Боспора, МИА, вып. 85, გვ. 73 და 76; А. Апакидзе, О. Д. Лордкипанидзе, Новые материалы к археологии Диоскурии-Севастополиса, ТАИЯЛИ, т. XXXIII—XXXIV, 1963, გვ. 219.

[2] А. М. Апакидзе, О. Д. Лордкипанидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

[3] И. Б. Зеест, Новые данные о торговых связях Боспора с Южным Причерноморьем, ВДИ, 1951, № 2, გვ. 114; А. М. Апакидзе, О. Д. Лордкипанидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 220; რ. რამიშვილი, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში (III უბნის 1958 წლის გათხრების წინასწარი ანგარიში), მსკა, IV, 1965, გვ. 113.

[4] ბიჭვინტის ამფორების დახასიათებისას ვიყენებთ რ. ფუთურიძის გამოუქვეყნებელ გამოკვლევას, რომელიც ავტორმა მოგვაწოდა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ბიჭვინტაშიც და აგრეთვე გონიოში აღმოჩენილია საკმაოდ დიდი რაოდენობა იმპორტული ამფორებისა, რომლებიც ზოგადად შეიძლება განისაზღვროს, როგორც მცირეაზიული, მაგრამ მათი საწარმოო ცენტრის დადგენა ვერ ხერხდება[1].

ბიჭვინტასა და გონიოში გვხვდება დიდი რაოდენობა ბოსფორული ამფორებისა, რომელთა ძირითადი ნაწილი, გამომცემელთა აზრით, III ს. თარიღდება და ბოსფორთან, მის საქალაქო ცენტრებთან დასავლეთ საქართველოს ეკონომიურ ურთიერთობაზე უნდა მიუთითებდეს[2].

გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ მონაპოვარში არის რამოდენიმე ფრაგმენტი, რომელიც, სპეციალისტთა აზრით, შეიძლება სხვა საწარმოო ცენტრსაც (კ. კოსი, იტალია) მიეკუთვნოს[3], მაგრამ მათი რაოდენობა ჯერჯერობით მცირეა და საწარმოო ცენტრიც სავარაუდოდ არის დადგენილი.

როგორც არსებული მასალიდან ჩანს, კოლხეთის ჩრდილოეთ ნაწილში (სოხუმი, ბიჭვინტა) ამფორათა უმეტესობა თითქოს II—III სს. და შემდგომი ხანით თარიღდება, ხოლო აფსაროს-გონიოში კი მათი საკმაოდ დიდი რაოდენობა ახ. წ. დასაწყისშიაც იჩენს თავს[4]. უნდა ვიფიქროთ, ამდენად, რომ კოლხეთის სამხრეთი ნაწილი (მაკრონ-ჰენიოხთა სამეფო) უფრო ადრე დაუკავშირდა ეკონომიურად რომის სახელმწიფოს, ხოლო დასავლეთ საქართველოს დანარჩენი რაიონების საგარეო ვაჭრობის აღორძინება სწორედ II—III საუკუნეებზე მოდის.

ამფორები ძირითადად შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს საქალაქო ცენტრებში (სინოპე, ჰერაკლეა) მზადდებოდა; ეს უნდა მოწმობდეს იმას, რომ რომაულ ხანაში, ისევე როგორც წინა პერიოდში, დასავლეთ საქართველო ძირითადად რომის იმპერიის მცირეაზიულ პროვინციებთან და პონტოსპირა ვასალურ ქვეყნებთან (პოლემონის პონ-

---

[1] რ. ფუთურიძის გამოუქვეყნებელი გამოკვლევა; ი. გრძელიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში..., გვ. 72—73.

[2] ი. გრძელიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 74—75; რ. რამიშვილი, მსჯა, IV, გვ. 114.

[3] ქ. ბერძენიშვილი, რ. ფუთურიძე, გვიან ანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობის ისტორიიდან, ხელნაწერი, 1961, გვ. 17 და შემდ; И. Б. Зеест, Керамическая тара Боспора, МИА, вып. 83, გვ. 30 –31.

[4] ასეთივე მდგომარეობაა წითელლაკიანი კერამიკის მხრივაც. იხ. ი. გრძელიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 65—71.

ტო) იყო ეკონომიურად დაკავშირებული; საკმაოდ ცხოველი ჩანს, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა სინოპესთან. გარდა აღნიშნული ამფორებისა, რომლებიც სინოპედან მომდინარეობენ, გონიოს მასალაში არის სინოპური კრამიტიც[1], ხოლო ბიჭვინტაში მოპოვებულია სინოპური ტიპის ლუტერიების რამოდენიმე ფრაგმენტი[2].

დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის შესწავლისათვის საკმაოდ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ნუმიზმატიკური მასალა. ეს მასალა განსაკუთრებით საინტერესოა იმის გამო, რომ იგი მოპოვებულია გარდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ჩრდილო რაიონებისა, აგრეთვე საკუთრივ ლაზეთის ტერიტორიაზედაც და ამდენად ერთგვარად ავსებს არქეოლოგიურ მასალაში სადღეისოდ არსებულ ზემოაღნიშნულ ხარვეზს.

არსებული ნუმიზმატიკური მასალა უპირველეს ყოვლისა საშუალებას გვაძლევს ფულადი მიმოქცევის თავისებურებათა მიხედვით გამოვყოთ დასავლეთ საქართველოში ორი ძირითადი რაიონი. 1. ზღვისპირა ზოლი და საერთოდ კოლხეთის დასავლეთი ნაწილი და 2. კოლხეთის აღმოსავლეთი, იბერიის მომიჯნავე რაიონი.

კოლხეთის დასავლეთ რაიონებისა და ზღვისპირა ქალაქების ნუმიზმატიკური მასალა ცხადყოფს, რომ აქ ძირითადად იგივე მონეტები იყო მიმოქცევაში, რაც რომის პროვინცია კაპადოკიაში, ე. ი. ძველი პონტოს სამეფოს ტერიტორიაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია კოლხეთის დასავლეთ ნაწილში დიდი რაოდენობა კაპადოკიის კესარიაში მოჭრილი მონეტებისა. კესარიული ვერცხლის მონეტები აღმოჩენილი იყო აფხაზეთში (კერძოდ ბიჭვინტაში, სოხუმში, წებელდაში, გერზეულში). სადაც მათი საერთო რიცხვი 500 ცალს აღემატება. ამასთან მარტო სოფ. გერზეულის განძი 470-მდე მონეტას შეიცავდა[3].

მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა კესარიული ვერცხლის მონეტების აღმოჩენა საკუთრივ ლაზეთის ტერიტორიაზე,

---

[1] ი. გრძელიშვილი. დ. ხახუტაიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ 77—78.

[2] რ. რამიშვილი. მსკა, IV, გვ. 1:5.

[3] გ. დუნდუა, პიტიუნტი-ბიჭვინტა ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, ხელნაწერი; ამ ხელნაწერით სარგებლობისთვის ავტორს მადლობას მოვახსენებთ; ამავე შრომის ანოტაცია იხ. 1962 წ. საველე არქეოლოგიური კვლევაძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მოხსენებათა ანოტაციები, თბილისი, 1963, გვ. 62—78; М. М. Иващенко. Герзеульский клад монет Кессарии Каппадокийской, ИГАИМК, т. VII, вып. 10, 1931.

კერძოდ სოფ. (ნობაქევში) (გალის რაიონი) აღმოჩნდა 13 დიდრაქმი-საგან შედგენილი განძი. ჩხოროწყუში — ორი დიდრაქმა, სოფ. ბანძაში (გეგეჭკორის რაიონი) — ერთი დიდრაქმა, სოფ. ნოსირში (ცხაკაიას რ-ნი) — 18 სხვადასხვა ნომინალის მონეტა, სოფ. სეფიეთში (გეგეჭკორის რ-ნი) — 10 კაპადოკიური დრაქმა 407 რომაულ დინართან ერთად, ქუთაისში — ერთი დრაქმა, სოფ. ურეკში (მახარაძის რ-ნი) სხვა მონეტებთან ერთად — 7 კესარიული ვერცხლის მონეტა[1].

კესარიაში ადგილობრივი საიმპერატორო მონეტების მოჭრა ახ. წ. I საუკუნიდან იწყება და III საუკუნემდე კესარიული ვერცხლის მონეტა აკმაყოფილებდა თითქმის მთელი რომაული მცირე აზიის მოთხოვნილებას[2]. ამავე ქრონოლოგიურ მონაკვეთშია ეს მონეტა მიმოქცევაში დასავლეთ საქართველოშიაც. პოლიტიკურად და, როგორც ჩანს, ეკონომიურადაც კაპადოკიასთან დაკავშირებული კოლხეთიც, სავსებით გასაგებია, სწორედ ძირითადად კესარიულ მონეტას ხმარობდა. ყველაზე ადრეული კესარიული მონეტა, რომელიც დასავლეთ საქართველოშია აღმოჩენილი იმპერატორ ვესპასიანეს (69—79 წწ.) ეკუთვნის (გერზეულის განძი), ხოლო განსაკუთრებით ხშირი არის მონეტები დაწყებული დომიციანეთი (81—96 წწ.). ეს გარემოება კარგად ეთანხმება არქეოლოგიური მასალის მონაცემებს რომსა და დასავლეთ საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობის გამოცოცხლების შესახებ სწორედ I საუკუნის ბოლოსა და II ს. დასაწყისიდან.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ II ს. ბოლოსა და III ს. დასაწყისში კოლხეთში მრავლდება საერთო-საიმპერიო მონეტები, რომელთა შემოსვლა იწყება იმპერატორ კომოდუსის დროიდან (180—192 წწ.). კ. გოლენკო ფიქრობს, რომ მონეტათა შემოსვლის მომრავლებას ხელს უწყობდა რომაულ გარნიზონთა გაძლიერება დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ქალაქებში[3].

ამას თითქოს უნდა ადასტურებდეს ის გარემოება, რომ ყველაზე მრავლად ეს მონეტები გვხვდება ბიჭვინტასა და სოხუმში, ამასთან, პირველში სწორედ იმ დროიდან, რომლიდანაც აქ რომაული გარნიზონი დგას (III ს. დასაწყისიდან)[4]. მაგრამ, ის გარემოება, რომ

[1] А. Ранович, Восточные провинции Римской империи, М.—Л., 1949 გვ. 124.

[2] К. В. Голенко. Денежнсе сбрашение Колхиды в римское время, Л., 1964, Приложение I, №№ 23—33.

[3] К. В. Голенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 28 და 34.

[4] გ. დუნდუა, დასახ. ხელნაწერი; К. В. Голенко, დასახ. ნაშრ., Приложение I, № 57.

იგივე მონეტები ჩანს აქ IV საუკუნეშიაც, როდესაც, როგორც დაეინახავთ, დასავლეთ საქართველოში და კერძოდ სებასტოპოლისსა და პიტიუნტში გარნიზონები აღარ იდგა, უნდა მოწმობდეს. რომ ამ მონეტას სავაჭრო მნიშვნელობაც ჰქონდა. ამ მხრივ აღსანიშნავია. რომ ბიჭვინტაში მოპოვებულია საერთო საიმპერიო მონეტები დაწყებული იმპ. მაქსიმიანედან (293—311 წწ.) და დამთავრებული ვალენტინიანეთი (375—392), აგრეთვე 48 მონეტა, რომელიც გაურკვეველია, მაგრამ IV—V სს. თარიღდება[1], დროის ამ მონაკვეთში კი პიტიუნტში რომაული გარნიზონი არ მდგარა.

აღსანიშნავია აგრეთვე სოფ. სეფიეთში აღმოჩენილი განძი, რომელიც სხვა მონეტებთან ერთად 407 რომაულ დენარს შეიცავდა დაწყებული კომოდით (176—192) და გათავებული ალექსანდრე სევერუსით (222—235). ს. მაკალათია ფიქრობს, რომ ეს განძი ლაზეთის დედაქალაქ ნოქალაქევში მდგომი რომაული რაზმის ხაზინის ნაწილია[2]. მაგრამ ნოქალაქევ-არქეოპოლისში რომაული რაზმის დგომის რაიმე საბუთი ს. მაკალათიას არ მოაქვს და, ვფიქრობთ, ასეთი არც არსებობს. ისე რომ, ამ განძის აღმოჩენა მოწმობა უნდა იყოს იმ ფაქტისა, რომ რომაული საერთო-საიმპერიო მონეტებიც სავაჭრო ურთიერთობას ემსახურებოდნენ და თანაც არა მარტო ზღვისპირა ქალაქებში, არამედ ლაზეთის შიდა რაიონების მნიშვნელოვან პუნქტებშიაც. ეს გარემოება, ცხადია არ ნიშნავს, რომ ჩვენ უარვყოფთ რომაული მონეტების ნაწილის დასავლეთ საქართველოში მოხვედრის ისეთ მიზეზს, როგორიც არის მათი განკუთვნა რომაული რაზმებისათვის.

II საუკუნის მიწურულიდან კოლხეთის ზღვისპირა რაიონებში ახალი სამონეტო სახეობა ჩნდება, ესაა პროვინციული სპილენძის მონეტა, უმეტეს წილად — ტრაპეზუნტისა. სადღეისოდ ეს მონეტები, ისე როგორც საერთოდ რომაული სპილენძის მონეტები, აღმოჩენილია მხოლოდ აფხაზეთის ზღვისპირა პუნქტებში — სოხუმში და, განსაკუთრებით, ბიჭვინტაში[3]. ასე რომ, ძნელია იმის თქმა, რა როლს ასრულებდნენ ისინი ლაზეთის ეკონომიურ ცხოვრებაში.

საინტერესოა ის გარემოება, რომ დასავლეთ საქართველოს ნუ-

---

[1] К. В. Голенко, იქვე, გვ. 78—79, № 57.

[2] ს. მაკალათია, რომაული მონეტების სეფიეთის განძი. სსმმ. XII—B. 1944. გვ. 218.

[3] გ. დუნდუა, დასახ. ხელნაწერი; К. В. Голенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 33—36; Д. Г. Капанадзе, Нумизматические находки Пицундской археологической экспедиции за 1953—1959 гг., ВДИ, 1966, №4, გვ. 173—179.

მიზმატიკურ მონაპოვარში მეტად მწირად არის წარმოდგენილი შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროთა მონეტები, სულ 8 ცალია. აქედან ორი მონეტა ახ. წ. I საუკუნით თარიღდება, სამი — IV ს. და მხოლოდ 4—II-III სს. ამასთან 7 მონეტა აფხაზეთშია ნაპოვნი და მხოლოდ ერთი შემთხვევითი მონაპოვარია დადასტურებული ბათუმში [1]. ისე რომ, სადღეისოდ, ნუმიზმატიკური მასალა ვერაფერს ხელშესახებს ვერ გვაძლევს ბოსფორთან დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობის შესახებ.

ამრიგად, არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალა საშუალებას გვაძლევს დავადასტუროთ დასავლეთ საქართველოს, უპირატესად ზღვისპირა ცენტრების, გარე სამყაროსთან საკმაოდ გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა, რომელშიაც ჩვენ, მიუხედავად მასალის სიმცირისა, ყველა საფუძველი გვაქვს საკუთრივ ლაზიკაც ვივარაუდოთ ჩაბმულად. სავაჭრო ურთიერთობა დასავლეთ საქართველოს აქვს ძირითადად მცირე აზიის პროვინციებთან და კერძოდ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროების ცენტრებთან. რაც შეეხება ურთიერთობას ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთთან, იგი ამ დროს უდავოდ არსებობს, მაგრამ საკმაოდ სუსტად ჩანს გამოხატული.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს კოლხეთის აღმოსავლეთი, იბერიის მომიჯნავე რაიონების ნუმიზმატიკური მასალის თავისებურება. კოლხეთის დასავლეთი რაიონებისაგან განსხვავებით, აქაური სამონეტო მიმოქცევის შემადგენლობა დიდი სირთულით ხასიათდება. აქ ადგილი ჰქონდა მონეტათა ოთხი ძირითადი კატეგორიის პარალელურ მიმოქცევას; ესენია: რომაული საერთო-საიმპერიო მონეტები, პართული დრაქმები, ალექსანდრე მაკედონელის სტატერთა მიმბაძველობები და კესარიული ვერცხლი. ამ მხრივ დასავლეთ საქართველოს ამ რაიონის სამონეტო მიმოქცევა სავსებით იდენტურია იბერიის სამონეტო მიმოქცევისა [2].

ამასთან დაკავშირებით დგება საკითხი დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილისა და იბერიის ურთიერთობის შესახებ და ამ ნაწილის პოლიტიკური ვითარების შესახებ ჩვენთვის საინტერესო ხანაში.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ სა-

---

[1] Д. Г. Капанадзе, К вопросу об экономических связях Северного и Восточного Причерноморья в античную эпоху по нумизматическим данным, Проблемы истории Северного Причерноморья в античную эпоху, М, 1959; გვ. 149—150; К. В. Голенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 35 და შემდ. Приложение I, №№ 49—54.

[2] К. В. Голенко. დასახ. ნაშრომი, გვ. 38 და შემდ.

ქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური თუ კულტურული ურთიერთობა დღემდე არ არის საკმაოდ შესწავლილი და ყოველმხრივ გაშუქებული, როგორც ირკვევა, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური საზღვარი ამ ორ მხარეს შორის გეოგრაფიულ საზღვარს არ მიჰყვებოდა და თანაც ერთნაირი და მყარი არ ყოფილა.

ძველი ქართული ტრადიციის თანახმად, დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი ე. წ. არგვეთი ქართლის ძველთაძველი სამფლობელო იყო. მეფე ფარნავაზს (ძვ. წ. III ს. დასაწყისი) ერთერთი ერისთავი არგვეთს (მარგვს) დაუდგენია: „და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღურამდე ეგრისისა, რიონს ზემოთ, და ამანვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დიმნა“ [1].

თუ შორაპნისა და დიმნას აღშენება ლეონტი მროველის საერთო კონცეფციის გავლენით არ არის ფარნავაზის დამსახურებისათვის მითვლილი, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ძვ. წ. III ს. არგვეთის სა-ერისთავო უფრო ფართო იყო, ვიდრე შემდეგ და მასში შორაპანიც შედიოდა. მაგრამ უკვე სტრაბონის დროისთვის შორაპანი ქართლს აღარ ეკუთვნის და აშკარად კოლხეთის ციხე-ქალაქია იბერიასთან საზღვრის მახლობლად [2].

კლავდიოს პტოლემაიოსთანაც შორაპანი (სარაპანი) კოლხეთშია დასახელებული [3] და გვიანაც, ახ. წ. VI საუკუნეში შორაპანი და სკანდა ლაზეთის ციხე-ქალაქებია, რომლებზედაც გადის საზღვარი იბერიასა და ლაზეთს შორის [4]. მაგრამ როგორადაც არ უნდა გადაწყდეს თვით შორაპნის საკითხი, ერთი რამ ცხადია, რომ დასავლეთ საქართველოს ერთი ნაწილი, სურამის (ლიხის) ქედის დასავლეთით მდებარე ერთი ოლქი იბერიის (ქართლის) საპიტიახშოს წარმოადგენდა; მისი ცენტრი სოფ. ბორშია სავარაუდებელი[5].

სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ არქეოლოგიურადაც და ნუმიზმატიკურადაც დასავლეთ საქართველოს ეს ოლქი ქართლის სამეფოს უკავშირდება და მასთან ჩანს ერთიანობაში.

1955 წ. გამოსულ თავის ნაშრომში გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ქართლის ამ მონაპირე ერისთავის სამფ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, წ. I, 1955, გვ. 24.

[2] S t r a b o., XI, 217; XI, 3, 4.

[3] Cl. P t o l., Geogr., V, 9, 6.

[4] P r o c o p., De BG., VIII, 13, G., II, 185—186.

[5] იხ. ზევით.

ლობელოს დასავლეთი საზღვარი ბორსა და კლდეეთს შორის გადიოდა[1]. ათიოდე წლის შემდეგ კი, თავის საკანდიდატო დისერტაციაში, იგი თითქოს ცვლის თავის შეხედულებას და იბერიის ამ საპიტიახშოს უფრო ფართო საზღვრებს აკუთვნებს („შორაპნის ქვეყანა“) და მის ცენტრად თვით ქ. შორაპანს მიიჩნევს[2].

ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმდენად, რამდენადაც კლდეეთში არქეოლოგიური კვლევაძიების შედეგად მოპოვებული მასალა უმჭიდროეს კავშირს ავლენს იბერიის, კერძოდ, მისი დედაქალაქის, მცხეთის ნივთიერ კულტურასთან[3]. თუ კლდეეთი იბერიის სამეფოში შედიოდა, ასეთი კავშირი აქ მოპოვებულ ძეგლებსა და იბერიის სხვა ოლქების ნივთიერ კულტურას შორის ახსნას აღარ საჭიროებს. მაგრამ, თუ კლდეეთი იბერიის საზღვარს გარეთ, ლაზეთშია საგულვებელი, ცხადია, რომ კლდეეთის სამაროვნისა და თუნდაც მცხეთა-არმაზისხევის მჭიდრო კავშირი პოლიტიკური მომენტით ვეღარ აიხსნება.

როგორადაც არ უნდა გადაწყდეს შორაპნის საკითხი[4], კლდეეთი მაინც, როგორც ჩანს, უფრო ლაზეთის საზღვრებში უნდა მივიჩნიოთ. გ. ცქიტიშვილის მიერ მოტანილი საბუთები ამას თვალნათლივ ამტკიცებს. მაშასადამე, კლდეეთური მასალის ასეთი სიახლოვე ქართლის მატერიალური კულტურის ძეგლებთან, იმის მანიშნებელი უნდა ყოფილიყო, რომ პოლიტიკური საზღვარი ქართლისა და ეგრისის სახელმწიფოთა შორის „არავითარ შემთხვევაში არ ყოფილა მკვეთრად გამმიჯვნელი მონათესავე — მოძმე ტომებისა, ძველთაგანვე უმჭიდროესი კულტურული ურთიერთობის თვალსაზრისით მაინც“[5].

მაგრამ ეს კულტურული ურთიერთობა, როგორც ჩანს, მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული ეკონომიურ ურთიერთობასთან. ამას უნდა

---

[1] გ. ცქიტიშვილი, იბერიის საპიტიახშოს საკითხისათვის ლიხთიმერეთში, იმშ, ტ. I, 1955, გვ. 310.

[2] გ. ცქიტიშვილი, ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს ისტორიული გეოგრაფიიდან, 1965, საკანდიდატო დისერტაცია, ავტორეფერატი, გვ. 10—15.

[3] გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნისა, 1957, გვ. 187—189.

[4] ზემომოტანილი წყაროების მიხედვით ჩვენ ვფიქრობთ, რომ, ყოველ შემთხვევაში, ახ. წ. I საუკუნიდან ვიდრე VI ს-მდე შორაპანი ლაზეთის შემადგენლობაში შედის.

[5] გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, გვ. 189.

მოწმობდეს სწორედ ზევით მოტანილი დასკვნა დასავლეთ-საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში ფულადი მიმოქცევის შემადგენლობის შესახებ; ხოლო ამ უკანასკნელის საუკეთესო ილუსტრაცია სწორედ კლდეეთის ნუმიზმატიკური მონაპოვარია[1].

ცხადია, რომ იბერიასა და ლაზეთს შორის ეს ეკონომიური და კულტურული კავშირი უფრო ძლიერი იყო ლაზეთის აღმოსავლეთ, იბერიის მომიჯნავე ნაწილში. მაგრამ, როგორც ჩანს, იბერიის გავლენა უფრო ღრმადაც იჭრებოდა დასავლეთ საქართველოში. ამის აშკარა მოწმობაა არქეოლოგიური მასალა ხარაგაულის რაიონის სოფ. სარგვეშიდან[2], ენგურის პირას მდებარე სოფ. თაგილონიდან[3], რაჭიდან[4], და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ქართლიდან ესოდენ დაშორებულ ადგილიდან, როგორიცაა ზღვის ნაპირას მდებარე სოფ. ურეკი[5]. ყველა ამ მასალაში აშკარად გამოიყოფა ისეთი ელემენტები, რომლებიც პარალელებს სწორედ ქართლის ნივთიერ კულტურაში პოულობენ.

---

[1] გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, გვ. 169—174.

[2] G. Tschubinaschwili, Der Fund von Sargweschi, Известия КИАИ, т. III, 1925, გვ. 83—84.

[3] А. Амиранашвили, Новая находка в шизовьях Ингури, МАГ, Тифлис, 1935, გვ. 37.

[4] გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, გვ. 188.

[5] ა. აფაქიძე, გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან, ССᲡᲓ, ტ. XIV—B. 1947. გვ. 89—111.

III თავი

დასავლეთ საქართველოს გაერთიანება ეგრისის სამეფოს მეთაურობით

ეგრისის (ლაზეთის) სამეფოს შემდგომი გაძლიერება IV საუკუნეში ხდება. მართალია, ამ საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ქალაქებში და კერძოდ ფაზისში, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ რომაულ-ბიზანტიური გარნიზონები მდგარა. V ს. ისტორიკოსი ზოსიმე მაგალითად აღნიშნავს, რომ იმპერატორმა კონსტანტინე I (306—337 წწ.), გაჰყო რა მთელი იმპერია ოთხ საგამგებლოდ, ერთერთს, სხვა ოლქებთან ერთად, მიათვალა „მთელი ზღვისპირეთი პამფილიიდან ვიდრე ტრაპეზუნტამდე და ფაზისზე მდებარე სიმაგრეებამდე“[1].

მაგრამ შემდგომ ხანებში, ვიდრე VI ს. 20-იან წლებამდე, ასეთი გარნიზონები საკუთრივ ლაზეთის ტერიტორიაზე არსად ჩანს[2].

IV ს. მეორე ნახევრის მწერლის ამიანე მარცელინეს ერთი ცნობა იმპერატორ იულიანე განდგომილის (361—363) ხანის ლაზეთს ეხება. იგი წერს, რომ 362 წ. იულიანესთან ზავისა და მფარველობის სათხოვნელად მოდიოდნენ ახლობელი თუ შორეული ქვეყნებიდან, მათ შორის „ჩრდილოეთიდან და უდაბური ადგილებიდან, რომლებზედაც ჩამომავალი ფაზისი ზღვას ერთვის, ბოსფორანებისა და სხვა მანამდე უცნობებისაგან მორჩილი ვედრებით მოვიდნენ ელჩები, რათა ყოველწლიური ხარკის გადახდით თავიანთ მშობლიურ ქვეყნებში მშვიდად ეცხოვრათ“[3].

ამიანეს ამ ცნობის საფუძველზე ს. ჯანაშია ფიქრობდა, რომ ამ დროს ლაზეთი რომაელების მოხარკედ ჩანს[4]. მაგრამ, როგორც აღნიშნავს გ. მელიქიშვილი, ამიანეს ესოდენ ზოგადი და არანიშანდობ-

---

[1] Zosim., Hist. Nova, II, 33, G., I, გვ. 269.

[2] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 385.

[3] Ammian. Marc., Res Gestae, XXII, 7, 10, G., I, გვ. 102—103.

[4] ს. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, გვ. 315.

ლივი სიტყვები ჯერ კიდევ არ კმარა ასეთი დასკვნის გამოსატანად[1]. ამავე აზრისაა ალ. გამყრელიძეც; მისი აზრით, მთელი კონტექსტი, ჯერ ერთი, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ფაზისის ქვეშ აქ რიონი არ უნდა იგულისხმებოდეს; შესაძლოა ამ სახელით დონი ან ყუბანი აღინიშნებოდეს, როგორც ეს ზოგჯერ ხდება ანტიკურ წყაროებში (მაგ., ფსევდო-პლუტარქოსი). ამას გარდა მთელი ეს ადგილი ამიანეს ერთგვარ ჰიპერბოლურ კონტექსტში აქვს მოცემული — მას სურს გააზვიადოს იმპერატორ იულიანეს მორჭმულობისა და სახელგანთქმულობის ამბავი და ფაზისი ნახმარი აქვს, როგორც საერთოდ შორეულის, უცნობის აღმნიშვნელი რამ, სადაც მისწვდა იულიანეს სახელი. ამავე დროს, ამიანეს სხვა ცნობები აშკარას ხდიან, რომ ის მშვენივრად იცნობს ლაზეთს და ძნელი საფიქრებელია ლაზეთი და აქაურები მას „უცნობებად“ მოეხსენებინა[2].

ამიანე მარცელინეს ამ ცნობის ასეთი გაგება მით უფრო სარწმუნოა, რომ არც მანამდე და არც შემდეგ, როცა ლაპარაკია ლაზეთის დამოკიდებულებაზე რომისადმი, არსად არაა ნახსენები ლაზთა მოხარკეობა.

ეგრისის სამეფოს გაძლიერების მაჩვენებელი არის, პირველ რიგში, მისი ტერიტორიული გაფართოება.

ამიანე მარცელინე 368 წლის ამბების მოთხრობისას აღნიშნავს, რომ, როცა არმენიაში სპარსელები შეიჭრნენ, არმენიის მეფე პაპმა და მისმა კარისკაცებმა „სცადეს შეეფარებინათ თავი მაღალ მთებში, რომლებიც ჩვენ მიწებს (ე. ი. რომაელთა მიწებს, ნ. ლ.) ლაზიკისაგან ჰყოფენ. იქ ხუთ თვეს იფარავდნენ თავს უღრან ტყეებსა და დახლაკნილ სერებში“....[3].

აქ, როგორც ჩანს, უნდა იგულისხმებოდეს ჭოროხის შესართავის სამხრეთით მდებარე მაღალი მთიანეთი[4]. მაშასადამე, ლაზეთის სამეფოს საზღვარი ჩრდილოეთიდან უკვე ამ მთებს (ჭანეთის მთები) უნდა მოსდგომოდა.

ამიანეს ამ ცნობას ავსებს და აკონკრეტებს მერმინდელ ბიზანტიელ ავტორთა ცნობები. ამ ცნობების ანალიზი ცხადყოფს, რომ ლაზეთის სამეფოს ტერიტორია სამხრეთით დაახლოებით მდ. ჭოროხის შესართავის სექტორამდე აღწევდა[5].

---

[1] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 381.
[2] G., I, 81—82.
[3] Ammian. Marc., Res Gestae, XXII, 12, 11, G., I, 128.
[4] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 181—182.
[5] ნ. ლომოური, ლაზეთის სახელწოდების საკითხისათვის, გვ. 74—75.

არიანეს გვიანდელი რედაქტორი, ე. წ. V საუკუნის ანონიმი აშკარად აღნიშნავს. რომ ლაზები ცხოვრობენ ვიდრე მდ. ჭოროხამდე; იგი წერს: „დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლისიდან ბდ. აფსაროსამდე წინათ ცხოვრობდა სალხი. კოლხებად წოდებული, ეხლა ლაზებად სახელშეცვლილი"[1].

VI ს. ბიზანტიელი მწერალი პროკოპი კესარიელი წერს: „ქალაქ აფსარუნტიდან ქალაქ პეტრამდე და ლაზთა საზღვრებამდე, სადაც ევქსინის პონტო თავდება, ერთი დღის სავალი გზა არის"[2].

ქ. აფსარუნტი სამეცნიერო ლიტერატურაში გაიგივებულია ანწინდელ გონიოსთან და პროკოპის მოტანილი აღწერა ცხადყოფს, რომ ლაზეთის სამეფოს საზღვარი აფსარუნტ-გონიოდან ერთი დღის სავალით ყოფილა დაშორებული ჩრდილოეთით; ხოლო ლაზთა საზღვრებთან ქ. პეტრას დასახელება იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ეს საზღვარი სადღაც ციხისძირის ახლოს უნდა ყოფილიყო.

ამავე დროს, როგორც ზევით იყო აღნიშნული, ახ. წ. II საუკუნეში თანამედროვე აჭარა-ქობულეთის მხარე ეკავათ იბერიის მეფის ფარსმან II ქვეშევრდომ ზიდრიტებს, ხოლო მათ სამხრეთით მდებარეობდა მაკრონ-ჰენიოხთა გაერთიანებული სამეფო[3]. აშკარაა, რომ IV საუკუნისათვის შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მომხდარა.

იბერიის სამეფო აშკარად გაძევებულია ზღვის სანაპიროდან და მისი ხელქვეითი ზიდრიტების მიწა-წყალი აქეთკენ გაფართოებულ ლაზეთის სამეფოს უგდია ხელთ.

აღარ იხსენიება წყაროებში არც მაკრონ-ჰენიოხთა სამეფო. როგორც ჩანს, ირანის მეფის შაბურ I (242—272) ცნობილი წარწერიდან, ე. წ. „Ka'ba—i—Zardošt"-იდან, რომელიც პერსეპოლისის მახლობლად იყო აღმოჩენილი, მაკრონ-ჰენიოხთა სამეფო მის დროს სპარსეთის ხელქვეით მოექცა; წარწერაში ეს მხარე მახელონიად (Μαχελονίαν) არის მოხსენიებული ბერძნულ ტექსტში ან სიკანად (Syk'n)—ფალაურ ტექსტში[4].

მაგრამ ირანის ხელში ეს ტერიტორია, როგორც ჩანს, დიდხანს

---

[1] Anonym, PPE, § 7.

[2] Procop., De BG., VIII, 2; G., II, 126.

[3] იხ. ზევით.

[4] E. Honigmann et A. Maricq. Recherches sur fes Res Gestae divi Saporis, Bruxelles, 1953, გვ. 64—72; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 388—390.

არ დარჩენილა. ყოველ შემთხვევაში IV ს. 60-იან წლებში, როგორც ეს ამიანე მარცელინეს ზემომოტანილი ცნობიდან ჩანს, სპარსეთს ამ მხარეზე ხელი აღარ მიუწვდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში სპარსელთაგან ლტოლვილი სომხეთის მეფე პაპი აქ აღარ შეაფარებდა თავს.

გ. მელიქიშვილი ფიქრობს, რომ შაბურ I გარდაცვალების შემდეგ ირანთან მიღწეულ წარმატებათა შედეგად რომს მაკრონ-ჰენიოხთა ყოფილი სამეფოს მიწაწყალი ირანისთვის კვლავ წაურთმევია და ამჯერად უშუალოდ თავის სამფლობელოსათვის შეუერთებია; ამ უკანასკნელი მოსაზრების საბუთად მას ის გარემოება მოაქვს, რომ ამიანე მარცელინეს ზემომოტანილ ცნობაში (პაპის გაქცევა) თითქოს რომაელთა და ლაზთა მიწაწყალი უშუალოდ ემიჯნება ერთმანეთს და მათ შორის მხოლოდ უდაბური, ციცაბო მთებია აღმართული[1].

მაგრამ შემდეგ, გ. მელიქიშვილის აზრით, ვითარება კვლავ შეიცვალა. საქმე ისაა, რომ პროკოპი კესარიელის ცნობით, რომის უშუალო სამფლობელოები აღწევდა დაბა სუსურმენემდე და რიზემდე, ხოლო რიზეს შემდეგ კი ცხოვრობს ერთი თვითთავადი ხალხი, რომელიც არც რომაელებს ემორჩილება, არც ლაზებს, არავის არ უხდის ხარკს, თუმცა როგორც რომაელებთან, ისე ლაზებთან მშვიდობიან და მეგობრულ ურთიერთობას იცავს ((BG, VIII, 2). ეს გარემოება გ. მელიქიშვილს აფიქრებინებს, რომ IV ს. 60-იანი წლების შემდგომ აქაური მოსახლეობა გათავისუფლებულა რომაელთა ბატონობისაგან და ბუნებრივად მიიჩნევს, რომ იგი ლაზეთის მიერ იყო დამორჩილებული. ამაზე, გ. მელიქიშვილის აზრით, მიუთითებს პროკოპისავე ცნობა, რომ ამ თვითთავად ხალხს მღვდელმსახურებს ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ (BG. VIII, 2; G., II, 125), შემდგომ ხანებში კი. ლაზეთის სამეფოს ერთგვარი დასუსტების შედეგად (V ს. მეორე ნახევარი), ადგილობრივი მოსახლეობა კვლავ გათავისუფლებულა ლაზეთის ბატონობისაგან და ეს მხარე, გარკვეული დროით, აღარც ლაზეთს ეკუთვნოდა, აღარც რომს. სწორედ ეს ვითარებაა აღწერილი პროკოპი კესარიელთან[2].

თავისთავად ცხადია, ასეთი რთული კოლიზიების ეპოქაში, როგორიც IV—VI საუკუნეები იყო მახლობელი აღმოსავლეთისათვის, პოლიტიკური საზღვრებისა და გავლენის სფეროების ხშირი ცვალებადობა სავსებით დასაშვებია. მაგრამ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ეს, ვფიქრობთ, არ დასტურდება.

---

[1] Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 390.

[2] იქვე.

უპირველეს ყოვლისა, ამიანე მარცელინეს ცნობის ისე ნიშანდობლივ გაგება, თითქოს იგი ლაზებისა და რომაელების უშუალო მოსაზღვრეობაზე მიუთითებდეს, ჩვენი აზრით, საფუძველს მოკლებულია. ამიანე მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ სომეხთა მეფე და მისი მხლებლები თავს აფარებენ მაღალ მთებში, რომლებიც რომაელთა მიწებს ლაზიკისაგან ჰყოფენ. აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ რომაელთა მიწაწყალი ლაზიკას უშუალოდ არ ემიჯნებოდა, არამედ მათ ერთმანეთისაგან ჰყოფდა მაღალი მთიანეთი. თანაც ის გარემოება, რომ, ამიანეს თქმით, ლტოლვილნი „იქ ხუთ თვეს იფარავდნენ თავს“ და „თავს აღწევდნენ მეფის (იგულისხმება სპარსეთის მეფის. ნ. ლ.) მრავალ ცდას მათი დაჭერისათვის“, გვაფიქრებინებს, რომ ეს „მაღალი მთები“ საკმაოდ ერცელი მხარე უნდა ყოფილიყო. ამიანეს მითითება კარგად ეთანხმება პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის აღწერას, რომლის მიხედვით რომაელთა უშუალო სამფლობელოებსა და ლაზეთს შორის, სწორედ ჭანეთის მთიანეთში, ცხოვრობს დამოუკიდებელი „თვითთავადი“ ხალხი[1].

არ ჩანს დამარწმუნებელი აგრეთვე ის საბუთი, რომ ამ მხარის მღვდელმსახურთა ლაზთა ეპისკოპოსისაგან განწესება, პოლიტიკურ დამოკიდებულებას ნიშნავდეს. ცნობილია, რომ საეკლესიო დაქვემდებარება სრულიადაც არ გულისხმობს უშუალო პოლიტიკურ დაქვემდებარებასაც. ჭანეთის უშუალო მეზობლობა ლაზეთთან, ამ ორი მხარის ეთნიკურ-კულტურული ერთიანობა, სრულიად გასაგებს ხდის, რომ ჭანეთის მღვდელმსახურთა ხელთდასხმა სწორედ ლაზეთის ეპისკოპოსს დაკისრებოდა, მიუხედავად იმისა, ემორჩილებოდა უშუალოდ ეს მხარე ლაზეთის სამეფოს, თუ არა.

ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ არსებობს არავითარი საბუთი იმის სამტკიცებლად, რომ ლაზეთის სამეფოს საზღვრებში ოდესმე შესულიყო მაკრონ-ჰენიოხთა მიწაწყლის თუნდაც ნაწილი. სამხრეთისაკენ ლაზეთის სამეფოს გაფართოება შეიზღუდა ზიდრიტთა ტერიტორიის შემოერთებით და არ გავრცელებულა მდ. ჭოროხის სამხრეთით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეგრისის სამეფოს საზღვრების გაფართოება ჩრდილოეთის მიმართულებით.

VI საუკუნეში, როგორც ეს მენანდრე პროტიქტორის მოთხრობიდან ჩანს, ბიზანტიელი ელჩები სპარსეთის მეფე ხოსრო ანუშირვანთან (531—579 წწ.) მოლაპარაკების დროს ამტკიცებდნენ,

---

[1] Procop., De BG, VIII, 2; G., II, 125: Agath., Hist., V, 1; G., III, 181—182.

რომ ლაზთა მეფეები ადგენდნენ სვანთა წინამძღოლებს დაწყებული ბიზანტიის იმპერატორ თეოდოსის დროიდან, შემდეგ წარუდგენდნენ სიასაც ლაზთა იმ მეფეებისა, რომელთაც გაუხელისუფლებიათ სვანთა სარდლები და დასძენენ: „ესენი არიან ლაზთა მეფეები, რომლებმაც სვანებს დაუყენეს ბატონიშვილები, იმ დროიდან, როდესაც რომაელთა ძალაუფლება ეპყრა თეოდოსის და სპარსელთა ურანს“[1]...

აქ მოხსენიებული გვირგვინოსნები არიან იმპერატორი თეოდოსი I (379—395) და უარან, ანუ იგივე ბაჰრამ IV (388—399). მაშასადამე, სვანეთის დამორჩილება ლაზთა სამეფოს მიერ 389—395 წწ. უნდა მომხდარიყო[2]. აშკარაა, რომ მაღალსა და მიუვალ მთებში მოსახლე სვანთა დამორჩილებას წინ უსწრებდა ლაზების უშუალო მეზობლების — აფშილების, აბაზგების და სანიგების დამორჩილება[3].

აფშილებისა და აბაზგების შესახებ მერმინდელი (VI ს.) წყაროები პირდაპირ ადასტურებენ ლაზთა მიმართ მათ ქვეშევრდომობას. როგორც პირველნი, ისე მეორენი პროკოპი კესარიელის ცნობით ძველთაგანვე ლაზთა ქვეშევრდომები არიან[4]. რაც შეეხება სანიგებს, ლაზთა სამეფოს მიერ მათი დამორჩილების საკითხი უფრო რთულად დგას. საქმე ისაა, რომ არც ერთი წყარო გარკვევით არაფერს ამბობს სანიგების ლაზთა მიმართ ქვეშევრდომობის შესახებ. პროკოპი კესარიელთან, მაგალითად, მხოლოდ ერთხელ გვხვდება ისეთი კონტექსტი, რომელიც თითქოს საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სანიგების ტომის ტერიტორია ლაზეთის სამეფოს საზღვრებში შედის: ჩამოთვლის რა ლაზეთის ქალაქებს, პროკოპი მათ შორის ასახელებს სებასტოპოლისსა და პიტიუნტის სიმაგრეს[5]. ხოლო არიანეს და V ს. ანონიმის ცნობებიდან ვიცით, რომ სებასტოპოლისი სწორედ სანიგების მიწაწყალზე მდებარეობდა[6]. ამავე დროს, იგივე VI საუკუნეში, იმპერატორ იუსტინიანეს ნოველის მიხედვით სებასტოპოლისი, ისევე როგორც პიტიუნტი, ადმინისტრაციულად პოლემონის პონტოს პროვინციაში შედის[7].

ალსანიშნავია აგრეთვე, რომ ეკლესიურადაც სებასტოპოლისი და

[1] Menandr., Fr. XI, G., III, 224—225.

[2] ს. ყაუხჩიშვილის შენიშვნა მენანდრეს ცნობისადმი, G., III, 225; ს. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, გვ. 314; Г. А. Меликишвили К истории древней Грузии, გვ. 382.

[3] ს. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, გვ. 317—318.

[4] Procop., De BG, VIII, 2; G., II, 128; VIII, 3; G., II, 133; VIII, 10; G., II, 162.

[5] Procop., De BP, II, 29, G., II, 101.

[6] Arrian, PPE. § 11, Anonym., PPE, § 10.

[7] Justinian., Novella XXXI (XXXIII), G., II, 33.

პიტიუნტი ლაზიკისაგან დამოუკიდებელი არიან: IV ს. ნიკეის საეკლესიო კრების ნუსხების მიხედვით, პიტიუნტის ეპისკოპოსი სტრატოფილე პოლემონის პონტოს ეპარქიაში შედის[1], ხოლო VII ს. შემდგომ საეკლესიო ეკთეზისებში სებასტოპოლისი აბაზგიის ავტოკეფალური არქიეპისკოპოსის საჯდომი ქალაქია და ლაზიკის ეპარქიისაგან დამოუკიდებელი[2].

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ სანიგთა ქვეშევრდომობა ლაზიკის სამეფოსადმი ხანმოკლე და საკმაოდ ზერელე უნდა ყოფილიყო.

ლაზთა მეფეების ქვეშევრდომთა შორის VI საუკუნისათვის ჩანან აგრეთვე თანამედროვე წებელდის მიდამოებში მოსახლე მისიმიანთა სვანური ტომები[3] და სკუმიის (აწინდელი ლეჩხუმის) მოსახლეობაც[4].

მაშასადამე, IV ს. ბოლოსთვის ლაზეთის (ეგრისის) სამეფო აერთიანებს უკვე მთელ დასავლეთ საქართველოს. მისი ტერიტორია სამხრეთით მდ. ჭოროხის შესართავის სექტორამდე ვრცელდება, ხოლო ჩრდილოეთით მოიცავს თანამედროვე აფხაზეთსა და მაღალმთიან სვანეთსაც. IV საუკუნის ბოლო არის ლაზეთის სამეფოს განსაკუთრებული გაძლიერების ხანა.

რით იყო გამოწვეული ლაზეთის სამეფოს გაძლიერება ამ დროს, რა ვითარებამ შეუწყო ხელი მის აღმავლობასა და ტერიტორიულ გაფართოებას?

ს. ჯანაშია ლაზეთის გაძლიერებას უკავშირებს რომის (ბიზანტიის) იმპერიის პოზიციების შერყევას აღმოსავლეთში, რაც გამოწვეული იყო მისი წარუმატებელი ომებით სპარსეთში. იმპერიას აღარ ძალუძს ხელი შეუშალოს ლაზეთის სამეფოს გაძლიერებას და იძულებულია შეურიგდეს შექმნილ ვითარებას[5].

გ. მელიქიშვილი, წინააღმდეგ ამ აზრისა, აღნიშნავს, რომ არ არის აუცილებელი ლაზეთის სამეფოს გაძლიერების პროცესი წარმოვიდგინოთ რომის წინააღმდეგ მიმართულად და დავუკავშიროთ რომის საშინაო თუ საგარეო გართულებებს. მისი აზრით, ლაზეთის სამეფოს გაძლიერება ხანგრძლივი პროცესი იყო, რომელიც ჯერ კიდევ ახ. წ.

---

[1] G., I, 3—4.

[2] G., IV, 2, გვ. 139—140, შეად. 181 და შემდ.

[3] Agath., Hist., III, 15, G., III, 86.

[4] Procop., De BG, VIII, 2, G., II, 126; ს. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, გვ. 100 და 318.

[5] ს. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, გვ. 315—317.

I—II სს. დაიწყო და რომელიც რიგი სხვადასხვა ფაქტორებით იყო გაპირობებული[1].

ჩვენი აზრით, გ. მელიქიშვილს ეს პროცესი სავსებით სწორად აქვს განხილული, თუმცა უგულებელსაყოფი არ არის ს. ჯანაშიას მოსაზრებაც.

III საუკუნის მიწურულში რომის იმპერიის ცენტრმა აღმოსავლეთში გადმოინაცვლა, რაც გაპირობებული იყო აღმოსავლეთის პროვინციების უფრო დიდი სამეურნეო ძალით, ვაჭრობისა და საქალაქო ცხოვრების ნაკლები დაცემით და აგრეთვე სამხედრო-პოლიტიკური მოტივებით — ამ დროიდან რომის ძირითად პოლიტიკურ მოქიშპედ სასანური ირანი ხდება[2]. ამ გარემოებამ აღმოსავლურ პროვინციებში რომის ბატონობის ერთგვარი, დროებითი განმტკიცება გამოიწვია. III ს. და IV ს. პირველ ნახევარში რომი ჯერ კიდევ ახერხებს სასანურ ირანს საკადრისი წინააღმდეგობა გაუწიოს და მიუხედავად ზოგიერთი მარცხისა, ძირითადად ინარჩუნებს თავის პოზიციებს როგორც ამიერკავკასიაში, ისე მესოპოტამიაში[3].

მაგრამ IV ს. მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) პოზიციები აღმოსავლეთში მნიშვნელოვნად შეირყა. ბიზანტიამ რამდენიმე მნიშვნელოვანი მარცხი განიცადა ირანთან ბრძოლაში. განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდა შაჰი შაბურ II (309—379). ბიზანტიის იმპერატორი იოვიანე იძულებულია სპარსეთთან დადოს ზავი 363 წ. ამ ზავის პირობების თანახმად, ირანს უბრუნდებოდა რომის მიერ ადრე წართმეული პროვინციები, მის ხელში გადადიოდა მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქები — ნიზიბინი და სინგარა, გარდა ამისა რომაელები ფაქტიურად სცნობდნენ ირანის უპირატესობას სომხეთში: ისინი პირობას დებდნენ, რომ აღარ ჩაერეოდნენ სომხეთის საქმეებში[4].

ამიანე მარცელინე ამ ზავს „სამარცხვინოს“ უწოდებს (pudenda pax) და რომაელების დიდ შეცდომად თვლის მის დადებას[5].

---

[1] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 382—384.

[2] E. Stein, Geschichte des spätrömischen Reiches, Wien, 1928, გვ. 7—9; G. Ostrogorsky, Geschichte des Byzantinischen staates, München, 1940, გვ. 23—25; ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, I წ., 1948, გვ. 50—51; История Византии, т. I, 1967, изд. Института истории АН СССР, გვ. 101—128.

[3] Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский и др., История Ирана с древнейших времен до конца XVIII в., Л., 1958, გვ. 39—40; Т. Моммзен, История Рима, т. V, М., 1949, გვ. 379—399.

[4] CMH, v. I, 1936, გვ. 84—85.

[5] Ammian. Marc., RG, XXV, 7, 9.

377 წ. იმპერატორი ვალენტი, ვესტგუთების აჯანყების გამო იძულებულია ცნოს ირანელთა უპირატესობა სომხეთში, ხოლო როდესაც 378 წ. ადრიანოპოლთან ბიზანტიამ ვესტგუთებისაგან საშინელი მარცხი განიცადა, ბრძოლის ველზე დაკარგა ჯარის საუკეთესო ნაწილი და თვით იმპერატორიც, მას უკვე არავითარი ძალა აღარ შესწევს ქიშპობა გაუწიოს ირანს./ამავე ხანებში უცვნიათ ირანელთა ბატონობა თვით სომხებსაც: ირანიდან სომხეთში მოვიდა მარზპანი სურენი, რომელსაც ამ ქვეყნისათვის ხარკი დაუკისრებია[1].

IV ს. 70-იანი წლების ბოლოს ფაქტიურად გაბატონდა ირანი ქართლზედაც. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მოგვითხრობს, რომ ქართლის მეფე ვარაზ-ბაკურის დროს ქართლში მოსულა სპარსთა მეფის პიტიახში და ქართლი დაუხარკავს[2]. დაახლოებით მსგავსი ცნობა აქვს შენახული ლეონტი მროველსაც[3].

ამის შემდეგ რეალურად შექმნილი ვითარება გაფორმდა ბიზანტია-ირანის 387 წ. საზავო ხელშეკრულებით. კერძოდ, ამ ხელშეკრულებით სომხეთის ოთხი მეხუთედი ერგო ირანს, ხოლო ერთი მეხუთედი — რომს[4].

ასეთ ვითარებაში, ბიზანტიის ხელისუფლებას აღმოსავლეთში მორჩილ ვასალზე უფრო ძლიერი მოკავშირე ესაჭიროებოდა და იგი იძულებულია არა მარტო შეურიგდეს ლაზეთის სამეფოს გაძლიერებას, არამედ ხელიც შეუწყოს და მხარი დაუჭიროს.

ლაზეთის სახელმწიფოს გაძლიერებას ხელი შეუწყო აგრეთვე ჩრდილოეთის მომთაბარე ტომების გააქტიურებამ და რომის პროვინციებზე თავდასხმებმა. ჯერ კიდევ III საუკუნეში რომს მძიმე ბრძოლები უხდება გუთების ტომებთან. გუთები თავს ესხმიან ბოსფორსაც და აქედან მცირე აზიის სანაპიროებსაც, მათი თავდასხმის ობიექტი ხდება შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროც. როგორც ზევით იყო აღნიშნული, გუთებთან ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაც.

IV ს. გუთები ახალმა ძალამ შეცვალა. ეს იყო აღმოსავლეთიდან დაძრული ჰუნების ურდოები, რომლებიც IV ს. 70-იან წლებში ანადგურებენ ალანთა გაერთიანებას, შემდეგ ბოსფორის სამეფოს

---

[1] ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, 1962, გვ. 80.

[2] მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ხელნ. ინსტ., თბილისი, 1964, გვ. 91—92.

[3] ქართლის ცხოვრება I, გვ. 136; შეად. ლ.-ნ. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 81—83.

[4] Очерки истории СССР, III—IX вв., გვ. 193.

ტერიტორიას, თავდასხმებს აწარმოებენ ბიზანტიის დუნაისპირა პროვინციებზე და ჩრდილო კავკასიის ზეკარებით — სამხრეთის ოლქებზეც[1]. ასეთ ვითარებაში ამ ზეკარების დაცვა ბიზანტიის ხელისუფლებისათვის უაღრესი მნიშვნელობის საკითხად იქცა და ძლიერი ლაზთა სამეფო ამ მხრივაც რომისთვის მთავარ დასაყრდენად უნდა ქცეულიყო. ამ მხრივ ნიშანდობლივია პროკოპი კესარიელის სიტყვები, რომ „კავკასიაში მოსახლე ბარბაროსთათვის ლაზიკე არის მხოლოდ საწინააღმდეგო ტიხარი"[2]. უფრო გარკვევით ლაზეთის ამგვარ როლზე პროკოპი კესარიელი სხვა ადგილას ლაპარაკობს. აღნიშნავს რა ლაზეთის ძველთაძველ დამოკიდებულებას რომზე და იმას, რომ ლაზები არც ხარკს იხდიდნენ, არც სხვა რაიმეში ემორჩილებოდნენ რომაელებს, პროკოპი დასძენს, რომ ლაზები მტკიცედ იცავდნენ თავის საზღვრებს, „რათა მტრულად განწყობილი ჰუნები, მათი მოსაზღვრე კავკასიის მთიდან ლაზიკეზე გავლით რომაელთა მიწა-წყალში არ შემოჭრილიყვნენ"[3].

მაშასადამე, ლაზეთისა და ბიზანტიის ურთიერთობა ნებაყოფლობით კავშირზე იყო დამყარებული და საკუთრივ ლაზთა ადგილსაცხოვრისის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიების (აფშილეთის, აბაზგიის, სვანეთის და სხვ.) დაპყრობა ბიზანტიელებისთვისაც სასარგებლო იყო, რამდენადაც ეს უკეთ უზრუნველყოფდა ჩრდილოეთის ზეკარების დაცვას[4].

ამრიგად, ლაზეთის სამეფოს გაძლიერება აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) ინტერესთა საწინააღმდეგოდ არ ხდებოდა. პირიქით, რომს სჭირდებოდა აღმოსავლეთში ძლიერი მოკავშირე, რომელიც, ფორმალურად მაინც, მისი ვასალი იქნებოდა. მაგრამ, ამასთან ერთად, ეგრისის განმტკიცება-გაძლიერება მაინც რომის დასუსტებასთან იყო დაკავშირებული.

III—IV სს. რომის იმპერიას უკვე აღარ შესწევდა ძალა თვით გადაეჭრა ყველა ის საკითხი, რომელზედაც ზევით იყო საუბარი. სასანურ სპარსეთთან განცდილმა მარცხმა, ირანის ამიერკავკასიის ქვეყნებში (ალბანეთში, სომხეთსა და ქართლში) დამკვიდრებამ, გუთებისა და შემდეგ ჰუნების შემოსევებმა აიძულეს რომი შერიგებოდა და ხელიც კი შეეწყო ლაზეთის მმართველთა დამოუკიდებლო-

---

[1] А. Н. Бернштам. Очерк истории гуннов, Л., 1951, გვ. 143—153; F. Altheim, Attila und die Hunnen, Baden-Baden, 1951, გვ. 178; Всемирная история, т. II, М., 1956, გვ. 786.

[2] Procop., De BP. II, 28; G., II, 96.

[3] იქვე, II, 15; G., II, 72.

[4] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 384.

ბისაკენ და გაფართოებისაკენ მისწრაფებისათვის. ეს მოვლენა ლოგიკური გაგრძელება იყო რომის პოზიციების თანდათანობითი შესუსტებისა აღმოსავლეთში ჯერ კიდევ ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან.

რატომ მოხდა, რომ დასავლეთ საქართველოს გამაერთიანებლის როლში სწორედ ლაზეთის სამეფო გამოვიდა? ეს უპირველეს ყოვლისა ამ სამეფოს მეურნეობრივი მდგომარეობით უნდა აიხსნებოდეს. რიონის ორივე ნაპირზე განლაგებულ ლაზეთის სამეფოში ძველთაგანვე განვითარებული უნდა ყოფილიყო ყველაზე მეტად მიწათმოქმედება. ძველი კოლხეთის ეს ცენტრალური რაიონი ჩვენთვის საინტერესო დროშიაც მეურნეობრივად წამყვან ოლქად ჩანს.

გვიანდელი ხანის ცნობების, კერძოდ იგივე პროკოპი კესარიელის ცნობების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ლაზიკის მიწა-წყალი საერთოდ საკმაოდ მწირი იყო და სოფლის მეურნეობა ნაკლებ განვითარებული. ასე მაგალითად, სკანდისა და შორაპნის მიდამოებში, პროკოპის სიტყვით „არ მოდის არც ხორბალი, არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე“[1]; ადგილობრივი მოსახლეობა თავის გამოკვებას მხოლოდ ქვრიმით ახერხებდა[2].

სხვა ადგილას პროკოპი ზოგადად ლაზიკაზე ლაპარაკობს და აღნიშნავს, რომ აქ „არსად არ არის მარილი, არც ხორბლეული მოდის, არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე“[3].

მაგრამ, თვით პროკოპი სულ სხვაგვარად ახასიათებს ე. წ. „მოხირისის მხარეს“. „მოხირისი ერთი დღის სავალ გზაზეა არქეოპოლისს დაშორებული და შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხეთის მიწა-წყალზეც ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ“[4].

როგორც პროკოპი კესარიელის ცნობებიდან ირკვევა, საკუთრივ მოხირისის მხარე ცხენისწყალსა და რიონს შუა მდებარეობდა და ქუთაისი წარმოადგენდა ამ მხარის თავისებურ საყრდენ პუნქტს[5]. უფრო ფართო გაგებით კი მოხირისის მხარე მოიცავდა საკმაოდ დიდ რაიონს, რომელიც შეიცავდა თანამედროვე ქუთაისის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, აბაშისა და მარტვილის რაიონების ვაკე ნაწილს, რომელიც, სამეურნეო თვალსაზრისით, გარკვეულ მთლიანობას შეადგენს. ამ მხარის სამეურნეო დაწინაურებაზე მეტყველებს ამ მხარე-

[1] Procop., De BP, I, 12; G., II, 51.

[2] იქვე. გვ. 52.

[3] იქვე, გვ. 96.

[4] Procop., De BG, VIII, 14; G., II, 194.

[5] ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. II, გვ. 208—209.

ში ლაზეთის უდიდესი და უმდიდრესი ქალაქების ქუთაისის, მოხრისისა და როდოპოლისის აღმოცენების ფაქტი და მთელი ამ მხარის ძველი ქართული სახელწოდება „სამოქალაქო“[1].

მოტანილი ცნობები აშკარას ხდიან, რომ ეგრისის სამეფოს ეს ცენტრალური, რიონისპირა ოლქი მეურნეობრივად დასავლეთ საქართველოში ყველაზე დაწინაურებული ყოფილა, რამაც უდავოდ ხელი შეუწყო აქ ახ. წ. I—II სს. ჩამოყალიბებულ ლაზთა სამეფოს გაძლიერებას და მთელი დასავლეთ საქართველოს გამაერთიანებლის როლში გამოსვლას.

ამრიგად, IV საუკუნის მიწურულისათვის დასავლეთ საქართველო გაერთიანებულია ლაზების (ეგრისის) სამეფოს მიერ. ლაზეთის (ეგრისის) მეფე ბიზანტიის იმპერატორის ვასალად ითვლებოდა, მაგრამ ეს დამოკიდებულება მეტად ფორმალურ ხასიათს ატარებდა. როგორც აღნიშნული იყო, ლაზეთის ტერიტორიაზე IV—V საუკუნეებში არსად არ იდგა რომაული ჯარი. პროკოპი კესარიელი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ლაზები არც ხარკს იხდიდნენ, არც სხვა რაძე'ში ემორჩილებოდნენ რომაელებს. მათი ერთადერთი ვალდებულება იყო ჩრდილოეთის საზღვრების დაცვა მომთაბარე ტომთა შემოსევებისაგან; მაგრამ ეს „ვალდებულება“ მთლიანად ემთხვეოდა ლაზეთის სამეფოს საკუთარ ინტერესებს: მომთაბარე ტომთა შემოსევებისაგან თავიანთი სამეფოს ტერიტორიის დაცვაში ხომ პირველ რიგში თვით ლაზთა ხელისუფალნი იყვნენ დაინტერესებულნი.

ლაზეთის მეფის ვასალური დამოკიდებულების გარეგნულ გამოხატულებას წარმოადგენდა მხოლოდ მეფედ კურთხევის წესი. „როდესაც მათ (ლაზებს, ნ. ლ.) მეფე მოუკვდებოდათ, — წერს პროკოპი კესარიელი — რომაელთა მეფე უგზავნიდა სამეფო ტახტის მემკვიდრეს ძალაუფლების სიმბოლოს“[2].

ამასვე ადასტურებს აგათია სქოლასტიკოსიც, რომელიც ნიშანდობლივ ჩამოთვლის კიდევაც იმ სამეფო ნიშნებს, რომელთაც ძველთაგანვე მიღებული წესით იმპერატორი უგზავნიდა ლაზთა მეფეს: ოქროს გვირგვინი, თვალმარგალიტით შემკული; კოჭებამდე გრძელი ქიტონი, ოქრომკედით მოქარგული; მიტრა, აგრეთვე ოქროთი და თვლებით შემკული, წითელი წაღები და თეთრი ქლამიდა, ოქროქსოვილითა და მეფური აბზინდით მორთული[3].

ლაზეთის მეფეს, თავის მხრივ, ჰყავს საკუთარი ვასალები. ასე

---

[1] ს. ჯანაშია, შრომები. II, გვ. 320—321.

[2] Procop., De BP, II, 15; G., II, 72.

[3] Agath., Hist., III, 15; G., III, 84—85.

მაგალითად, აბაზგებს, მიუხედავად იმისა, რომ პროკოპის სიტყვით, ისინი „ძველითგანვე ლაზების ქვეშევრდომნი იყვნენ“, ჰყავდათ ორი მთავარი[1].

ასევე საკუთარი მთავრები ჰყავთ სკვიმიისა (ლეჩხუმის) და სვანთა ტომებს, თუმცა ისინიც ლაზთა ქვეშევრდომები არიან. ამ ტომთა მთავრების გარდაცვალების შემთხვევაში, მათ ახალ მთავრებს თვისტომთაგან ლაზეთის მეფე უნიშნავს[2].

უფრო გარკვევით შეიძლება მსჯელობა ლაზეთის მეფისაგან სვანების დამოკიდებულების შესახებ. მენანდრე პროტიქტორი გადმოგვცემს ბიზანტიელი ელჩების მიერ ამ ურთიერთობის დახასიათებას: „ლაზებში ძველი წესი იყო, რომ სვანეთის სარდალი ემორჩილებოდა ლაზს და მასთან ის აღრიცხული იყო სახარკო სიაში, და ლაზი კი იღებდა მისგან ფუტკრების ნაყოფს და ტყავებს და ზოგ სხვა რამესაც. ხოლო როდესაც სვანების მთავარი გარდაიცვლებოდა, ლაზების მეთაური ახელისუფლებდა მას, ვისაც უნდა მიეღო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება“[3].

ამრიგად, სვანეთის მთავრებს და, როგორც ჩანს, ლაზეთის მეფეზე დამოკიდებულ სხვა ტომთა ხელისუფლებს ევალებოდათ ხარკის გადახდა და მათი დანიშვნა ლაზთა მეფის მიერ ხდებოდა. საფიქრებელია, ისინი ვალდებული იყვნენ სამხედრო სამსახურიც გაეწიათ ლაზეთის მეფისათვის, კერძოდ ლაზთა სამეფოს ჩრდილოეთი საზღვრები დაეცვათ[4].

რაც შეეხება აფსილეთს, მისი სტატუსის შესახებ წყაროები არაფერს ამბობენ, გარდა იმისა, რომ აფსილები ლაზთა ქვეშევრდომები არიან, შეიძლება ვიფიქროთ, რომ აფსილეთი უშუალოდ შევიდა ლაზეთის სამეფოს შემადგენლობაში. ხოლო VI საუკუნის ამბების აღწერიდან ჩანს, რომ ლაზთა მეფეს აფსილეთში თავისი მოხელეები (მაგისტროსი) ჰყავდა და ციხეებში კი ლაზური გარნიზონები იდგა[5].

ყოველივე ეს აძლევდა, როგორც ჩანს, აგათია სქოლასტიკოსს საფუძველს ეთქვა, რომ „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენდნენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობდნენ; ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობდნენ, შესაძლებელია არც თუ ისე უსაფუძვლოდ“[6]. ამავე დროს, იგივე აგათია,

[1] Procop., De BG, VIII, 3; G., II, 113.

[2] იქვე, გვ. 126—127.

[3] Menandr., fr. XI; G., III, 224.

[4] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 384.

[5] Procop., De BG, VIII, 10; G., II, 162—165.

[6] Agath., III, 5; G., III, 50.

ებება რა VI საუკუნის მდგომარეობას ლაზეთში, ათქმევინებს ლაზ წარჩინებულს, რომ ამ დროს „გაჰქრა კოლხთა ძველი ღირსება“ და ველარ ბატონობენ ლაზები სხვებზე[1]. მაშასადამე, ლაზთა ზემომოტანილი დახასიათება VI საუკუნის წინა ხანას ეხება.

*
* *

ეგრისის სამეფოს ძლიერება მაინცა და მაინც ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში V ს. 70-იანი წლებისათვის აშკარაა მისი ერთგვარი დასუსტება, რაც სვანეთის დაკარგვაში გამოიხატა. ისტორიკოს მენანდრეს ზემომოტანილ ცნობაში აღნიშნული აქვს რომ, ბიზანტიელი ელჩების თქმით, სვანეთის ლაზეთისაგან დამოკიდებულება გაგრძელებულა ბიზანტიის იმპერატორ ლეონ I-ძდე (457—474) და სპარსეთის მეფე პეროზამდე (459—484)[2]. მაშასადამე, 457—474 წლებს შორის სვანეთს ლაზეთისაგან დამოუკიდებლობა მოუპოვებია.

რით იყო გამოწვეული ლაზეთის სამეფოს ეს მარცხი, ძნელი გასარკვევია წყაროების უქონლობის გამო. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ 60—70-იან წლებში ლაზეთის სამეფოს დასუსტება გამოწვეული იყო ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის ხანაში იბერიის გაძლიერებით. ვახტანგ გორგასლის ცხოვრების აღწერაში აღნიშნულია ვახტანგის ძლევამოსილი ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში და აქ ყველა ციხეების დაპყრობა, ვიდრე ციხე-გოჯამდე. ჯუანშერის მოთხრობით, ოსეთზე, პაჭანიკეთსა და ჯიქეთზე ლაშქრობის შემდეგ ვახტანგი „სპითა დიდითა ქართლისათა წარმოვიდა გზასა აფხაზეთისასა. სულგრძელად და უშიშად იწყო ბრძოლად ციხეთა აფხაზეთისათა რამეთუ მეფე ბერძეხთა ლეონ დიდი უცალო იყო ბრძოლისაგან სპარსთასა, და ვერშემძლებელ იყო სპათა გამოგზავნად აფხაზეთს; და სამ წელ წარტყუენნა ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი ვიდრე ციხე-გოჯამდე“[3].

ცოტა უფრო ქვევით, ვახტანგის ხელქვეით ერისთავთა ჩამოთვლისას ჯუანშერი, სხვათა შორის, ასახელებს ეგრისა, სვანეთისა და მარგვისა და თაკვერის ერისთავებს[4].

---

[1] Agath., III, 9; G., III, 65.
[2] Menandr., fr. 11; G., III, 225, შენ. 1.
[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 157.
[4] იქვე, გვ. 185.

სწორედ ჯუანშერის ეს ცნობები აძლევენ საფუძველს გ. მელიქიშვილს, ივარაუდოს, რომ ამ დროს (ე. ი. ლეონ I დროს) ვახტანგს მოუხერხებია როგორც დასავლეთ საქართველოს, ისე ისტორიული მესხეთის ზოგიერთი ოლქის დაპყრობა და სვანეთიც ამ დროს ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შესულა; ამასთან ვახტანგს, გ. მელიქიშვილის აზრით, აქ დახმარებია ბიზანტია-ირანს შორის არსებული წინააღმდეგობების მოხერხებული გამოყენება: იგი ხან სპარსეთის, ხან ბიზანტიის მოკავშირედ გამოდის და დასავლეთ საქართველოში მოპოვებული წარმატებებისათვის მას სწორედ სპარსელებთან კავშირში მიუღწევია[1].

ერთი შეხედვით ყველაფერი ეს თითქოს საკმაოდ ლოგიკურად და დამაჯერებლად გამოიყურება, მაგრამ ჯუანშერის მონათხრობი მაინცადამაინც ნდობას არ იმსახურებს.

ჯერ ერთი, ჯუანშერის მიერ ვახტანგის მეფობის პირველი წლების საერთო სიტუაციის აღწერა არ შეეფერება რეალურ ვითარებას. ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგი გამოდის აქ სპარსეთის მოკავშირედ და მათთან ერთად იბრძვის ოვსებისა და პაჭანიკების — რეალურ-ისტორიულად ჰუნების — წინააღმდეგ. ამავე დროს, როგორც ეს ყველა სხვა, პირველ რიგში კი მოვლენათა თანამედროვე სომხური წყაროებიდან ჩანს, V ს-ის ორმოციანი წლებიდან სპარსელები იწყებენ ამიერკავკასიის ქვეყნებში ახალი, განსაკუთრებით აქტიური პოლიტიკის გატარებას, რომლის მიზანია ალბანეთის, სომხეთისა და ქართლის შინაგანი დამოუკიდებლობის სრული მოსპობა, მათი ირანის პროვინციებად ქცევა და მათი ხალხების ასიმილაცია[2].

მეორე მხრივ, ჩვენს ხელთ არის სწორედ თანამედროვის მიერ დაწერილი ისეთი ძეგლი, როგორიცაა იაკობ ცურტაველის „მარტვილობაჲ შუშანიკისი“. ამ ძეგლში ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება: ვარსქენი სავსებით დაუსჯელად და შეუზღუდველად იქცევა ქართლში, ექვსი წლის მანძილზე აწამებს თავის ცოლს. სცემს თავის ძმას ჯოჯიკს, სცემს ხუცესს, ციხეში სვამს შუშანიკს, ცხენდაცხენ გაფანტავს შუშანიკის პატივსაცემად მოგროვილ ხალხს; თვით

---

[1] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 386; ამავე აზრისაა ს. კაკაბაძეც, („ვეჰტანგ გორგასალი“, 1959, გვ. 36—41), მაგრამ დახ. საქართველოს მაშინდელი ვითარება ისეა არეული, რომ ჩვენ ზედმეტად ჩაეთვალეთ ამ ნაშრომის აქ გარჩევა.

[2] С. Т. Еремян, Народно-освободительная война армян против персов в 450—451 гг., ВДИ, 1951, № 4, გვ. 55—61; К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании, М.—Л., 1959, გვ. 210—213; ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები....., გვ. 109—135.

ემაღლესი სამღვდელოებაც კი ვერ იცავს შუშანიკს[1]. მთელი ნაწარ-მოებიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართლში ამ დროს არ არ-სებობს ვარსქენის ამლაგმველი ძალა, არ არის სამეფო ხელისუფლე-ბა. ვარსქენი სპარსეთის მეფის მოხელე, მისი პიტიახშია ქართლში და თუკი ის ასე იქცევა, ცხადია იმიტომ, რომ ქართლის მაშინდელი მეფის, ვახტანგ გორგასალის ძალაუფლებას არ ჰმორჩილებს, არაფ-რად აგდებს[2]. ეს კი ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა, ვახტანგი რომ სპარსეთის მეფის მოკავშირე, მისი პოლიტიკის გამტარებელ-მო-ზიარე ყოფილიყო. და ყველაფერი ეს ხდება სწორედ იმ დროს, როცა, ჯუანშერის მოთხრობით, ვახტანგი იმდენად ერთგული მოკავ-შირეა სპარსეთის, რომ მის ჯართან ერთად, სპარსეთის მეფის და-ვალებით, ატარებს მთელ რიგ ლაშქრობებს[3].

ჯუანშერის თხრობას სხვა ნაკლოვანი მხარეებიც გააჩნია და ეს პირველ რიგში ჩანს საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების ძალ-ზე ცუდ ცოდნაში, რომელსაც იგი ამჟღავნებს. ეს რამოდენიმე მაგა-ლითით შეიძლება დადასტურდეს:

1. როდესაც ჯუანშერი ვახტანგ გორგასალის აფხაზეთში (resp. დასავლეთ საქართველოში) ლაშქრობას აგვიწერს, იგი აღნიშნავს, რომ ვახტანგმა „უშიშად იწყო ბრძოლად ციხეთა აფხაზეთისა. რა-მეთუ მეფე ბერძენთა ლეონ დიდი უცალო იყო ბრძოლისაგან სპარ-სთასა, და ვერშემძლებელ იყო სპათა გამოგზავნად აფხაზეთს“[4]. ლეონ დიდი უდავოდ ბიზანტიის იმპერატორი ლეონ I-ია. მაშასადამე, ჯუანშერის სიტყვით, ვახტანგს უსარგებლია ბიზანტია-ირანს შორის მომხდარი ომით და ამ დროს დაუპყრია დასავლეთ სა-ქართველო. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ლეონ I დროს ბიზანტიასა და ირანს შორის ომს საერთოდ არ ჰქონდა ადგილი[5].

2. ბიზანტია-ირანს შორის, ჯუანშერის სიტყვით, მეორე ომსაც ჰქონდა ადგილი. ამ ომის წინ გარდაცვლილა ლეონ I და მის ნაცვ-ლად ტახტზე დამჯდარა მისი ძე ზენონი, ხოლო ირანის შაჰი ყო-ფილა „ხუასრო“[6]. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ლეონ I შემდეგ

---

[1] იაკობ ცურტაველი, წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, ი. აბულაძის ხელ-მძღვანელობითა და რედაქციით, 1963, გვ. 11—29.

[2] ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები.... გვ. 140.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 150 და შემდ.

[4] იქვე, გვ. 157.

[5] Ф. И. Успенский, История Византийской империи, I, გვ. 326—344; Ю. Кулаковский, История Византии, I, გვ. 350—396.

[6] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 203.

უშუალოდ ზენონი არ გამეფებულა (რამოდენიმე თვე ტახტზე ლეონ I შვილიშვილი ლეონ II იჯდა) და რომ ზენონი იყო სიძე და არა ძე ლეონ I-სა, მთავარი ისაა, რომ არც ზენონის დროს ჰქონია ადგილი ომს ბიზანტიასა და ირანს შორის.

3. ჯუანშერის თხზულებაში სრულიად არ აისახა ვახტანგის მეფობის მახლობელ ეპოქაში (442 წ. და 502—506 წწ.) რეალურად მომხდარი ორი ომი[1].

ამრიგად, ჯუანშერს მეტად არასწორი ცნობები აქვს ბიზანტიისა და ირანის ურთიერთობის, მათ შორის მომხდარი ომების შესახებ და ამდენად ამ მოვლენებთან ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობის ცალკეული ეპიზოდების დაკავშირებაც მეტად არადამაჯერებლად გამოიყურება.

დაბოლოს, როგორც ეს კარგად აქვს გარკვეული ლ. ჯანაშიას, ჯუანშერთან თითქმის არავითარი ასახვა არ პოვა ირანის წინააღმდეგ ქართლის 482—484 წლების აჯანყებამ, ხოლო ის ცნობები, რომელიც მას მოეპოვება ქართლის ბრძოლის შესახებ ირანის წინააღმდეგ, მეტად საეჭვოდ გამოიყურება[2].

მაშასადამე, ჯუანშერი არა მარტო მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო სიტუაციაში არაა სათანადოდ გარკვეული, არამედ თვით ქართლის ისტორიაც არა აქვს საკმარისად გაგებულ-შესწავლილი და აქაც მნიშვნელოვან შეცდომებს უშვებს.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ჩვენ არ მიგვაჩნია დამაჯერებლად და სანდოდ ჯუანშერის მოთხრობა დასავლეთ საქართველოში ასეთი ფართო ლაშქრობისა და მისი ცალკეული ოლქების დაპყრობის შესახებ. ასეთი დასკვნის საფუძველს ზოგიერთი სხვა გარემოებაც გვაძლევს. უპირველეს ყოვლისა, ესაა ვახტანგ გორგასალის პოლიტიკის საერთო გათვალისწინება. ვახტანგი, ყველა არსებული წყაროების მიხედვით, ანტისპარსული ტენდენციების მატარებელი. სპარსეთის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის აქტიური მონაწილე და ბელადთაგანია, არა მარტო ქართლში, არამედ მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით. ამავე დროს ვახტანგს თვით ქვეყნის შიგნით უხდება მსხვილ მიწათმფლობელთა, აღმავალი ფეოდალური კლასის წარმომადგენელთა ცენტრიდანული მისწრაფებების დაძლევა, მათთან ბრძოლა[3]. ასეთ ვითარებაში, ძნელი წარმოსადგენია, რომ ვახტანგ

[1] ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები..., გვ. 163-164.

[2] იქვე. გვ. 165.

[3] ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 240—243; ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 288—295.

ბიზანტიასთან ურთიერთობა გაემწვავებინა; ხოლო დასავლეთ საქართველოს, ეგრისის დალაშქვრა სწორედ ბიზანტიასთან ურთიერთობის გამწვავებას მოასწავებდა, რამდენადაც ეგრისი (ლაზეთი) ბიზანტიის ქვეშევრდომ ქვეყანას წარმოადგენდა.

მეორეც, VI საუკუნის დასაწყისში, როგორც ეს ბიზანტიური წყაროებიდან ჩანს, სვანეთიც დამოუკიდებელია და არგვეთიც იბერიას, ანუ ქართლს აღარ ემორჩილებოდა: არგვეთის ციხე-სიმაგრეები სკანდა და შორაპანი ბიზანტიური წყაროების მიხედვით ლაზეთის ქალაქებად ჩანან და არა იბერიისა[1].

მესამე გარემოება, რომელიც ჩვენს ყურადღებას იპყრობს, არის ქართლის საეპისკოპოსო კათედრათა ნუსხა, რომელიც იგივე ჯუანშერს აქვს მოტანილი. ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგის მიერ დაარსებული ყველა კათედრა აღმოსავლეთ საქართველოსა და მესხეთის ტერიტორიით იფარგლება. არც ერთი კათედრა არ არის მის მიერ დასავლეთ საქართველოში დაარსებული[2]. თუკი დასავლეთ საქართველოს გარკვეული ნაწილი — „შიდა ეგრი და სუანეთი, მარგვ და თაკუერი“ — ქართლში შემოვიდა ვახტანგის დროს, ძნელი წარმოსადგენია, რომ მას, თავისი ძალაუფლების აქ უფრო მეტად განმტკიცების მიზნით არ დაეარსებინოს საეპისკოპოსო კათედრა, ქართლის პოლიტიკური ბატონობის ერთერთი ძირითადი საყრდენის, მცხეთის (ქართლის) საკათალიკოსო ხელქვეითი მღვდელმთავარის საგამგეო ცენტრი.

ჯუანშერის თხზულებაში ასახული სურათი, რომლის მიხედვით ვახტანგ გორგასალი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციის მეთაურად არის წარმოდგენილი, უფრო მეტად შეეფერება საშუალო საუკუნეთა, კერძოდ XI საუკუნის იდეოლოგიურ შეხედულებებს, ვიდრე V საუკუნის რეალურ-ისტორიულ სიტუაციას[3]. XI საუკუნისათვის, როდესაც სავარაუდოა ჯუანშერის მოღვაწეობა, უფრო გასაგებია იდეა ვახტანგ გორგასალის ანტიბიზანტიური ტენდენციისა, მის მიერ დასავლეთ საქართველოში საეპისკოპოსოების დაარსებისა და ეგრისზე

---

[1] იხ. პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის მიერ ბიზანტია-ირანის ომების აღწერა; შად. გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ბიზანტიასა და ირანს შორის ბრძოლა იბერია-ლაზიკისათვის VI საუკუნეში, თსუ შრომები, ტ. XXVI-ხ. 1944, გვ. 87—154.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 198—199.

[3] შად. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, 1965, გვ. 8—9.

თავისი გავლენის გავრცელებისა, ვიდრე V საუკუნის რეალური ისტორიული ვითარებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ჩვენ არ მიგვაჩნია დამაჯერებლად, რომ ეგრისის სამეფოს ძლიერების შერყევა, სვანეთზე მისი ბატონობის შეწყვეტა იბერიის გაძლიერებას დავუკავშიროთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს პროცესი სხვა მოვლენებთან იყო დაკავშირებული.

V ს. 50—60-იან წლებში გართულებულია ურთიერთობა ეგრისსა და ბიზანტიას შორის. V ს. ისტორიკოსი პრისკე პანიონელი მოგვითხრობს, რომ იმპერატორ მარკიანეს დროს (450—457) ლაზების მეფე გუბაზი აჯანყებულა ბიზანტიის წინააღმდეგ. იმპერატორს ჯარი გაუგზავნია ლაზების წინააღმდეგ, ამ ჯარს აქ ომი უწარმოებია და შემდეგ უკან გამობრუნებულა. ბიზანტიის ხელისუფლება ახალი ომისათვის ემზადებოდა და თან ფიქრობდა სპარსელების მიმხრობასაც[1]. როგორც ჩანს, პირველი ომი ლაზების წინააღმდეგ მაინცადამაინც შედეგიანი არ ყოფილა. ლაზეთის მეფეს გუბაზს ელჩები გაუგზავნია სპარსეთის მეფისთვის, მაგრამ უკანასკნელი ებრძოდა ამ დროს კიდარიტ-ჰუნებს და ამიტომ გუბაზს უარი უთხრა დახმარებაზე[2]. ამის შემდეგ გუბაზს არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ ისევ იმპერატორთან გაეგზავნა ელჩები და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება ეთხოვა. ამ დროს ლაზეთის ტახტზე გუბაზის თანამოსაყდრედ იჯდა მისი ვაჟი წათე, მაგისტროსი ევფემიოსი, რომელიც იმპერატორ მარკიანეს დროს ბიზანტიის საგარეო პოლიტიკას წარმართავდა, მოითხოვს გუბაზისაგან, რომ ან თვით დასთმოს ტახტი, ან შვილს დაათმობინოს. შესაძლოა, ბიზანტიის ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა ქიშპი ჩამოეგდო მამა-შვილს შორის, მაგრამ გუბაზმა არჩია თვით ეთქვა უარი ტახტზე და იგი შვილისთვის დაეთმო. მაშინ მარკიანემ მოითხოვა, რომ გუბაზი თვით ხლებოდა იმპერატორს კონსტანტინეპოლში. გუბაზი ამაზეც თანახმა იყო, მხოლოდ მასთან ადრე მოლაპარაკებისთვის გაგზავნილ დიონისესგან უვნებლობის გარანტიას მოითხოვდა[3].

მოლაპარაკება, როგორც ჩანს, საკმაო ხანს გაგრძელებულა. პრისკე პანიონელის ცნობით, გუბაზი კონსტანტინეპოლში მხოლოდ ლეონ I დროს აქ მომხდარი ხანძრის შემდეგ ჩასულა, ე. ი. 465 წლის შემდეგ. ლაზების მეფე იმპერატორის კარზე ჯერ გაუკიცხავთ

---

[1] Prisc. Pan., fr. 25; G., I, 254.

[2] იქვე.

[3] იქვე, fr. 26; G., I, 254—256.

ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყებისათვის, მაგრამ შემდგომ კეთილგანწყობილად მოპყრობიან და მშვიდობით გამოუსტუმრებიათ სამშობლოში[1].

მთელ ამ მოთხრობაში, სამწუხაროდ არ ჩანს გუბაზის ბიზანტიელთა წინააღმდეგ აჯანყების მიზეზი. თუ თვალს გადავავლებთ ბიზანტიის იმპერიის იმდროინდელ ვითარებას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ეს გართულებული ვითარება აძლევდა იმედს ლაზეთის მეფეს, რომ ის შესძლებდა განთავისუფლებას ბიზანტიის იმპერატორის მიმართ იმ ვასალური დამოკიდებულებისგან, რომელშიაც იგი ამ დროს იმყოფებოდა.

ბიზანტიის იმპერიას ჯერ კიდევ V საუკუნის დასაწყისიდან უხდება ვანდალების თავდასხმებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, ხოლო ამავე საუკუნის 30-იანი წლებიდან მის წინააღმდეგ შეტევას იწყებს ჰუნების დიდი გაერთიანება ატილას მეთაურობით. 441—442 წწ. ატილა თავს დაესხა აღმოსავლეთ რომის იმპერიას და ხელთ იგდო მთელი რიგი ქალაქებისა. იმპერატორი თეოდოსი II (408—450) იძულებულია ზავი დადოს მეტად მძიმე პირობებზე. მაგრამ 447 — 452 წწ. ბიზანტიამ კვლავ განიცადა ატილას ურდოთა შემოსევა და ისევ მძიმე ფასად იყიდა ზავი[2].

საგარეო გართულებებს დაერთო შინაგანი წინააღმდეგობანი. ჯერ კიდევ V საუკუნის 30-იან წლებში ბიზანტიაში თავი იჩინა „მწვალებლობამ“ — „ნესტორიანობამ“, ხოლო 40-იან წლებში საეკლესიო განხეთქილებამ კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. გაჩნდა ახალი მწვალებლური მიმართულება—„მონოფიზიტობა“. იმპერატორ მარკიანეს დროს, 451 წ. ქ. ქალკიდონში შეკრებილ IV მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მონოფიზიტობა დაგმეს და დაიწყო მონოფიზიტების სასტიკი დევნა. ამის საწინააღმდეგოდ მონოფიზიტობა გახდა თავისებური დროშა აღმოსავლური პროვინციების მოსახლეობის ფართო ფენებისათვის, რომლებიც ირაზმებოდნენ მის გარშემო მათი მჩაგვრელი ბიზანტიის საიმპერატორო ხელისუფლების წინააღმდეგ[3].

---

[1] Prisc. Pan., fr. 34; G., I, 259.

[2] А. Н. Бернштам, Очерк истории гуннов, გვ. 156—162; E. A. Thompson, A History of Attila and the Huns, Oxford, 1948, გვ. 206—215; F. Altheim, დასახ. შრომა, გვ. 179—180.

[3] Ф. И. Успенский, История Византийской империи, т. I, გვ. 268 და შემდ.; М. В. Левченко, История Византии, М.—Л., 1940, გვ. 37—38; История Византии, т. I, გვ. 197—199; A. Grillmeier, H. Bacht, Das Konzil von Chalkedon, Geschichte und Gegenwart, I—III, Würzburg, 1951—1954.

ამან თანდათან ხელი შეუწყო აღმოსავლური პროვინციების განცალკევებულობისაკენ მისწრაფებას.

მწვავე შინაგანი ბრძოლა მიმდინარეობს თვით საიმპერატორო კარზედაც გაბატონებული კლასის სხვადასხვა დაჯგუფებებსა და ძველ ბიზანტიურ არისტოკრატიას და ახალ დაწინაურებულ „ბარბაროს“ მოხელეებს შორის[1].

ასეთი რთული საგარეო და საშინაო ვითარება, რომელიც V საუკუნის შუა წლებისათვის ბიზანტიის იმპერიას შეექმნა, ლაზიკის მმართველ წრეებს შეიძლებოდა მართლაც მოჩვენებოდათ ხელსაყრელ პირობად იმპერიის წინააღმდეგ აჯანყებისა და იმ ფორმალური დამოკიდებულების მოშორებისთვის, რომელიც ლაზეთს ბიზანტიასთან აკავშირებდა. ლაზეთის ხელისუფლებას შესაძლოა იმედი ჰქონდა რომი-ბიზანტიის ძველი მოქიშპის — სასანური სპარსეთის დახმარებისაც, მაგრამ მოულოდნელმა გართულებამ, რომელიც სპარსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრებზე დაიწყო აქ კიდარიტ-ჰუნების შემოსევათა გამო, სპარსეთის მეფეს, იეზდიგერდ II აღარ მისცა საშუალება დახმარებოდა გუბაზს.

ასეა თუ ისე ცხადია, რომ გუბაზის ცდა, სრული დამოუკიდებლობა მოეპოვებინა ბიზანტიის იმპერიისაგან, მარცხით დამთავრდა. შესაძლოა სწორედ ლაზეთის სამეფოსა და ბიზანტიას შორის ურთიერთობის ამ გართულებით ისარგებლეს აგრეთვე სვანეთის მთავრებმაც და თავი დაიხსნეს ვასალური დამოკიდებულებისაგან. სწორედ ეს რთული დამოკიდებულება ლაზეთსა და ბიზანტიას შორის უნდა იყოს რეალური მიზეზი ლაზეთის სამეფოს ერთგვარი დასუსტებისა და შემდგომში აქ ბიზანტიის პოზიციის გაძლიერებისა.

ეგრისის სამეფოს ისტორიის შესახებ გუბაზ I დროიდან, ვიდრე VI საუკუნის 20-იან წლებამდე არავითარი ცნობები არ მოიპოვება. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ლაზეთი შემდგომში კიდევ უფრო სუსტდება და ბიზანტიის ბატონობა აქ უფრო მეტად რეალურ სახეს ღებულობს, რაც დაკავშირებული იყო საერთოდ რომის იმპერიის სასიცოცხლო ცენტრების აღმოსავლეთში საბოლოოდ გადმონაცვლებასთან და აღმოსავლეთის ფრონტის მნიშვნელობის ზრდასთან ბიზანტიის საგარეო პოლიტიკაში.

---

[1] М. В. Левченко, დასახ. ნაშრომი, გვ. 39—40.

IV თავი

ეგრისის სამეფოს ეკონომიური განვითარება ახ. წ. IV—V საუკუნეებში

წერილობითი წყაროები ძალზე მწირ ცნობებს გვაწვდის ეგრისის სამეფოს ეკონომიურ განვითარებაზე, მხოლოდ ნაწილობრივ ავსებს ამ ხარვეზს არქეოლოგიური მასალაც.

ადრეული საუკუნეების და უფრო გვიანდელი ხანის მონაცემები საფუძველს გვაძლევენ ვივარაუდოთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ხანაშიაც დასავლეთ საქართველოში განვითარებული იყო მიწათმოქმედების ისეთი დარგები, როგორიცაა მემინდვრეობა და მევენახეობა. ამ ვარაუდს ადასტურებს პროკოპი კესარიელის ზემომოტანილი ცნობაც მოხირისის მხარის სიმდიდრისა და ნაყოფიერების შესახებ და აგრეთვე ადგილობრივი წარმოების ქვევრებისა და ამფორების აღმოჩენა დასავლეთ საქართველოს ახვადასხვა ადგილების არქეოლოგიური გათხრების დროს.

საკმაოდ განვითარებული ჩანს აქ აგრეთვე მეცხოველეობაც. ამის დამადასტურებელ ზოგიერთ მონაცემებს გვაძლევს ბორისა და კლდეეთის სამაროვანთა განათხარი მასალა, რომელშიაც ჩანს ცხვრისა და ცხენის გამოსახულებანი; არის აგრეთვე ცხენის სამარხები[1]. მეცხოველეობის განვითარებაზე მიუთითებს აგრეთვე პროკოპი კესარიელის ცნობა, რომ ლაზები მათთვის საჭირო ნივთებსა და საქონელს სცვლიდნენ ტყავსაფარებსა და ტყავებზე[2].

პროკოპი კესარიელს სხვათა შორის მოაქვს ცნობა, რომ ლაზთა ელჩები სთავაზობენ სპარსეთის მეფეს შავ ზღვაზე ფლოტის აგებას[3]. თუ გავიხსენებთ უფრო ადრეულ ცნობას სტრაბონისას, რომელიც

---

[1] გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახ. წ. I—III საუკუნეებში, იიშ, ტ. I, 1955, გვ. 358—359.

[2] Procop., De BP, II, 15; G., II, 73 და 96.

[3] იქვე, გვ. 81.

კოლხეთს ნავთსაშენი ძასალით მდიდარ ქვეყნად სთვლის, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ გემთმშენებლობისათვის გამოსადეგი ტყის მასივების დამუშავებაც ხდებოდა.

უფრო ნიშანდობლივი მონაცემები ჩვენ მაინც ეგრისის ვაჭრობის განვითარებასა და განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობის შესახებ გაგვაჩნია.

ზემოთ მოტანილი ცნობა, რომელშიაც პროკოპი კესარიელი ლაზების მიერ საქონლის ტყავსაფარებსა, ტყავებსა და მონებზე გაცვლის შესახებ ლაპარაკობს, თითქოს ისეთ სურათს ქმნის, რომ საგარეო ვაჭრობა უშუალო, ნატურალური გაცვლის ფორმით ხდებოდა. სხვა ადგილას პროკოპი პირდაპირ ამბობს, რომ ლაზებისათვის საჭირო საქონელში ისინი ფულს კი არ აძლევდნენ მიმწოდებელს, არამედ ტყავებს, მონებს და თუ სხვა რამ სიჭარბით აღმოაჩნდებოდათ[2].

მაგრამ, როგორც სამართლიანად იყო მითითებული ს. ჯანაშიას მიერ, ეს ცნობა გაზვიადებული უნდა იყოს და „ფულს ამ პროცესში ერთგვარი ადგილი უნდა ჰქონოდა“[3]. ამას კარგად მოწმობს თვით პროკოპისავე ცნობა ბიზანტიელთა ახალი სავაჭრო-პოლიტიკის შესახებ ეგრისში. ლაზი ელჩები ჩივიან, რომ ბიზანტიელები აიძულებენ ლაზებს იყიდონ ძალით ის, რაც რომაელებისათვის ზედმეტია, ხოლო რასაც ლაზებისაგან ყიდულობენ, იმის ფასს თვითონვე აწესებენ; „ამნაირად, — ამბობენ ელჩები, — საჭირო საგნებთან ერთად ისინი გვართმევენ ო ქ რ ო ს აც და უწოდებენ ამას ვაჭრობის კეთილშობილ სახელს....“[4]. ცხადია, რაკი აქ ოქროზე, ფასის დაწესებაზეა ლაპარაკი, იგულისხმება სწორედ ფულით ვაჭრობა. ფულადი მიმოქცევის საკმაოდ ფართო ხასიათზე წინა საუკუნეებში ჩვენ ზევით გვქონდა ლაპარაკი, ხოლო ის ფაქტი, რომ ახ. წ. IV საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში შემოდის ახალი საიმპერიო მონეტები — სოლიდები, რომლებიც დასავლეთ საქართველოში ფულადი მიმოქცევის ძირითად საშუალებად ხდება[5], მოწმობს, რომ IV—V სს-შიაც ვაჭრობას გაცვლა-გამოცვლის გარდა ფულადი ხასიათიც ჰქონდა.

ეგრისის სამეფოს რომის (ბიზანტიის) აღმოსავლურ პროვინციებთან სავაჭრო ურთიერთობის მაჩვენებელია აგრეთვე ის გარემოე-

---

[1] Strabo, XI, 2, 17.

[2] Procop., De BP, II, 28; G., II, 96.

[3] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 45—46.

[4] Procop., De BP, II, 15; G., II, 78.

[5] К. В. Голенко, Денежное обращение..., გვ. 34.

ბაც, რომ რომაულ საგზაო რუკაზე, ე. წ. Tabula Peutingeriana-ზე, რომელიც ახ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევარში რომაელი გეოგრაფოსის კასტორიუსის მიერ ყოფილა შედგენილი, საგანგებოდ აღნიშნულია დასავლეთ საქართველოზე გამავალი სავაჭრო გზებიც. ერთი ასეთი გზა მიჰყვებოდა შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროს და აკავშირებდა რომის აღმოსავლეთ პროვინციებს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიასთან, აღწევდა რა ძველ სებასტოპოლისამდე, ანუ აწინდელ სოხუმამდე[1]. ძირითადად ამ გზით უნდა გაეტანათ ბიზანტიელებს დასავლეთ საქართველოდან სხვადასხვა ნედლეული და შემოეტანათ თავისი ნაწარმიც.

კასტორიუსის რუკის მიხედვით, სებასტოპოლისიდან გზა სამხრეთისაკენ ბრუნდებოდა და სომხეთის ქალაქ არტაშატში ჩადიოდა. მაგრამ, როგორც ეს აკად. ს. ჯანაშიას მიერ იყო შენიშნული, უეჭველია, რომ სებასტოპოლისიდან უკვე მაშინაც, ისე როგორც შემდეგში, გზა გადიოდა ჩრდილო კავკასიაში[2]. აღსანიშნავია, რომ ქართული წყაროები ადასტურებენ ასეთი გზის არსებობას და მას „აფხაზეთის გზას“ უწოდებენ. ამ გზით ჩრდილო კავკასიიდან შეიძლებოდა პირდაპირ გადმოსვლა აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში)[3].

საინტერესოა, რომ დასავლეთ საქართველოს ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელ ერთერთ გზას VII საუკუნის უცნობი ავტორის, რავენელი ანონიმის „კოსმოგრაფიაც“ გვიჩვენებს[4]. იმეორებს რა ზემოაღნიშნული გზის აღწერას (ზღვის გაყოლებით სებასტოპოლისამდე), ანონიმი სებასტოპოლისთან კი არ წყვეტს ამ სანაპირო მაგისტრალს, არამედ აგრძელებს ნაპირის გაყოლებით, ვიდრე ტამანის ნახევარკუნძულზე მდებარე ქ. ერმონასამდე[5].

ყოველივე აღნიშნული მოწმობს ასეთი გზის არსებობას და წინარე ხანებში არქეოლოგიურადაც კარგად არის დამოწმებული დასავლეთ საქართველოს მჭიდრო კავშირი ჩრდილოეთ შავიზღვისპი-

---

[1] ამ რუკისა და დასავლეთ საქართველოზე გამავალი სავაჭრო გზების შესახებ დაწვრილებით იხ. ჩვენი „ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის“, იიშ, ტ. IV, ნაკვ. I, 1958, გვ. 99—110.

[2] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 47.

[3] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 157 და 313.

[4] რავენელი ანონიმის „კოსმოგრაფია“ ძირითადად კასტორიუსის რუკას ემყარება, მაგრამ შევსებულია სხვა წყაროებით; იხ. Itineraria Romana, Römische Reiswege an der Hand der Tabula Peutingeriana, dargestellt von K. Miller, stuttgardt, 1916, გვ. XXVI—XXIX.

[5] Ravenatis Anonymi Cosmographia et Guidonis Geographica, ed. M. Pinder et G. Parthey, Berolini, 1860, II, 12, გვ. 75—76.

რეთთან. მაგრამ ამ გზის აღუნიშვნელობა კასტორიუსის რუკაზე თავისთავად ნიშანდობლივი ფაქტია. საქმე ისაა, რომ, როგორც ეს კარგად ჩანს ნუმიზმატიკურ მასალაზე, III საუკუნის მეორე ნახევრიდან დასავლეთ საქართველოს კავშირი შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებთან საგრძნობლად კლებულობს; ეს ფაქტი უკავშირდება გუთების და შემდეგ ჰუნების შემოსევებს ბოსფორის სამეფოში[1].

სავაჭრო მაგისტრალით ჩანს ეგრისი დაკავშირებული აგრეთვე არმენიასთან (სომხეთთან), რომელიც ამ ხანებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობაში[2].

სავაჭრო ურთიერთობის განვითარებაზე მიუთითებს აგრეთვე არქეოლოგიური მასალაც. დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეთა ხანის ძეგლების შედარებითი შეუსწავლელობა არ გვაძლევს საშუალებას სრულად წარმოვიდგინოთ ეგრისის სამეფოს მთელი სავაჭრო ურთიერთობა გარე სამყაროსთან, მაგრამ ჩრდილოეთ ეგრისის ზღვისპირა ქალაქების სოხუმ-სებასტოპოლისის და ბიჭვინტის არქეოლოგიურმა შესწავლამ მაინც მოგვცა საკმაო მასალა, რომელიც IV—V სს. სავაჭრო კავშირების ზოგადი წარმოდგენის შესაძლებლობას იძლევა. აქ აღმოჩენილია საკმაო რაოდენობა იმპორტული ნივთებისა, რაც მოწმობს, რომ ეგრისის სამეფოს საქალაქო ცენტრებს ამ ხანებშიაც, ისევე როგორც წინა საუკუნეებში მჭიდრო სავაჭრო კავშირები ჰქონდა რომის იმპერიის როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ პროვინციებთან.

ბიჭვინტისა და სოხუმის ნაქალაქართა IV—V სს. ფენებში ხშირად გვხვდება იმპორტული ამფორები. ზევით ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ ახ. წ. II—III სს. ეგრისის ქალაქებში შემოჰქონდათ ამფორები სინოპიდან. ამ ქალაქთან სავაჭრო კავშირი გრძელდება, როგორც ჩანს, IV საუკუნეშიაც. ამას მოწმობს სინოპური ამფორების გვიანდელი ტიპის აღმოჩენა IV საუკუნით დათარიღებულ ფენებში. IV ს. ამფორებს, შედარებით წინა პერიოდთან, ახასიათებს უფრო მოზრდილი ძირი და ძირის შიგნით შედრეკილი ნაწილის ნაკლებ მომრგვალებული კონტურები[3].

იმპორტულია აგრეთვე ტანდაღარული ამფორების რამდენიმე სახეობა, რომელიც ბიჭვინტასა და სოხუმშია დადასტურებული.

---

[1] Д. Г. Капанадзе, К вопросу об экономических связях Северного и Восточного Причерноморья в античную эпоху, გვ. 151.

[2] ნ. ლომოური, დასახ. ნაშრომი, გვ. 107—110.

[3] რ. ფუთურიძე, ბიჭვინტის იმპორტული ამფორები, ხელნაწერი, ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორის არქივი, გვ. 10—11.

IV ს. ტანდაღარულ ამფორათა ერთი ტიპი ხასიათდება ვიწრო ყელით, შედარებით პატარა, ყელსა და მხარზე მიძერწილი ყურებით, წაგრძელებული დაღარული ტანითა და ღილისებური ძირით. მათი თიხა ჩალისფერია, ყურიც დაღარული. ასეთი ამფორები ცნობილია ბოსფორშიაც[1].

ამ დროის ტანდაღარულ ამფორათა მეორე ტიპია ის ამფორები, რომლებსაც შედარებით მაღალი, ზევით ოდნავ შევიწროებული ყელი აქვს, მცირე ზომის მასიური ყურები, რომლებიც ჭრილში ოვალურია და ზევით სიგრძივი ამობურცული წიბო გასდევს, ძირი ვიწრო. ბიჭვინტასა და სოხუმში ამ ტიპის რამდენიმე ვარიანტია დადასტურებული. მართალია, ტანდაღარული ამფორების საწარმოო ცენტრების დადგენა ვერ ხერხდება, მაგრამ ისინი უდავოდ იმპორტულია[2].

სპეციალისტები ყურადღებას მიაქცევენ სოხუმსა და ბიჭვინტაში აღმოჩენილ ამფორათა კიდევ ერთ ჯგუფს: ესაა მცირე ზომის ამფორები, დამზადებული მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი თიხისაგან, რომელშიაც მრავლად არის ქარსის წვრილი ნამცეცები. ამფორები ძალზე თხელკედლიანია, მსუბუქი, ვიწრო ყელი აქვს, რომელზედაც პატარა ყურებია მიძერწილი. ტანი დაღარულია ღრმა ღარებით, ხოლო ძირი კონუსური ფორმისაა, შიგნიდან ღრუ. სპეციალისტთა უმეტესობა ამ ამფორებს კ. სამოსის ნაწარმად მიიჩნევს. ამის საფუძველია მათი თიხის იდენტურობა ელინისტური ხანის სამოსური კერამიკის თიხასთან და ამგვარი ამფორების დიდი რაოდენობით აღმოჩენა სამოსზე[3]. თუ ეს შეხედულება დადასტურდა, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ეგრისის სამეფოს სავაჭრო ურთიერთობა უხდა ჰქონოდა კ. სამოსთან. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რ. ფუთურიძემ ერთგვარი ეჭვის ქვეშ დააყენა ამ ამფორათა მაინცადამაინც სამოსური წარმომავლობა. მისი აზრით, მსგავსი შემადგენლობის თიხა სხვა საწარმოო ცენტრებსაც ახასიათებს, ხოლო ამფორათა დიდი რაოდენობით აღმოჩენა სამოსზე ჯერ კიდევ მათ ადგილობრივ წარმოებაზე არ უნდა მიუთითებდეს, მით უფრო, რომ ხშირია მათი აღ-

---

[1] А. Л. Якобсон, Средневековые амфоры Северного Причерноморья, СА, т. XV, 1951, გვ. 326, სურ. 12.

[2] რ. ფუთურიძე, ბიჭვინტის იმპორტული ამფორები, გვ. 18; ა. აფაქიძე, ო. ლორთქიფანიძე. მასალები დიოსკურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის, გვ. 114.

[3] В. Ф. Гайдукевич, Раскопки Пантикапея в 1935—40 гг., МИА, № 25, 1952, გვ. 94—96; А. Л. Якобсон, Средневековые амфоры ...., გვ. 329—330.

მოჩენა ათენის აგორაზე[1]; ასეა თუ ისე, ცხადია ამ ამფორების უცხოური წარმომავლობა და საფიქრებელია, რომ ისინი ეგეოსის აუზის ერთერთი ცენტრიდან უნდა მომდინარეობდნენ. ასეთი ამფორების შემოტანა გრძელდება, როგორც ჩანს, V საუკუნეშიაც.

მრავლად არის დასავლეთ საქართველოში აგრეთვე დადასტურებული IV—V სს. იმპორტული წითელლაკიანი კერამიკა. სამწუხაროდ, ამ დროის წითელლაკიანი ჭურჭლის საწარმოო ცენტრების დადგენა გაძნელებულია. ფორმით იმპორტული ჭურჭლის ნაწილი, მოპოვებული ბიჭვინტაში, სოხუმში, გონიო-აფსაროსში შესაძლოა ადგილობრივადაც იყოს დამზადებული, მაგრამ წითელლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტებს შორის აშკარად გამოირჩევა იმპორტული ჭურჭელიც[2].

იმპორტულ ნივთებს შორის ეგრისის სანაპირო ქალაქების არქეოლოგიურ მასალაში გარკვეული ადგილი უჭირავს მინის ჭურჭელსაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია სიმრავლე ე. წ. „ხალიანი“ მინის ჭურჭლებისა, როგორც ბიჭვინტის ნაქალაქარზე, ისე სოხუმში; გვხვდება ჭურჭელი სოფ. ოლგინსკოეში (წებელდა) და ქობულეთში[3]. „ხალიანი“ მინის ჭურჭელი დიდი რაოდენობითაა მოპოვებული ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, სადაც ის განსაკუთრებით ფართოდ იხმარება IV საუკუნის მეორე ნახევრიდან[4], აგრეთვე მთელ ანტიკურ სამყაროში და მის პერიფერიებზედაც. ასახელებენ ამგვარი მინის წარმოების რამდენიმე ცენტრს, როგორც დასავლეთში (კიოლნი), ისე აღმოსავლეთში (ალექსანდრია)[5].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ III ს-დან სუსტდება ეგრისის ქალაქების, კერძოდ კი ბიჭვინტისა და სებასტოპოლისის სავაჭრო ურთიერთობა მცირე აზიის და საერთოდ შავიზღვისპირეთის ცენტრებთან, ხო-

---

[1] რ. ფუთურიძე, ბიჭვინტის იმპორტული ამფორები, გვ. 19—20.

[2] ო. ლორთქიფანიძე, ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა, სმგმ, 1962. № 1, გვ. 242 და შემდ.; ა. აფაქიძე, ო. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 114 და შემდ.; რ. ფუთურიძე, წითელლაკიანი კერამიკა სოხუმის ძველი ციხის ტერიტორიიდან, მსკა, IV, 1965, გვ. 104—105.

[3] რ. რამიშვილი, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, მსკა, III, 1963, გვ. 72—73; ო. ლორთქიფანიძე, ინკიტის ტბის მიდამოებში.., გვ. 98—99.

[4] В. Ф. Гайдукевич. Античные керамические обжигательные печи, ИГАИМК, 80, 1934, გვ. 35 და 85.

[5] A. Kisa. Glas in Altertum, Bd. III. Leipzig, 1908; A. Radnóti, Glasgefässe und Glasgestände, „Jnterkisa“, Archeologica Hungariana. XXXII, 1954, გვ. 153—161.

ლო IV ს-დან კი იგი თითქმის სავსებით წყდება. ამის მიზეზად ასახელებენ მცირე აზიის ქალაქებში კერამიკული წარმოების მოშლას და ბოსფორის ქალაქებისა და ტრაპეზუნტის განადგურებას გუთების ტომების შემოსევის შედეგად[1].

ეჭვს გარეშეა, რომ შედარებით II—III საუკუნეებთან, III საუკუნის მეორე ნახევრიდან და განსაკუთრებით IV საუკუნიდან, როგორც ბიჭვინტაში, ისე სოხუმ-სებასტოპოლისში აშკარად მკვეთრად მცირდება იმპორტული კერამიკის რაოდენობა (კერძოდ მაგ., წითელლაკიანი). ზემოდასახელებულ მიზეზებს შეიძლება დაემატოს ადგილობრივი კერამიკული წარმოების განვითარება, რომელიც კონკურენციას უწევს უცხოურ თიხის ნაწარმს. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ II საუკუნეში საერთოდ წყდება სავაჭრო კავშირები გარე სამყაროსთან. ზევით ჩვენ მოვიყვანეთ მასალა, რომელიც მოწმობს, რომ IV—V სს-ში იმავე ბიჭვინტასა და სებასტოპოლისში მრავლად შემოდის იმპორტული ამფორები. მინის ჭურჭელი, ხოლო ნუმიზმატიკური მასალა საგარეო ვაჭრობის საკმაო ინტენსიურობის უეჭველ საბუთს გვაძლევს. მართალია III საუკუნიდან კლებულობს, ხოლო IV საუკუნიდან სრულიად ქრება დასავლეთ საქართველოში მცირეაზიული მონეტები, მაგრამ ეს შედეგია არა მცირე აზიასთან ვაჭრობის საერთოდ შეწყვეტისა, არამედ მცირე აზიის ცენტრების მიერ საკუთარი მონეტის მოჭრის შეწყვეტისა და ამ უკანასკნელის ნაცვლად საერთაშორისო ბაზარზე საერთოსაიმპერიო მონეტების—ანტონინების გაბატონებისა[2]. ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც ბიჭვინტის, ისე სოხუმის განათხარ მასალაში საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი[3].

ჯერ კიდევ ძნელია ლაპარაკი იმაზე, რამდენად იყო ჩაბმული საგარეო ვაჭრობაში ეგრისის შიდა რაიონების მოსახლეობა, მაგრამ ცალკეული ფაქტები მაინც გვაძლევენ საფუძველს ვივარაუდოთ ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული კავშირი ზღვისპირა ცენტრებთან და მათი მეშვეობით გარე სამყაროსთანაც. ამ მხრივ ნიშანდობლივია 1963 და 1965 წლებში ქუთაისის მახლობლად ე. წ. ფარნალის გორაზე, IV—V სს. სამაროვანზე წითელლაკიანი კერამიკის ფრაგმენტების აღმოჩენა. წითელლაკიანი კერამიკა ამ რაიონში საფიქრე-

---

[1] მ. ი ნ ა ძ ე, ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები (დიოსკურია-სებასტოპოლისი, ბიჭვინტა), სმგმ, № 4, 1963, გვ. 147; ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა, გვ. 248.

[2] К. В. Г о л е н к о, Денежное обращение Колхиды..., გვ. 37.

[3] იქვე, გვ. 34.

ბელია რიონ-ყვირილას გზით უნდა მოხვედრილიყო ზღვისპირეთიდან, უველაზე სავარაუდოა — ფაზისიდან.

ეგრისის სამეფოს გაძლიერებამ გამოიწვია დასავლეთ საქართველოში საქალაქო ცხოვრების შემდგომი განვითარება. ლაზეთის ზღვისპირა ქალაქები — სებასტოპოლისი, ბიჭვინტა, ფაზისი კვლავ მსხვილ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებად და ძლიერ ქალაქებად ჩანან.

ეს, პირველ რიგში, ამ ქალაქებში ფართო სააღმშენებლო სამუშაოების ჩატარებით მტკიცდება, რასაც ადგილი ჰქონდა სწორედ ამ ეპოქაში.

სააღმშენებლო მოღვაწეობის აშკარა კვალი შეიმჩნევა ძველი სებასტოპოლისის ტერიტორიაზე. აქ ადრე არსებული ციხე-სიმაგრე სწორედ IV თუ V საუკუნეში გაუფართოებიათ და ახალი სიმაგრე დაუმატებიათ. ამ ახალი მშენებლობის კვალი კარგად ჩანს სოხუმის სანაპიროზე, სადაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამომჟღავნდა III ს. მძლავრი გალავანი კონტრფორსებითა და კოშკებით, აგრეთვე ციხის კედელი კოშკისმაგვარი ნაგებობებით ბოლოებში, რომელიც წყობის ხასიათით IV—V სს. თარიღდება[1].

საკმაოდ ფართო სააღმშენებლო საქმიანობა დასტურდება IV—V საუკუნეებში აგრეთვე ბიჭვინტაში. აქ არის აღმოჩენილი ამ დროის მძლავრი საფორტიფიკაციო ნაგებობები, სხვადასხვა ფორმის კოშკებითა და ბურჯებით[2], ტაძრები, აბანო და სხვა დანიშნულების შენობები[3]. ეს მშენებლობა მოწმობს აქ მოსახლეობის მატებასაც და არ ქალაქთა თავდაცვითი მნიშვნელობის ზრდასაც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოპოვებული მასალა ცხადყოფს ამ ქალაქებში ადგილობრივი ელემენტების გაძლიერებას. ამ მხრივ საინტერესოა ბიჭვინტის IV—V საუკუნეებით დათარიღებული მოზაიკა. ეს მოზაიკა ერთი შეხედვით სტილისტუ-

---

[1] Л. А. Шервашидзе, Л. Н. Соловьев, Исследование древнего Севастополиса, СА, 1960, № 3, გვ. 177; В. А. Лекванадзе, Оборонительные сооружения Себастополиса, СА, 1966, № 1, გვ. 205—210.

[2] რ. რამიშვილი. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, მსკა, III, გვ. 69—70; ო. ლორთქიფანიძე, ინკიტის ტბის მიდამოებში ჩატარებული სადაზვერვო-არქეოლოგიური მუშაობის წინასწარი ანგარიში, იქვე, გვ. 97—98; ო. ღამბაშიძე, ბიჭვინტის VII თხრილში 1956—1957 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების წინასწარი ანგარიში, იქვე. გვ. 85—86.

[3] ა. აფაქიძის და ი. ციციშვილის წინასწარი ანგარიშები 1952, 1954 და 1958—65 წწ.

რად ახლოს დგას სირიისა და პალესტინის მსგავს ძეგლებთან. ბაგრამ სპეციალისტები მაინც გარკვევით აღნიშნავენ მათ თავისებურებებს როგორც ნახატის, ისე გამოსახულებებში სხვა მოტივების შეტანის თვალსაზრისით. ეს თავისებურებანი აშკარას ხდის, რომ ეს მოზაიკა ადგილობრივი ოსტატების მიერ იყო შესრულებული და ადგილობრივი მოქალაქეების ტრადიციებსა და მოთხოვნილებებს შეეფერებოდა[1].

საქალაქო ცხოვრების აღმავლობა და ადგილობრივი ელემენტის დიდი როლი ეგრისის ზღვისპირა ქალაქებში კარგად ჩანს არქეოლოგიური მასალის შესწავლის საფუძველზედაც. ბიჭვინტისა და სოხუმის არქეოლოგიურ მონაპოვარში, შედარებით წინა ხანასთან, სულ უფრო მატულობს ადგილობრივი წარმოების კერამიკა. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია აქ რუხკეციანი სამზარეულო კერამიკა. ასეთი ნაწარმი II—III საუკუნეებში შედარებით მცირე რაოდენობითაა და ფორმებით იდენტურია ჩრდილოეთ შავიზღვისპირული კერამიკისა, რაც ძირითადად მის იმპორტულობაზე უნდა მიუთითებდეს[2]. IV—V სს. სამზარეულო დანიშნულების კერამიკა პირიქით ძალზე მრავალრიცხოვანია, ამასთან ჭურჭლის ფორმები და ორნამენტაცია ადგილობრივია და გენეტურადაა დაკავშირებული წინამორბედი ხანის კოლხურ კერამიკასთან[3].

მრავლად მოიპოვება ბიჭვინტასა და სოხუმში IV—V სს. ფენებში აგრეთვე ადგილობრივი წარმოების ამფორები. უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს ამფორების დიდი ჯგუფი — მასიური, დიდი ზომის, გოფრირებული მაღალი ყელით, ფართო ოვალური პირით, კვერცხისებური მოყვანილობის ტანითა და წაწვეტებული ქუსლით. ამგვარი ამფორების კეცი იდენტურია ადგილობრივი კრამიტისა და აგურის კეცისა, რაც ამ ამფორათა ადგილობრივ წარმოებაზე მიუთითებს[4].

მრავლად არის IV—V სს. ე. წ. წელშეზნექილი ამფორებიც, რომლებიც გარდა ბიჭვინტისა და სოხუმისა, ნაპოვნია აგრეთვე ურეკში,

---

[1] Л. А. Мацулевич, Открытие мозаичного пола в древнем Питиунте, ВДИ, 1956, № 4.

[2] А. М. Апакидзе, О. Д. Лордкипанидзе, Новые материалы к археологии Диоскурии-Себастополиса, ТАИЯЛИ, XXXIII—XXXIV. 1963 გვ. 221.

[3] იქვე, ტაბ. V; ო. ლორთქიფანიძე, ინკიტის ტბის.... გვ. 103.

[4] ა. აფაქიძე, ო. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 113—114; ო. ლორთქიფანიძე, ინკიტის ტბის..., გვ. 102.

წებელდაში, ბათუმში[1]. კეცისა და აღმოჩენის რაოდენობის მიხედვით მათაც ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნევენ[2].

საკმაოდ მრავლად არის წარმოდგენილი IV—V საუკუნეების წითელლაკიანი კერამიკაც. ცალკეული ტიპები, როგორც ჩანს, იმპორტულია, მაგრამ ზოგიერთი შესაძლოა ადგილობრივაც იყოს დამზადებული. სოხუმისა და ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა თითქმის სავსებით იდენტურია, რაც მათი საერთო საწარმოო ცენტრიდან წარმომავლობას გულისხმობს. მკვლევართა აზრით, გამორიცხული არ არის ამგვარი საწარმოო ცენტრის არსებობა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე[3]. ხოლო რამდენადაც IV—V სს. უშუალო კავშირი ეგრისსა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთს შორის შემწყდარია, უნდა ვიფიქროთ, რომ არც ამ კერამიკის შემოტანა ხდებოდა მასობრივად და ამგვარი კერამიკა, მიუხედავად ჩრდილოეთ შავიზღვისპირული ფორმებისა, ადგილობრივ მზადდებოდა.

ზოგიერთი ტიპის წითელლაკიანი ჭურჭლის დამზადების ხარისხიც თითქოს მის იმპორტულობას უნდა გამორიცხავდეს. ასე მაგალითად, ბიჭვინტაში, სოხუმში. გონიო-აფსაროსში აღმოჩენილია პირფართე, შედარებით ღრმა ჯამები, რომელთაც მეტად მდარე ხარისხის წერნაქი აქვთ და კალთებიც უხეშადაა დამზადებული[4]. საეჭვოა, ასეთი უხეში ნაწარმი საგანგებოდ შემოტანილად მივიჩნიოთ, მით უფრო, რომ ამ ტიპის ჯამების კეციც ახლოს დგას ბიჭვინტის კრამიტისა და აგურის კეცთან.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ბიჭვინტის წითელლაკიან კერამიკის ფრაგმენტებს შორის რამოდენიმე ფრაგმენტი შემკული სავარცხლით გამოყვანილი ტალღისებური ორნამენტით. ასეთი ფრაგმენტი არის აღმოჩენილი სოხუმშიაც. ტალღისებური ორნამენტი არაა დამახასიათებელი ანტიკური კერამიკისათვის და საერთოდ ანტიკური ხელოვნებისათვის. ამიტომ, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ეს ორნამენტი სათავეს ღებულობს სარმატული კერამიკიდან. მაგრამ რამდენადაც, ტალღებისებური ორნამენტი, როგორც კერამიკის დეკო-

---

[1] ა. აფაქიძე, ო. ლორთქიფანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 114; რ. რამიშვილი, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, მსკა, IV, გვ. 114; რ. ფუთურიძე. გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, მსკა, II, 1959, გვ. 70.

[2] ქ. ბერძენიშვილი, კოლხური ამფორების შესწავლის საკითხისათვის, თბილისი, 1952, ისტ. ინსტ. არქეოლ. განყოფილების არქივი; Н. В. Хоштария, Археологическое исследование Уреки, მსკა, I, 1955, გვ. 58—61.

[3] ა. აფაქიძე, ო. ლორთქიფანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 117.

[4] ო. ლორთქიფანიძე, ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა, სმგმ, 1962, № 1. გვ. 242—245.

რატიული ელემენტი, გაცილებით ადრეა დადასტურებული ძველი საქართველოს ტერიტორიაზე და განსაკუთრებით დამახასიათებელია ადრეანტიკური და ელინისტური ხანის კოლხური კერამიკისათვის[1]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამგვარი ორნამენტით შემკული კერამიკაც ადგილობრივი, ეგრისული წარმოშობისაა.

დაწინაურებული ჩანს ამ დროს ქალაქი ფაზისიც. V საუკუნის წყაროს ცნობით, ფაზისი სავაჭრო ცენტრი ყოფილა როგორც ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის, ისე შორეული ქვეყნებიდან, კერძოდ ინდოეთიდან და ბაქტრიიდან მოსული ვაჭრებისათვის[2]. ძირითადი სამდინარო მაგისტრალის — რიონის შესართავთან მდებარე ქალაქი ასრულებდა ისეთი პუნქტის როლს, რომლის მეშვეობით ხორციელდებოდა, როგორც ჩანს, ძირითადი ურთიერთობა შავიზღვისპირეთისა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს ქვეყნებთან. ფაზისის მნიშვნელობაზე ამ დროს მიუთითებს ის ფაქტიც, რომ სწორედ მის მახლობლად მდებარეობდა III—IV საუკუნეებში ფართოდ ცნობილი რიტორიკული უმაღლესი სკოლა (იხ. ქვევით), ხოლო მოგვიანო ხანებში ფაზისი წარმოადგენდა ლაზეთის სამიტროპოლიტო ცენტრს[3].

ამრიგად, IV—V საუკუნეებში ეგრისის ზღვისპირა ქალაქები მეტად განვითარებულ სახელოსნო და სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენენ და ადგილობრივი მოსახლეობის წამყვანი როლით ხასიათდებიან. ეს ფაქტი განსაკუთრებით საინტერესო და საგულისხმოა იმ მხრივ, რომ ამავე ხანისთვის ბოსფორის ქალაქებმა გუთებისა და ჰუნების შემოსევათა შემდეგ, ვერ შესძლეს აღედგინათ ძველი ძლიერება. ეგრისის შავიზღვისპირეთის ქალაქებს მეტი სასიცოცხლო ძალა აღმოაჩნდათ. ეს გაპირობებული იყო ეგრისის სახელმწიფოს საერთო გაძლიერებით და იმ გარემოებით, რომ ამ სასიცოცხლო ძალას ეს ქალაქები ეგრისის შიდა რაიონებიდან იღებდნენ[4]. ხოლო, რომ ასეთი ძალა ეგრისის შიდა რაიონებში საკმაოდ იყო, ეს კარგად ჩანს თუნდაც შიდა რაიონების ქალაქების ზრდისა და გაძლიერებიდან სწორედ IV—V საუკუნეებში.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ლაზეთის სახელმწიფოს დე-

---

[1] ო. ლორთქიფანიძე, ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა, გვ. 249 — 250.

[2] Anonym., PPE, § 3, იქვე, გვ. 86.

[3] ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, ნაკვ. II, გვ. 187—188.

[4] რ. რამიშვილი, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, მსკა, IV, გვ. 119.

დაქალაქი არქეოპოლისი, ანუ ნაქალაქევი. IV საუკუნის ბიზანტიელი მწერლები არაერთგზის აღნიშნავენ არქეოპოლისის დიდ მნიშვნელობას და სპარსელთა არაერთგზის ცდას ხელთ ეგდოთ ლაზეთის ეს უმნიშვნელოვანესი ცენტრი. „არქეოპოლისის“ („ძველი ქალაქი“) სახელით ამ პუნქტის მოხსენიება VI საუკუნეში უნდა მოწმობდეს მის ბევრად უფრო ძველ დროში არსებობას. არქეოლოგიური შესწავლა ცხადყოფს, რომ აქ თავდაპირველი ნაგებობანი უკვე ადრერომაულ ხანაში უნდა ყოფილიყო, კერძოდ ციხე და პატარა სამოსახლო. შემდგომ გვიანრომაული თუ ადრებიზანტიური ხანიდან აქ უკვე ძლიერი ქალაქი გაჩენილა. ამ დროის ნაგებობებიდან შემორჩენილია მსხვილკვადრებიანი წყობის კედლები. ბოლოს IV—V სს-ში აქ ახალი ნაგებობები ყოფილა აგებული და ქალაქს მიუღია ფრიად სოლიდური სახე[1]. არქეოპოლისის ნაშთებში კარგად ჩანს ამ დროის აკროპოლისი, თვით ქალაქისაგან საგანგებო კედლით გამოყოფილი.

არქეოლოგიური შესწავლის შედეგად გამოვლენილი აღნაგობა ქალაქისა კარგად ეთანხმება პროკოპი კესარიელის აღწერას, რომელიც აღნიშნავს არქეოპოლისში ძლიერ ციხე-სიმაგრეს ორი კარიბჭით, აკროპოლისს ანუ ფილაქტერიონს და დაფარულ გასასვლელს წყლის ნაპირზე[2].

არქეოპოლისი მდებარეობს ქ. ცხაკაიას ჩრდილო-აღმოსავლეთით 17 კმ-ის დაშორებით აწინდელ სოფ. ნოქალაქევთან. როგორც ჩანს, მის დედაქალაქად არჩევისას გათვალისწინებული იყო მისი შესანიშნავი სტრატეგიული მდებარეობა. არქეოპოლისი მდ. ტეხურით სამი მხრიდან გარშემორტყმულ პატარა პლატოსა და მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმავალ მთის თხემზე იყო გაშენებული, რაც მას მტრისათვის ძნელადმისაწვდომს ხდიდა. ამასთან მდ. ფაზის-რიონიდან დაშორებული იგი განზე რჩებოდა იმ გზას, რომელიც დასავლეთ საქართველოში შემოსული მტრისათვის ძირითად საკომუნიკაციო ხაზს წარმოადგენდა და ფაქტიურად ამ გზის ზურგში იყო განლაგებული[3].

გარდა ამ ქალაქისა, IV—V საუკუნეებში ლაზიკაში კიდევ რამდე-

---

[1] A. M. Schneider, Archaeopolis (Nokalakewi), „Forschungen und Fortschritte“, 1931, VII jahrg., № 27, გვ. 354—355, ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, წ. I, 1948, გვ. 187—201; В. А. Лекишадзе, Материалы по монументальному строительству в Лазике, ССМ, т. XXII—В, 1961, გვ. 139—144.

[2] Procop., De BG, VIII, 14; G., II, 188 და შემდ.

[3] ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები..., გვ. 189 — 190.

ნიმე ქალაქი ასრულებდა მნიშვნელოვან როლს. VI საუკუნის მწერლები ასახელებენ აქ მოხირისს; ქუთაისს, როდოპოლისს, სკანდას, შორაპანს და სხვ. ამათგან არქეოლოგიურად მეტნაკლებად შესწავლილია ჯერჯერობით მხოლოდ როდოპოლისი (ვარდციხე), შორაპანი და სკანდა. აქ აღმოჩენილი აგურებისგან შემდგარი სარტყლიანი წყობის ანალიზი საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ძირითადი მშენებლობა ვარდციხეში III საუკუნეში განხორციელდა, სკანდაში IV ს., შორაპანში კი, V საუკუნეში[1].

მაშასადამე, IV—V საუკუნეებში, ლაზეთის სამეფოს განსაკუთრებული გაძლიერების ხანაში, ეს პუნქტები მსხვილი საქალაქო ცენტრებია და ეგრისის სამეფო ხელისუფლება საგანგებოდ ზრუნავს მათ გამაგრებაზე.

გარდა არქეოპოლისისა, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა სკანდასა და შორაპანს, რომლებიც იბერიასთან საზღვარზე იმყოფებოდნენ და აქედან გადმოსასვლელ გზებს ჰკეტავდნენ. იბერიაში სასანური სპარსეთის მიერ ფეხის მოკიდების შემდეგ, ამ გზების საიმედოდ დაკეტვა პირველხარისხოვანი ამოცანა იყო.

არანაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა როდოპოლისსაც. როდოპოლისი მდებარეობდა აწინდელ სოფ. ვარდციხის ახლოს, იქ, ხადაც მდ. ხანისწყალი ერთვის ყვირილას და ეს უკანასკნელი კი რიონს. სამი მდინარის ხერთვისში მდებარე როდოპოლისი თავისებურ საკვანძო პუნქტს წარმოადგენდა ამ მდინარეთა ხეობებით მომავალი გზებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სწორედ ხანისწყალს მოჰყვებოდა გზა, რომელიც ზეკარის უღელტეხილით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გადადიოდა და, კასტორიუსის რუკის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს სომხეთთან აკავშირებდა[2]. მაშასადამე, როდოპოლისი მდებარეობდა სწორედ იმ ადგილას, სადაც სამხრეთიდან მომავალი ეს გზა რიონის აუზში შემოდიოდა. ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ სწორედ როდოპოლისი იგულისხმება რუკაზე სებასტოპოლის-არტაშატის დამაკავშირებელი გზის ერთერთი სადგურის Ad fontem felicem-ის სახელში[3].

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ეპოქის ციხე-სიმაგრეები ლაზეთში, გეორგიკა, ტ. III, გვ. 301—320; В. А. Лекваладзе, Материалы..., გვ. 146—150.

[2] იხ. ნ. ლომოური, ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, გვ. 108—109.

[3] Я. А. Манандян, О торговле и городах Армении, Ереван, 1954, გვ. 157—158; С. Т. Еремян, Торговые пути Армении в эпоху сасанидов, ВДИ, 1939, № 1, გვ. 92.

ასეთ ვითარებაში გასაგებია ის დიდი როლი, რომელსაც ამ ქალაქს ანიჭებდნენ VI ს-ში ირან-ბიზანტიის ომების დროს მებრძოლი მხარეები[1]. ასევე შემთხვევითი არ არის ის გარემოებაც, რომ რომპოლისში იყო შემდეგში დასავლეთ საქართველოს ერთერთი საეკლესიო კათედრა[2].

*
* *

IV—V საუკუნეების დასავლეთ საქართველოს სოციალური ურთიერთობის დახასიათებისათვის ჩვენ ფაქტიურად არავითარი ხელშესახები მასალა არ მოგვეპოვება, მაგრამ საქართველოს იმდროინდელი საერთო ვითარებისა და შემდგომი პერიოდის განვითარების დონის გათვალისწინება საფუძველს გვაძლევს დასავლეთ საქართველოს წამყვან, ბარის რაიონებში ამ დროს ფეოდალური ურთიერთობის ელემენტების ინტენსიური განვითარება ვივარაუდოთ.

ზევით აღნიშნული გვქონდა, რომ სადღეისოდ ყველაზე უფრო დამარწმუნებელი ჩანს I—III საუკუნეთა ეგრისის სამეფოში დავინახოთ ექსპლუატაციის სხვადასხვა ფორმების (პირველყოფილი თემური ურთიერთობის გადმონაშთები, მონობა, ფეოდალური ურთიერთობის საწყისები) ერთდროულად მქონე გარდამავალი ტიპის კლასობრივი საზოგადოება. საქართველოს საერთო განვითარების მიმართულების გათვალისწინება საფუძველს იძლევა ექსპლოატაციის ყველა აღნიშნული ფორმებიდან IV—V სს. ეგრისში სწორედ ფეოდალური ურთიერთობის წინსვლა-განვითარება მივიჩნიოთ სოციალური ურთიერთობის განვითარების ძირითად დამახასიათებელ მომენტად.

ჯერ კიდევ ს. ჯანაშიამ მიაქცია ყურადღება ეგრისის სამეფოს პოლიტიკური ვითარების თავისებურებებს. ლაზების მეფე ბიზანტიის კეისრის ვასალია; ამავე დროს მას თავისი ვასალებიც ჰყავს (აბაზგების მთავრები, აფსილების, სვანების, სკვმია-ლეჩხუმის ხელისუფალნი); ამ უკანასკნელებს ევალება სიუზერენს (ლაზიკის მეფეს) ნატურალური ხარკიც გადაუხადონ და სამხედრო სამსახურიც გაუწიონ. „მთელი აღნიშნული ურთიერთობა კი, — აღნიშნავს ს. ჯანაშია, — თუმცა იგი ზედნაშენის კატეგორიისა, და მის მიხედვით დასკვნების გამოყვანისას, სათანადო სიფხიზლეს საჭიროებს —

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ეპოქის ციხე-სიმაგრეები..., გვ. 309; შეად. Agath., IV, 15.

[2] G., IV, ნაკე. II, 1952, გვ. 187—188.

სხვა ნიშნებთან ერთად, უფლებას გვაძლევს მეტი კატეგორიულობით ვილაპარაკოთ აღებული ქვეყნის ერთგვარი ფეოდალური ხასიათის შესახებ“[1].

ფეოდალიზაციის პროცესი IV—V სს. დასავლეთ საქართველო'ში ზოგიერთი სხვა, არაპირდაპირი მონაცემითაც დასტურდება. როგორც ბიჭვინტის არქეოლოგიური მასალა მოწმობს, ახ. წ. I—IV საუკუნეებში ქალაქის მოსახლეობის შეძლებულ ფენათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უნდა სჭეროდათ მსხვილ მიწათმფლობელებსაც, ხოლო IV საუკუნიდან ასეთად გვევლინება უკვე ქრისტიანული ეკლესია. მ. ინაძემ ყურადღება მიაქცია იმას, რომ IV—V სს-ში, როგორც ჩანს, სწორედ ამ დროს აქ აგებული ეკლესიის მეურნეობას ემსახურებოდა შენობა, რომელიც ბეღლის დანიშნულებას ასრულებდა[2]. საეკლესიო მეურნეობას ემსახურებოდა მ. ინაძის აზრით, აგრეთვე V საუკუნეში ტაძრის გარშემო არსებული სასიმაგრო კო'შკები და კედლები, რომლებიც აღნიშნულ ხანაში გადაკეთებულა სამეურნეო დანიშნულების სათავსოებად, ციტადელში აღმოჩენილი მარანი და სხვ.[3].

ეს ცვლილებები, კერძოდ „მეურნეობის ნატურალიზაცია, მიწისმოქმედების, განსაკუთრებით კი საეკლესიო მეურნეობის ხვედრითი წონის ზრდა“, მ. ინაძის სამართლიანი ვარაუდით, „დაკავშირებული იყო ლაზიკის სამეფოში და მის პოლიტიკურ გავლენის ქვეშ მყოფ სამთავროებში მიმდინარე ფეოდალიზაციის პროცესთან და მისი იდეოლოგიის ქრისტიანობის გაბატონებასთან“[4].

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ, როგორც ქვევით დავინახავთ, IV—V სს. დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა უკვე სახელმწიფოებრივ რელიგიად იყო გამოცხადებული, რაც, ცხადია, აგრეთვე ფეოდალიზაციის პროცესის ინტენსიურობის მანიშნებელია.

---

[1] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 259—261.

[2] მ. ინაძე, ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები (დიოსკურია-სებასტოპოლისი, ბიჭვინტა), ძგმ, 1963, № 4, გვ. 148; შეად. А. М. Апакидзе, Т. К. Микеладзе, О. Д. Лордкипанидзе, Р. М. Рамишвили, Итоги полевых исследований причерноморской экспедиции АН ГССР летом 1960 г., საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსი, გვ. 35.

[3] მ. ინაძე, ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები, გვ. 148—149.

[4] იქვე, გვ. 149.

V თავი

ეგრისის სამეფოს კულტურული განვითარების საკითხისათვის

დასავლეთ საქართველოს კულტურა გვიანანტიკურ ხანაში ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი, ამიტომ ჩვენთვის დღესდღეობით ძალზე ძნელია მისი სრული სურათის წარმოდგენა. ჩვენ შევეცდებით მხოლოდ ამ საკითხის ზოგიერთ ცალკეულ მომენტს შევეხოთ.

ეგრისის (ლაზეთის) სამეფოს მოსახლეობის კულტურა პრინციპულად ახალი, განსაკუთრებული მოვლენებით არ ხასიათდება. როგორც ქალაქების, ისე სასოფლო რაიონების კულტურის განვითარება იმავე ძირითადი გზებით მიდიოდა, როგორც წინა, ელინისტურ ეპოქაში: ადგილობრივი, ჯერ კიდევ ძველი კოლხეთის კულტურაზე დამყარებული ტრადიციები ორგანულად ერწყმოდა დასავლური, რომაულ-ბიზანტიური კულტურის ელემენტებს.

როგორც ცნობილია, ძვ. წ. უკანასკნელ საუკუნეებში კოლხეთში გზას იკვლევს და საკმაოდ ინტენსიურად ინერგება ელინისტური კულტურის ელემენტები. ეს კარგად ჩანს თუნდაც კერამიკულ წარმოებაში, სადაც წამყვანსა და ძირითადს კვლავ წმინდა ადგილობრივი ფორმები და ორნამენტული სახეები წარმოადგენს, მაგრამ მათ გვერდით თავს იჩენს აგრეთვე ანტიკური კერამიკული წარმოების გავლენით შექმნილი ფორმები[1]. ელინისტური ტრადიციების დანერგვა შეიმჩნევა აგრეთვე საფეიქრო წარმოებაში[2].

კარგად ჩანს ელინისტური გავლენა კოლხეთის ქალაქთმშენებლობასა და საერთოდ ხუროთმოძღვრებაში, რის შესახებაც საკმაოდ

---

[1] ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, 1966, გვ. 140—141; შეად. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, Тбилиси, 1950, გვ. 31—33, 67.

[2] ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, გვ. 141, აქვეა მოტანილი სათანადო ლიტერატურა.

ნიშანდობლივ მასალას გვაძლევს თუნდაც ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური მონაპოვარი[1].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ელინისტური კულტურის გავლენა კოლხეთში, ჩვენი აზრით, საკმაოდ ზედაპირული იყო, იგი მეტწილად შეიმჩნეოდა ქალაქის მოსახლეობაში და საფიქრებელია, უმთავრესად ეხებოდა კოლხეთის მოსახლეობის ზედა, შეძლებულ ფენებს. ქვეყნის სიღრმეში მისი გავრცელება არ უნდა ყოფილიყო მაინცადამაინც ინტენსიური და მას არ მოუპოვებია უპირატესობა ადგილობრივ კულტურულ ტრადიციებთან შედარებით.

ახ. წ. პირველი საუკუნეების ეგრისის კულტურული განვითარებაც ძირითადად ამავე გზით მიდიოდა.

ზევით აღნიშნული გვქონდა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში გვიანანტიკური ხანის კერამიკაში ადგილობრივი ნაწარმის ისეთი ტიპები, რომლებიც ერთი შეხედვით თითქოს იმპორტულია, მაგრამ ცალკეული ელემენტების მიხედვით ადგილობრივად უნდა იქნეს მიჩნეული. ცხადია ისინი იმპორტული ნაწარმის მიბაძვითაა ადგილობრივ დამზადებული და ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი ორნამენტით შემკულიც. ეს მასალა საფუძველს იძლევა ვილაპარაკოთ რომაულ-ბიზანტიური კულტურული ელემენტებისა და ადგილობრივი ტრადიციების შერწყმის შესახებ.

რომაულ-ბიზანტიური კულტურის გავლენა უნდა შეჭრილიყო აგრეთვე მაღალი, არისტოკრატიული ფენების ყოფაში, წესჩვეულებებსა და ტანსაცმელ-მორთულობაში. იმპორტული კერამიკის, კერძოდ წითელლაკიანი კერამიკისა და ამფორების აღმოჩენა ეგრისის ზღვისპირა ქალაქებში ცხადყოფს, რომ ეს უცხოური ჭურჭელი აქ საკმაოდ ფართო ხმარებაში იყო და პირველ რიგში, ცხადია, მაღალი წოდების ოჯახებში. იმავეზე მიუთითებს აგრეთვე იმპორტული მინის ჭურჭელიც.

აღსანიშნავია, რომ ეს იმპორტული კერამიკა, როგორც ჩანს, მარტო ზღვისპირა რაიონებში არ იხმარებოდა; მას ვხედავთ აგრეთვე შიდა რაიონებში (წებელდა, ფარნალის გორა ქუთაისთან).

დიდი რაოდენობით იმპორტული სამკაულებისა და ტანსაცმელის მოწყობილობის აღმოჩენა (ფიბულები, სამაჯურები, საყურეები, მძივები, ბალთები და სხვ.), ცხადყოფს, რომ დასავლური, რომაულ-ბიზანტიური ტანსაცმელი და მორთულობა ჩვეულებრივი იყო, რო-

---

[1] ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, გვ. 142—143.

გორც ზღვისპირა ქალაქების, ისე ეგრისის შიდა რაიონების მაღალი, შეძლებული წრეებისათვის[1].

ამ თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს დასავლეთ საქართველოსათვის უნიკალური ძეგლი, რომელიც 1961 წ. გაითხარა ლანჩხუთის რაიონის სოფ. შუხუთში. ესაა შეძლებული, მდიდარი პირის „ვილა“, საცხოვრებელი სახლის, აბანოს და სხვა ნაგებობებისაგან შემდგარი. თავისი აღნაგობითა და გეგმით ეს კომპლექსი არის ტიპიური გვიანანტიკურ-ადრებიზანტიური ხანის მდიდრული villa rustica, ე. ი. გაბატონებული კლასის წარმომადგენლის სასოფლო რეზიდენცია. კომპლექსი IV—V საუკუნეებით თარიღდება[2]. რამდენადაც თვით ზღვისპირა ქალაქებშიაც ამ დროს მნიშვნელოვანი რომაული მოსახლეობა სავარაუდო არაა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს აგარაკი ეკუთვნოდა ვინმე მდიდარ ეგრისელს, და თუ ეს ასეა, მაშინ შუხუთის კომპლექსი აშკარად მეტყველებს რამდენად ეზიარა რომაულ ყოფაცხოვრებას ლაზეთის შეძლებული ზედა ფენა.

რომაულ-ბიზანტიური კულტურის გავლენა აშკარად შეიმჩნევა სააღმშენებლო ხელოვნებაშიც. ეს პირველ რიგში ითქმის საერო არქიტექტურაზე, კერძოდ საფორტიფიკაციო ნაგებობათა სააღმშენებლო ხერხებზე. როგორც IV—V საუკუნეების ციხე-ქალაქების შესწავლა ცხადყოფს, აქ საყოველთაოდ გამოყენებულია გვიანრომაულ და ბიზანტიურ არქიტექტურაში მიღებული წყობა: კედლები იგება შედარებით უხეშად გათლილი, საშუალო ზომის ქვის კვადრებისაგან, რომელთა რიგებს შიგადაშიგ დატანებული აქვს ბრტყელი აგურის რამდენიმე რიგიანი სარტყელი. ასეთი აგურის რიგების რაოდენობა, სპეციალისტთა აზრით, ნაგებობის დათარიღებისათვის საიმედო საფუძველსაც იძლევა[3]. ასეთი წყობა გვხვდება სოხუმის სანაპიროზე გათხრილ ციხეში (სებასტოპოლისი), როდოპოლის-ვარდციხეში, არქეოპოლის-ნაქალაქევში, შორაპანსა და სკანდაში[4].

---

[1] З. В. Анчабадзе, История и культура древней Абхазии, გვ. 218—219.

[2] П. П. Закарая, В. А. Леквинадзе, Археологические раскопки в селе Шухути, მაცნე, 1966, № 1, გვ. 120—135.

[3] P. Lemerle, A propos des basilique paléochretiennes de Grèce BCH, XX, 1946, გვ. 327; С. Н. Бобчев, Смесената зидария в римските и ранновизантийските строенси, „Изв. на археологическия институт“, XXIV, 1961, გვ. 153—202.

[4] В. А. Леквинадзе, Оборонительные сооружения Себастополиса, 210; მ ი ს ი ვ ე, Материалы по монументальному строительству..., 167. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, G., III, გვ. 301—320.

აშკარაა, რომ აღნიშნულ ციხეთა მშენებელნი, რომლებიც საფიქრებელია ადგილობრივი ოსტატები იყვნენ, კარგად იცნობდნენ რომაულ-ბიზანტიურ არქიტექტურას, კერძოდ საქალაქო-საფორტიფიკაციო არქიტექტურას და ფართოდ იყენებდნენ მის ხერხებს საკუთარ ქალაქთმშენებლობაში.

რაც შეეხება საეკლესიო ხუროთმოძღვრებას, ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ნიმუშები ჩვენ დღესდღეობით მხოლოდ ბიჭვინტაში გვაქვს. აქ გათხრილია დიდი სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც, როგორც ჩანს, VI ს. დარიღდება[1]. მაგრამ აქვე ჩანს უფრო ადრეული, შესაძლოა IV—V სს., მცირე ეკლესიის (მპიტირიუმის) ნაშთებიც[2]. სამწუხაროდ, ამ ძველი ნაგებობების არქიტექტურული ფორმების გარკვევა ჯერჯერობით ძნელდება. მაგრამ ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით იქცევს ბიჭვინტის ნაქალაქარის მოშორებით, ფიჭვნარში აღმოჩენილი ორნავიანი და ორაფსიდიანი ეკლესია, რომელსაც არავითარი უშუალო პარალელები ქართულ არქიტექტურაში არ მოეპოვება. სამაგიეროდ, ზუსტად ამ ტიპის საეკლესიო ნაგებობა დადასტურებულია მცირე აზიაში (იუჩაიკის ბაზილიკა)[3]. მართალია, ეს ეკლესია V საუკუნის ბოლოთი და VI საუკუნით თარიღდება, მაგრამ იგი მაინც სწორედ ჩვენთვის საინტერესო ხანის ტენდენციების ამსახველია.

ეგრისის სამეფოს კულტურული ვითარების შესწავლისას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ბიჭვინტის მოზაიკების შესწავლას. ბიჭვინტის სამნავიანი ბაზილიკის ნანგრევებში აღმოჩნდა მოზაიკის ორი დიდი და რამდენიმე მცირე ზომის ფრაგმენტი. ერთ-ერთი მოზაიკა ეკლესიის აფსიდაშია. აქ სხვადასხვა დროის სააღმშენებლო ფენებია და ზოგჯერ ჭირს გარკვევა, რა ხანას ეკუთვნის შენახული მოზაიკები. აფსიდაში ამაღლებული მოედანია, რომლის გარშემო იატაკზე შენახულია მოზაიკა, რომელიც, როგორც ჩანს, სამნავიანი ბაზილიკის წინაღროინდელ ნაგებობას ეკუთვნოდა, რადგან აფსიდის აგებისას იგი ადგილ-ადგილ დაზიანებულა და დაფარული მერმინდელი წყობით. ამიტომ, ლ. მაცულევიჩის აზრით, ეს მო-

---

[1] იხ. ა. აფაქიძის და ი. ციციშვილის ანგარიშების ანოტაციები: საქ. მეცნ. აკადემიის საზ. მეცნიერებათა განყ. სამეცნ. სესია, 1952, გვ. 41—42; ისტ. ინსტ. სამეცნ. სესია, მიძღვ. 1952 წ. საველე-არქეოლ. კვლევა-ძიების შედეგებისადმი, 1953, გვ. 33—34.

[2] Л. А. Мацулевич, Открытие мозаичного пола в древнем Питиунте, ВДИ, 1956, № 4, გვ. 147.

[3] თ. მიქელაძე, ბიჭვინტის ორაფსიდიანი ეკლესია, მსკა, III, გვ. 125—130.

ზაიკა V საუკუნეზე გვიანდელი არ შეიძლება იყოს[1]. ამ მოზაიკის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს „სიცოცხლის შადრევნის“ სურათი. შადრევნის ორივე მხარეს გამოსახულია ფურირემი და ხარირემი, ფურთან კი—ნუკრი.

ამაღლებულ მოედანზე იმავე აფსიდაში აგრეთვე მოზაიკური კომპოზიციაა შენახული. მის ცენტრს წარმოადგენს აკანთური გრეხილით შემოსაზღვრული წრიული მედალიონი-მონოგრამა ქრიზმით, რომელიც ქრისტეს სახელის პირველ ასოებს „X“ და „P“ და აპოკალიფსურ სიმბოლოს — ბერძნული ანბანის საწყის ასოს „ალფას“ და ბოლო ასოს „ომეგას“ შეიცავს. მედალიონის ქვევით აკანთური ფრიზის ერთერთ ხვეულში მოთავსებულია წარწერა, რომელსაც თ. ყაუხჩიშვილი ასე კითხულობს: **ὑπὲρ εὐχῆς Ὡρὲλ καὶ παντὸς τοῦ οἴκου**“ ე. ი. „სალოცველად ორელისა და ყოვლისა სახლისა მისისათვის“[2].

თ. ყაუხჩიშვილი წარწერას პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ზოგადად ადრებიზანტიური ხანით, უფრო კი V—VII საუკუნეებით ათარიღებს და ფიქრობს, რომ აქ მოხსენებულ ორელს თუ მთელი ძეგლი არა, მოზაიკური იატაკი თავისი ინიციატივით თუ სახსრითა და საფასით გაუკეთებინებია[3].

ლ. მაცულევიჩი წარწერის დათარიღებისას ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ის ამაღლებული მოედანი, რომელზედაც მოზაიკა არის მოთავსებული, არ ეკუთვნის სამნავიან ბაზილიკას და მისი წინადროინდელი ნაგებობის, მისი აზრით, მარტირიუმის შემადგენლობაში შედიოდა. ამდენად, მას წარწერის და მთელი მოზაიკის უფრო ადრეული ხანით, კერძოდ IV ს. დათარიღება მიაჩნია შესაძლებლად. ამასთან ლ. მაცულევიჩი თვლის, რომ წარწერა მოსახსენებელი წარწერების რიგს ეკუთვნის, რადგან ის უშუალოდ ქრიზმას უკავშირდება, ქრიზმის შინაარსი კი სწორედ გარდაცვლილი ადამიანის მოსახსენებელ ფორმულას შეიცავს („განსვენება მარად ქრისტეს სახელით“[4]).

მეორე დიდი ფრაგმენტი მოზაიკური იატაკისა შენახულია სანათლავში, რომელიც აგრეთვე უფრო ადრეულია, ვიდრე სამნავიანი ბაზილიკა. მოზაიკა ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. სამხრე-

---

[1] Л. А. Мацулевич, Открытие мозаичного пола..., გვ. 147.

[2] თ. ყაუხჩიშვილი, ბიზანტის მოზაიკის ბერძნული წარწერა, სმამ, ტ. XVI, № 1, 1955, გვ. 73.

[3] იქვე, გვ. 74—79.

[4] Л. А. Мацулевич, Открытие мозаичного пола..., გვ. 148.

თის ნაწილი მთლიანად დეკორატიული ორნამენტისაგან შედგება, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილში გამოსახულია კვლავ „სიცოცხლის შადრევანი“ ფრინველებით[1].

ამრიგად, ბიჭვინტაში გვაქვს მოზაიკის ორი დიდი ფრაგმენტი, რომელიც უნდა დათარიღდეს IV—V სს. მოზაიკა სტილითა და დეკორის მოტივებით სირიისა და პალესტინის სკოლებთან ამეღავნებს სიახლოვეს[2]. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია შადრევნების გამოსახულებანი, რომლებიც მთლიანად იმეორებენ ელინისტური ხელოვნებისათვის დამახასიათებელ მომენტებს და უშუალო პარალელებს სწორედ სირია-პალესტინის ძეგლებში პოულობენ[3]. ორელის წარწერიანი მოზაიკის აკანთური ფრიზიც ძალიან ახლოს დგას პალესტინური სკოლის აკანთებთან, კერძოდ იმ ორნამენტთან, რომელიც დაცულია კონსტანტინე I დროინდელ ბაზილიკაში ბეთლემში[4].

მაგრამ, ამასთან ერთად, ბიჭვინტის მოზაიკაში აშკარად ჩანს აგრეთვე ადგილობრივ ხელოვნებასა და რწმენებთან მჭიდრო კავშირი. ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივ იხატება კომპოზიციის ერთერთ დეტალში — ძროხისა და ხბოს გამოსახულებაში, რაც სრულიად უცხოა როგორც აღმოსავლური, ისე ხმელთაშუაზღვის აუზის ხელოვნებისათვის; სამაგიეროდ ეს მოტივი კარგად არის ცნობილი საქართველოში და ორგანულად ერთვის ქართულ და აფხაზურ ყოფაში ძროხის კულტს. ასეთი ადგილობრივი ელემენტის შეტანა მოზაიკის კომპოზიციაში და აგრეთვე ელინისტური ხელოვნებისათვის უცხო ზოგიერთი დეკორატიული ხერხი, საფუძველს იძლევა ბიჭვინტის მოზაიკა მიეკუთვნოს მოზაიკის ოსტატთა ადგილობრივ სკოლას. ამასთან მოზაიკის შესრულების მაღალი ოსტატობა და დახვეწილობა ამ სკოლის ოსტატთა დიდ დახელოვნებასა და მის საკმაოდ ხანგრძლივ არსებობაზე უნდა მიუთითებდეს[5].

ლ. მაცულევიჩი შეჩერდა ბიჭვინტის სანათლავის მოზაიკის იმ ნაწილზე, რომელიც გეომეტრიული ორნამენტისაგან შედგება. ეს ორნამენტი ჰორიზონტალურ რიგებად დაწყობილ თავისებური უჯრედებისაგან არის აგებული. თითოეული უჯრედი შედგება ერთმა-

---

[1] Л. А. Мацулевич, Открытие мозаичного пола..., გვ. 149—150.

[2] Ш. Я. Амиранашвили, История грузинской монументальной живописи, т. I, Тбилиси, 1957, გვ. 22—23.

[3] Л. А. Мацулевич, Открытие мозаичного пола..., გვ. 149—151.

[4] იქვე, გვ. 149.

[5] იქვე.

ნეთში ჯვარედინად ჩადგმული ორი ბოლომომრგვალებული რომბისაგან[1].

მსგავსი ორნამენტული მოტივი ჩანს ბეთლემის მახლობლად ბირ ალ-კუთში, ვ. კ ო რ ბ ო ს მიერ გათხრილი ქართული მონასტრის მოზაიკებში, კერძოდ სატრაპეზოს იატაკის მოზაიკაში. ეს მონასტერი ვ. კორბოს დაახლოებით VI საუკუნის ნაგებობად მიაჩნია; ასევე ათარიღებს აქ აღმოჩენილ ქართულ წარწერებს მ. თარხნიშვილიც[2]. მაგრამ წარწერათა საერთო ანალიზი აძლევს საფუძველს გ. წერეთელს ისინი V საუკუნით დაათარიღოს[3]. ამავე თარიღს ემხრობა ლ. მაცულევიჩიც მოზაიკების მხატვრული ანალიზის საფუძველზე[4].

მსგავსი ორნამენტული მოტივი საერთოდ გავრცელებულია პალესტინაში; აქ აღმოჩენილია რამოდენიმე ნაგებობა, რომელთა მოზაიკებში წყვილადი რომბების მოტივი მეორდება; ყველა ისინი VI ს. თარიღდება. მაგრამ აქ ყველგან ჩანს განსხვავება ბირ ალ-კუთის მოზაიკისგან: წყვილადი რომბები აღარ ქმნიან ერთიან ორნამენტს, ისინი სრულიად გამოცალკევებულ უჯრედებად იქცნენ, ამასთან რომბები უფრო განიერი და მოკლე გახდა, ისე რომ, ისინი თავისუფლად იწერებიან კვადრატში. ეს ორნამენტული მოტივი ჩართულია სხვა ხასიათის ორნამენტში და აღარ წარმოადგენს წამყვან მოტივს მთელ დეკორში. აშკარაა, რომ აღნიშნულ გვიანდელ ძეგლებში ჩვენ ვხედავთ ბირ ალ-კუთის მოტივის შემდეგ ტრანსფორმაციას, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ ეს მოტივი მაინც განაგრძობს არსებობას, თუნდაც ასეთი შეცვლილი სახით, საფუძველს აძლევს ლ. მაცულევიჩს დაასკვნას, რომ ამ მოტივის მხატვრულ ცენტრს სწორედ სირია-პალესტინა წარმოადგენდა[5].

ბიჭვინტის სანათლავის მოზაიკის სიახლოვე ბირ ალ-კუთის მოზაიკასთან თითქოს აგრეთვე მოწმობა არის პირველის სირია-პალესტინის მხატვრული სკოლისადმი კუთვნილებისა. მაგრამ ლ. მაცულევიჩი ყურადღებას აქცევს შემდეგ გარემოებებს: ბიჭვინტის მოზაიკის თარიღი უფრო ადრეულია (IV ს.) და დასახელებულ მო-

---

[1] Л. А. Мацулевич, Открытие мозаичного пола..., სურ. 1 და 2.

[2] P. Virg. Corbo, Gli scavi di Kh. Siyar el-Ghanam (Campo dei Pastori) e i monasteri dei dintorni, Pubblicazioni dello Studium Biblicum Franciscanum, № 11, Gerusalemme, 1955.

[3] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, 1960.

[4] Л. А. Мацулевич, Мозаики Бир-аль-Кута и Пицунды, ВВр., XIX, 1961, გვ. 140.

[5] იქვე, გვ. 140.

ტივში აქ ერთგვარი თავისებურება შეიმჩნევა: რომბები ბიჭვინტაში თავისუფლად არიან ერთმანეთში ჩადგმული, ბირ ალ-კუთში ისინი მჭიდროდ არიან „ჩაჭედილი“ (втиснуты). გარდა ამისა, რომბებს შორის დარჩენილ სივრცეებში, ბიჭვინტის მოზაიკაზე გამოსახულია თევზები და ფრინველები, რაც არ ჩანს ბირ ალ-კუთში. ამრიგად, ბიჭვინტის მოზაიკის აღნიშნული მოტივი თავისებური და თანაც უფრო ადრეული ვარიანტია ამ მოტივისა[1]. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბირ ალ-კუთში ჩვენ ქართულ მონასტერთან გვაქვს საქმე და რომ აღნიშნული მოტივის საწყისად თვით სირია-პალესტინაში სწორედ ამ მონასტრის მოზაიკა არის მიჩნეული, ჩვენ, ზემოაღნიშნულის საფუძველზე, გვეზადება აზრი — ხომ არ არის ამ დეკორატიული მოტივის წარმოქმნის ცენტრი სწორედ დასავლეთ საქართველო?

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის დასავლეთ საქართველოს კულტურული ვითარების განხილვისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტს, როგორიცაა ფაზისთან ე. წ. რიტორიკული უმაღლესი სკოლის არსებობა. ამ სკოლის შესახებ მოგვითხრობს ცნობილი ფილოსოფოსი და რიტორი თ ე მ ი ს ტ ი ო ს ი თავის 27-ე სიტყვაში. ეს სიტყვა მიმართულია ვიღაც პროვინციელი ახალგაზრდისადმი, რომელსაც თემისტიოსისათვის მიუმართავს თხოვნით, დახმარებოდა პროვინციიდან სატახტო ქალაქში (კონსტანტინეპოლში) გადმოსვლაში განათლების მისაღებად. ამ თხოვნის პასუხად თემისტიოსი არწმუნებს ახალგაზრდას, რომ განათლების მიღება შეიძლება პროვინციაშიც. დასასაბუთებლად მოჰყავს თავისი მაგალითი: „მეც, ჩემო კარგო ახალგაზრდავ, რიტორიკის ნაყოფნი მოვწყვიტე გაცილებით უფრო უჩინარ ადგილას, ვიდრე ეს ჩვენი ადგილია, არა წყნარსა და ელინურ ადგილას, არამედ პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად, სადაც არგომ, თესალიიდან წამოსულმა, დაისადგურა, — რასაც პოეტები გაკვირვებით მოგვითხრობენ, — და ცამ იგი აღიტაცა, იქ, სადაც ცნობილია თერმოდონტი, ამაძონთ საომარი საქმეები და თემისკვირი. და აი, ასეთი ბარბაროსული და პირქუში ადგილი ერთი კაცის სიბრძნემ და სათნოებამ გახადეს ელინური და აქციეს მუზების ტაძრად, იმ ერთი კაცის, რომელიც დაბრკვიდრდა კოლხებისა და არმენიელების ქვეყანაში და ასწავლიდა არა ისართ ტყორცნას და ოროლთ სროლას ან ჯირითს, მეზობელ ბარბაროსთა წესებისდა მიხედვით, არამედ იმას, თუ როგორ გაიწვრთნა რიტორიკულ ხელოვნებაში და როგორ ბრწყინავდე ელინთა დღეო-

[1] Л. А. Мацулевич, Мозаики Бир-аль-Кута ..., გვ. 140—141.

ბებზე. მართალია თუ არა ის, რასაც ვამბობ ცხადი გახდება ეხლავე, თუ დავძენ შემდეგსაც: იქ ჩავედი მე არა საკუთარი მისწრაფებითა და გადაწყვეტილებით, არამედ მე გამგზავნა იქ ისეთმა კეთილშობილურნე კაცმა, როგორიც შეიძლება იყოს მამა, და ისეთმა მართებულად მოაზროვნემ, როგორიც შეიძლება იყოს ფილოსოფოსი. იქნებ შენ ის სრულიად დაჰგმო იმისათვის, რომ მან თვითონაც თავისი განთქმული ფილოსოფია სწორედ იქ შეიძინა, ან უფრო მეტად დაჰგმო მე, რომელიც ფილოსოფიის საიდუმლოებას ბავშვობიდანვე ვარ ნაზიარები"[1].

თემისტიოსის ამ სიტყვიდან აშკარაა, რომ „პონტოს ბოლოს", „ფაზისის მახლობლად" IV საუკუნეში ყოფილა უმაღლესი რიტორიკულ-ფილოსოფიური სკოლა. ო. ზ ე ე კ ი თავის დროს ფიქრობდა, რომ რადგან აქ მდ. თერმოდონტი, ამაძონები და მდ. თემისკვირი არის დასახელებული. თემისტიოსი მიუთითებდა ქ. სინოპეზე, სადაც, მისი აზრით, შეიძლებოდა ელინისტური კულტურის ასეთი კერა გვეპოვნა[2]. ო. ზეეკის ეს მოსაზრება არ გაიზიარეს ხ რ ი ს ტ მ ა და შ ტ ე ლ ი ნ მ ა და აგრეთვე კ. ვ ი ლ ჰ ე ლ მ მ ა, რომელთა აზრით აქ უდავოდ კოლხეთი იგულისხმება[3]. ო. ზეეკის აზრი უარჰყო აგრეთვე ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ მ ა, რომელმაც აღნიშნა, რომ „თვით თემისტიოსის განსაზღვრა ამ ქალაქისა πλήσιον Φάσιδος („ფაზისის მახლობლად") და მის მიერვე დაკავშირება ამ ადგილისა არგონავტების ლაშქრობასთან შეუძლებელს ხდის აქ სინოპე ვიგულისხმოთ"[4].

მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, რომ თემისტიოსს, რომელიც თვით სწავლობდა ამ სკოლაში, აღრეოდა ფაზისი და სინოპეზე ეთქვა იგი „პონტოს ბოლოს" და „ფაზისის მახლობლად" არისო. ცხადია, რომ თერმოდონტი, ამაძონები და თემისკვირა დასახელებულია აქ იმ სამყაროს ზოგადი მოხაზვის მიზნით და წარმოადგენს ერთგვარ რიტორიკულ ხერხს.

ამასთან, თემისტიოსის სიტყვა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს რიტორიკული ცენტრი არსებობდა IV ს. შუა წლებზე

---

[1] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, G., I, 50—51. იხ. მ ი ს ი ვ ე, რიტორიკული განათლების ცენტრი ძველ კოლხეთში, სსმმ, ტ. X—B, 1940.

[2] O. Seek, Briefe des Libanios, Leipzig, 1906, გვ. 292.

[3] F. Wilhelm, Zu Themistios Or. 27 (p. 400 Dindorf), BNJ, 6 Bd., 3. und 4. Doppelheft, 1929, გვ. 456.

[4] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, G., I, 52.

გაცილებით ადრე. თემისტიოსი 317 წ. დაბადებულა და 345 წ. უკვე მასწავლებლად ყოფილა კონსტანტინეპოლში. მაშასადამე, ფაზისის სკოლაში მას IV ს. 30-40-იან წლებში უნდა ესწავლა. ხოლო, რაკი ფაზისთან მდებარე სასწავლებელში მიუღია განათლება თემისტიოსის მამასაც. მაშ იგი IV საუკუნის დასაწყისში უკვე მოქმედებდა და იმდენად ცნობილი ყოფილა, რომ აქ სხვა ქვეყნებიდან, კერძოდ ბიზანტიიდან სპეციალურად ჩამოდიოდნენ სასწავლებლად. ამდენად, ეს სკოლა III ს. მეორე ნახევარში მაინც უნდა ყოფილიყო დაარსებული[1].

თუ დასავლეთ საქართველოში ფაზისთან ასეთი სკოლა არსებობდა, ცხადია აქ, პირველ რიგში, ადგილობრივი ახალგაზრდობა სწავლობდა. III—IV საუკუნეთა ფაზისში და საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში ბერძნული მოსახლეობა იმ რაოდენობით არ შეიძლებოდა ყოფილიყო წარმოდგენილი (თუკი საერთოდ ჰყო), რომ მისთვის აქ საგანგებო უმაღლესი სასწავლებელი დაარსებულიყო, თვით ფაქტი ამგვარი სკოლის დაარსებისა ცხადყოფს, რომ მისი არსებობისათვის აქ სათანადო პირობები არსებობდა და, მაშასადამე, ფაზისის აკადემია აშკარა მოწმობაა დასავლეთ საქართველოში ამ დროს ფილოსოფიური აზროვნებისა და რიტორიკული ხელოვნების მაღალი კულტურის არსებობისა. ამას ადასტურებს თვით თემისტიოსიც, როცა ამბობს, რომ მის დროს ის მხარე, სადაც მან განათლება მიიღო, იყო „ელინური ადგილი“ და „მუზების ტაძარი“[2].

აქ ჩვენ გვინდა ყურადღება შევაჩეროთ ერთ გარემოებაზე. თემისტიოსის სიტყვის მოტანილ ნაწყვეტს ცოტა სხვაგვარად, ვიდრე ს. ყაუხჩიშვილი, თარგმნიდა პ. ბერაძე, მისი თარგმანი ასეთია: „მეც აგრეთვე თითონ, ჰაბუკო კეთილო, ამაზე ბევრად უცნობ ქვეყანაში გავიკვეთე რიტორიკის მოძღვრებაში. არცა ბაღად და არც

---

[1] შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, 1956, გვ. 96.

[2] თემისტიოსის ამ ცნობებს თავის დროს ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება და აღნიშნა: „თემისტეს სიტყვებიდან ჩანს, რომ ელინურ სწავლა-განათლებისათვის ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩენილა კოლხეთში და თუ მას დაეუჯერებთ, ქვეყანა ელინური კულტურისა და „მუზათა სადგურად“ უქცევია, ისე რომ იმ დროს კოლხებს ელინთა სადღესასწაულო ყრილობებზედაც უსახელებიათ თავი რიტორიკითა და მჭერმეტყველებით. ეს გარემოება საუცხოო დამამტკიცებელი საბუთია, როგორც ელინური კულტურის გავლენის სიძლიერისა დასავლეთ საქართველოში, ისე მის მაშინდელ მაღალხარისხოვან გონებრივი დაწინაურებისაც“ (ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 274).

ელინთან, არამედ პონტოს უკიდურეს კუთხეში, ფაზისის მახლობლად“ [1]. მაშასადამე, თემისტიოსის სიტყვებს „οὐδὲ ἐν ἡμέρῳ καὶ Ἕλληνι“, რომელსაც ს. ყაუხჩიშვილი თარგმნის „არა წყნარსა და ელინურ ადგილას“, პ. ბერაძე თარგმნიდა „არცა ბაღად და არც ელინთან“. ბაღის ქვეშ, პ. ბერაძის აზრით, უნდა იგულისხმებოდეს პლატონისეული აკადემია. მართალია, სიტყვა ἥμερος შეიძლება გავიგოთ როგორც ბაღი, ადამიანის ხელით დამუშავებულის გაგებით, მაგრამ, ვფიქრობთ, აქ უფრო ზუსტი იქნება ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობა — „წესიერი, მოწესრიგებული“, „კულტურული“, მით უფრო, რომ ცოტა ქვევით ამ სიტყვის ანტითეზური გამოთქმაა ნახმარი „ἀνήμερος“ — პირქუშის, მკაცრის გაგებით. რაც შეეხება სიტყვას Ἕλλην, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში პ. ბერაძის თარგმანი უფრო ზუსტია და თემისტიოსი აქ ხაზს უსვამს სწორედ იმას, რომ მას განათლება არაბერძენისაგან, არაელინისაგან მიუღია. ამას კი გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ფაზისის უმაღლესი რიტორიკული სკოლის რაობის გარკვევისათვის.

როდესაც დასავლეთ საქართველოს აღნიშნული ხანის კულტურაზე ვლაპარაკობთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ კიდევ ერთ გარემოებას: თუმცა IV საუკუნისათვის ეგრისში ჰყვავის ფილოსოფიური აზროვნების ერთერთი კერა და მაშასადამე აქ ჯერ კიდევ ძლიერია წარმართული ფილოსოფიური კულტურა, ამავე დროს, IV საუკუნეში დასავლეთ საქართველოში საკმაოდ ფეხმოკიდებული და გაბატონებულიც ჩანს ქრისტიანული რელიგია.

ამ საკითხზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევჩერდეთ უფრო ფართოდ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად გაბატონებულია შეხედულება, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება დასავლეთ საქართველოში (ეგრისში, ლაზეთში) გაცილებით უფრო გვიან მოხდა, ვიდრე ქართლში, კერძოდ VI ს-ის 20-იან წლებში. ამ შეხედულების საფუძველს წარმოადგენს VIII—IX სს. ბიზანტიელი მწერლის თეოფანე ჟამთაღმწერლის ცნობა ლაზეთის მეფის წათეს გაქრისტიანების შესახებ 523 წ.;

ივ. ჯავახიშვილი, მაგალითად, სწორედ ამ ცნობაზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ ამიერიდან ლაზიკაში „ქრისტიანობა, ვითარცა სახელმწიფო სარწმუნოება, საბოლოოდ განმტკიცებული იქნებოდა“,

---

[1] თარგმანის ტექსტი მოგვაწოდა და ამ საკითხზე თავისი მოსაზრება გაგვიზიარა პროფ. პ. ბერაძემ.

თუმცა აღიარებდა, რომ აქ ეს სარწმუნოება დიდი ხნით ადრეც იყო გავრცელებული[1].

გამონაკლისს წარმოადგენდა ს. გორგაძე. ჯერ კიდევ თავის „წერილებში საქართველოს ისტორიიდან" იგი ქართლისა და დასავლეთ საქართველოს გაქრისტიანებას ერთიან პროცესად მიიჩნევს[2]. უფრო გარკვევით ამ აზრს ავითარებს იგი თავის „საქართველოს ძველ ისტორიაში". ს. გორგაძის აზრით, ლაზიკაში საქრისტიანო ეკლესია, „თუ უფრო ადრე არა, იგივე წლებში მაინც უკვე მოწყობილი ყოფილა, როდესაც იბერიის ეკლესია მოეწყო. ამრიგად, მეოთხე საუკუნის ნახევარში, დაახლოებით ერთსა და იმავე დროს, საქრისტიანო ეკლესიამ გაიმარჯვა და ოფიციალურად იწყო არსებობა როგორც იბერიაში, ისე ლაზიკაში, ე. ი. საქართველოს ორსავე ნაწილში". ამ დებულების საფუძვლად ს. გორგაძეს შემდეგი გარემოებები მიაჩნია: 1) პოლიტიკური, სოციალური და კულტურულ-სარწმუნოებრივი პირობები ლაზეთში იგივე იყო, როგორც იბერიაში. 2) ბიზანტიელი ისტორიკოსები, როცა V—VI სს. ლაზეთზე ლაპარაკობენ, აქ ქრისტიანობას ყოველთვის დიდი ხნის დამკვიდრებულად მიიჩნევენ, 3) უკვე პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას 325 წ. ესწრება ფაზისის (ფოთის) ეპისკოპოსი[3]. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ს. გორგაძეს ფაქტიური შეცდომა მოსდის: ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებას ესწრება არა ფაზისის, არამედ ბიზვინტის ეპისკოპოსი[4], მაგრამ მსჯელობის საერთო მიმართულებისათვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ამჯერად არა აქვს.

შემდგომ ამ საკითხს საკმაოდ ვრცლად შეეხო ს. ჯანაშია. იგი კვლავ თეოფანე ჟამთაღმწერელის ზემონახსენებ ცნობას დაეყრდნო და ამ ცნობის საფუძველზე დაასკვნა, რომ „ლაზიკის სამეფო სახლის საბოლოო გაქრისტიანება, რაც, რა თქმა უნდა, ნიშნავდა ამ რელიგიის ოფიციალურ კულტად ქცევას ეგრისში (ლაზიკაში), მოხდა, როგორც ჩანს, მხოლოდ მეექვსე საუკუნის ოციან წლებში"[5]. განსხვავებით ივ. ჯავახიშვილისაგან, ს. ჯანაშია არ დაკმაყოფილდა ამ ფაქტის კონსტატაციით და მას სათანადო ისტორიული ახსნა მოუძებნა. ს. ჯანაშიას მსჯელობა ძირითად ხაზებში შემდეგია: დასავლეთ საქართველო ბევრად უფრო მჭიდრო კავშირშია რომის იმპერი-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1960, გვ. 230—231.

[2] ს. გორგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან, ძველი საქართველო, ტ. II, 1911—1913, გვ. 47—48.

[3] ს. გორგაძე, საქართველოს ძველი ისტორია, ქუთაისი, 1920, გვ. 85.

[4] G., I, გვ. 3—4.

[5] ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 230.

ასთან, ვიდრე ქართლი, ქრისტიანობაც აქ ბევრად უფრო ადრე და ფართოდ ვრცელდება, მაგრამ ლაზეთი იმთავითვე რომის ვასალია, გარკვეულ დროს ხარკსაც კი უხდის, ამიტომ ეგრისის მმართველი წრეები, განსხვავებით ქართლისაგან, აშკარად ირანული ორიენტაციისა არიან; ქრისტიანობა ბიზანტია-ეგრისის კავშირის, ე. ი. ფაქტიურად ეგრისის ბიზანტიისაგან დამოკიდებულების, მისი ვასალობის განმამტკიცებელი საშუალება იყო, ამიტომ ეგრისის მმართველი წრეები, სამეფო სახლი ყოველმხრივ ეწინააღმდეგება ქრისტიანობის საბოლოო დამკვიდრებას თავის სამეფოში, მის სახელმწიფოებრივ სანქცირებას. ბოლოს, VI ს. 20-იან წლებში ბიზანტიის განსაკუთრებული აქტივობის, ლაზეთში მისი პოზიციების გაძლიერების შედეგად, ლაზეთის სამეფო სახლი იძულებულია მიიღოს ქრისტიანობა. მაშასადამე, თუ ქართლის მმართველი წრეები, ირანის აქტივობისა და აგრესიულობის გამო, ქრისტიანობის საშუალებით ბიზანტიასთან ირანის საწინააღმდეგო კავშირის განმტკიცებას ცდილობდნენ, ლაზეთის მმართველი წრეები ასეთ კავშირს არ საჭიროებდნენ, პირიქით, ბიზანტიის ვასალობიდან თავის დაღწევის მიზნით ხშირად პროირანულ ტენდენციებს იჩენდნენ და ქრისტიანობის დამკვიდრებას ეწინააღმდეგებოდნენ[1].

ს. ჯანაშიას ეს მსჯელობა მეტად ლოგიკურია და ლაზეთის პოლიტიკურ სიტუაციას დამაჯერებლად გადმოსცემს. მაგრამ მთელი ამ მსჯელობის ამოსავალი ისაა, რომ ლაზეთის გაქრისტიანება, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად ცნობა, პირველად თითქოს VI ს. 20-იან წლებში მოხდა, კერძოდ 523 წ. როგორც ქვევით დავინახავთ, სწორედ ეს ამოსავალი არ შეიძლება სწორად იქნას მიჩნეული.

V რაკი ჩვენ აქ საკითხის ისტორიოგრაფიის მოკლე მიმოხილვას ვაკეთებთ, უნდა ახლავე შევნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ 1948 წ. ს. ყაუხჩიშვილმა აღნიშნა, რომ IV ს. 20-იან წლებში დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა უკვე ფართოდ გავრცელებული და მტკიცედ ფეხმოკიდებული იყო, რასაც მოწმობს ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე 325 წ. ბიჭვინტის ეპისკოპოსის სტრატოფილეს მონაწილეობა[2]. უფრო გვიან, 1961 წ. თავისი „გეორგიკის“ I ტომის კომენტარებში ს. ყაუხჩიშვილმა კვლავ გაიმეორა ეს მოსაზრება და დაასკვნა, რომ სტრატოფილე შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ადგილობრი-

---

[1] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. 1, გვ. 229-235; იგივე აზრი გამეორებულია საქართველოს ისტორიის ყველა ამჟამად არსებულ სახელმძღვანელოებსა და დამხმარე სახელმძღვანელოებში.

[2] ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, გვ. 12. შენ-

ვი, მკვიდრი მცხოვრებლების წარმომადგენელი. შემდეგ კრისკე პანიონელის სათანადო ცნობაზე დაყრდნობით ს. ყაუხჩიშვილი დაასკვნის, რომ „მე-5 საუკუნის შუა წლებში, როდესაც მეფობდა გუბაზ პირველი, ლაზეთში ქრისტიანობა უკვე სახელმწიფო სარწმუნოება იყო“[1]. ს. ყაუხჩიშვილის მიერ მოტანილ საბუთებს ჩვენ ქვევით, სათანადო ადგილას შევეხებით.

როგორც აღნიშნული გვქონდა, დებულება იმის შესახებ, რომ ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში ოფიციალურ სარწმუნოებად მხოლოდ 523 წ. იქნა აღიარებული, ემყარება თეოფანე ჟამთაღმწერელის ცნობას. ვნახოთ ეს ცნობა და გავერკვეთ, რამდენად სწორად არის იგი გაგებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

თეოფანე ჟამთაღმწერელი წერს: „ამ დროს (ე. ი. დასაბამითგან ქვეყნისა 6015, ანუ 523 წ., ნ. ლ.) ლაზთა მეფე წათი გაბაუდგა სპარსელთა სამეფოს, როდესაც იქ მეფობდა კავადი, რომელსაც წათი იმდენად უყვარდა, რომ ის ლაზთა მეფედ დააყენა. წათი მივიდა ბიზანტიაში იუსტინესთან და სთხოვა მეფეს, რათა მას გაექრისტიანებინა ის და მასვე ეკურთხებინა ის ლაზთა მეფედ. მეფემ სიხარულით მიიღო ის, მონათლა და შვილად გამოაცხადა. წათიმ შეირთო რომაელი ქალი, პატრიკიოს და აპოკუროპალატ ნოვისის შვილისშვილი სახელად ვალერიანე, რომელიც წაიყვანა საკუთარ ქვეყანაში, როდესაც იუსტინეს მიერ ლაზთა მეფედ იქნა ნაკურთხი“[2].

ძირითადად ასევეა ეს ამბავი მოთხრობილი VII ს. უცნობი მწერლის მიერ შედგენილ ე. წ. „პასქალურ ქრონიკაში“[3].

ამ ცნობის მიხედვით მართლაც შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა, რომ ლაზთა მეფე წათე პირველი იყო ლაზეთის სამეფოს სახლიდან ვინც ქრისტიანობა მიიღო და მანამდე სამეფო კარზე წარმართობა იყო გაბატონებული. მაგრამ, საქმე ისაა, რომ სპეციალისტები ამ ფაქტის შესწავლისას რატომღაც ყურადღებას არ აქცევენ ერთ წყაროს, რომელიც, როგორც თეოფანე ჟამთაღმწერელის, ისე „პასქალური ქრონიკის“ ავტორისათვის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს VI ს-ის მწერლის იოანე მალალას „ქრონოგრაფი“. ამ უკანასკნელში წათეს გაქრისტიანების ამბავი უფრო დაწვრილებით და პრინციპში სხვაგვარად არის გადმოცემული.

„იუსტინეს მეფობის დროს, — წერს იოანე მალალა, — ლაზთა

---

[1] G., I, 6—10, 251—253.
[2] G., IV, I, 77—78.
[3] Chron. Pasch., G., IV, 1, გვ. 11—12.

მეფე წათი გაჯავრდა და ჩამოშორდა სპარსეთს. სპარსელთა მეფე იყო კოადი, რომელიც ოდესღაც თვით წათის, ლაზთა მეფის, მეგობრად ითვლებოდა და წათი ამ კოადის სამეფოს ქვეშევრდომი იყო; ამიტომაც იყო, რომ, როდესაც ლაზთა მეფე გარდაიცვლებოდა, სპარსელთა მეფე ნიშნავდა და აგვირგვინებდა ახალ მეფეს, მაგრამ უთუოდ თვით ლაზთა ტომიდან. ლაზთა ეს მეფე გადავიდა წარმართთა სარწმუნოებაზე, რადგან ეშინოდა, ვაი თუ სპარსელთა მეფემ კოადმა მეფედ არ დამნიშნოსო, მსხვერპლსაც სწირავდა და ყოველგვარ სპარსულ წესს ასრულებდა, ხოლო როდესაც გარდაიცვალა მისი მამა დამნაზე, მაშინვე მივიდა იუსტინე მეფესთან ბიზანტიონში, გამოაცხადა თავი მის მორჩილად და სთხოვა, ლაზთა მეფედ მაკურთხეო. მეფემ მიიღო ის და აკურთხა. გაქრისტიანებულმა წათიმ შეირთო რომაელი ქალი, პატრიკიოს ნომეს ქალიშვილი, სახელად ვალერიანე. მან თან წაიყვანა ის და წავიდა საკუთარ ქვეყანაში, დაგვირგვინებული რომაელთა მეფის იუსტინეს მიერ"[1].

იოანე მალალას მონათხრობში ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ ლაზეთის მეფე წათე, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, გადავიდა წარმართთა სარწმუნოებაზე. აშკარაა, რომ აქ საქმე ეხება არა, ვთქვათ, წარმართობიდან სპარსთა რელიგიაზე, მაზდეანობაზე გადასვლას, არამედ ქრისტიანობიდან წარმართთა სარწმუნოებაზე გადასვლას, რადგან იოანე მალალა ამბობს „გადავიდა ელინთა სარწმუნოებაზე" (φυγὼν τὸ τῶν Ἑλλήνων δόγμα), რაც არ შეიძლება სპარსულ რელიგიას ნიშნავდეს, არამედ სწორედ წარმართობას გულისხმობს. მაშასადამე, ლაზეთის სამეფო სახლის წარმომადგენელი წათე თავდაპირველად ქრისტიანი ყოფილა, შემდეგ იმის შიშით, რომ კავადი მას ლაზეთის მეფედ არ დანიშნავდა, იგი გადასულა წარმართობაზე, ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს, შეცვლილი პოლიტიკური სიტუაციის გავლენით, ბიზანტიის იმპერატორის ვასალობა ურჩევია და ხელახლა გაქრისტიანებულა. მაშასადამე, იოანე მალალას ამ ცნობიდან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ ლაზეთის სამეფო კარზე ქრისტიანობა პირველად მხოლოდ 523 წ. ყოფილიყოს მიღებული.

იოანე მალალა VI ს. მოღვაწეა. როგორც მისი ნაშრომიდან ჩანს, იგი იმპერატორების ანასტასი I, იუსტინე I, იუსტინიანე I და იუსტინე II-ის თანამედროვეა, ე. ი. თანამედროვე სწორედ ზემოაღწერილი მოვლენებისა. ამასთან მისი „ქრონოგრაფი" წარმოადგენდა

[1] Joann. Malala, Chronogr., XVII; G., III, 263—264.

ერთერთ ძირითად წყაროს როგორც „პასქალური ქრონიკის“ ავტორისთვის, ისე თეოფანე ჟამთაღმწერლისათვისაც[1]. ამდენად ცხადია, რომ ორი უკანასკნელი წყაროს ცნობებთან შედარებით იოანე მალალას მონაცემებს აშკარა უპირატესობა უნდა მიენიჭოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ არ არსებობს რეალური საფუძველი მტკიცებისათვის, თითქოს ლაზეთის სამეფო სახლის გაქრისტიანება და, მაშასადამე, ლაზეთში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მხოლოდ 523 წ. მოხდა. პირიქით, იოანე მალალას ცნობა საფუძველს გვაძლევს ვაღიაროთ, რომ ლაზეთის სამეფო სახლის გაქრისტიანება ამ თარიღზე ადრე უკვე მომხდარი ფაქტია.

ამ მოსაზრებას, ჩვენი აზრით, მხარს უჭერს კიდევ ერთი ცნობა. პროკოპი კესარიელი „De bello Gothico“-ს VIII წიგნში წერს: „აფსილები ლაზების ქვეშევრდომნი არიან და ისინი ძველითგანვე ქრისტიანები იყვნენ, როგორც სხვა დანარჩენი ტომებიც, რომლებიც მე ამ წიგნში მოვიხსენიე“[2]. ამ წიგნში კი პროკოპი პირველ რიგში და ყველაზე ვრცლად სწორედ ლაზებზე ლაპარაკობს, მაშასადამე, „ძველთაგანვე ქრისტიანებში“ იგი პირველ რიგში სწორედ ლაზებს გულისხმობს. ცხადია, VI ს. მწერალი პროკოპი კესარიელი ლაზებზე ვერ იტყოდა, რომ ისინი ძველთაგანვე ქრისტიანები არიანო, მათი ოფიციალური გაქრისტიანება რომ მხოლოდ VI ს. 20-იან წლებში მომხდარიყო.

მაინც როდის უნდა ვივარაუდოთ ლაზეთის გაქრისტიანება, ქრისტიანობის აქ ოფიციალურ რელიგიად აღიარება.

სპეციალისტთა ყურადღება კარგა ხანია მიიპყრო V ს. ისტორიკოსის პრისკე პანიონელის ცნობამ ლაზეთის მეფე გუბაზის შესახებ, რომელიც V ს. 60-იან წლებში, რომაელთაგან განდგომის შემდეგ კონსტანტინეპოლში ჩავიდა. პრისკე გადმოგვცემს, რომ სპარსულ ტანსაცმელში გამოწყობილი და მიდიური წესის მიხედვით მეშუბეების თანხლებით მოსული გუბაზი კარისკაცებმა ჯერ გაჰკიცხეს ამბოხებისათვის, ხოლო შემდეგ კეთილგანწყობილად მოეპყრნენ. „გუბაზმა,—წერს პრისკე,—მოხიბლა ისინი თავისი სიტყვა-პასუხით და საქრისტიანო ნიშნების ტარებით“[3].

ს. ჯანაშია ვარაუდობდა, რომ ეს ცნობა „ვერ გამოდგება იმის

---

[1] K. Krumbacher, Geschichte des byzantinischen Literatur, München, 1897, გვ. 475; ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, 1959, გვ. 435—436, 440.

[2] Procop., De BG., VIII, 2, G., II, 128, შეად. გვ. 118—128.

[3] Prisc. Pan., fr. 34, G., I, 259.

საბუთად, რომ ლაზიკის სამეფო სახლი საბოლოოდ გადასული იყო ქრისტიანობის მხარეს. შესაძლოა ლაზიკის მეფის მხრით ეს ერთგვარი ხერხიც ყოფილიყო: ის კონსტანტინეპოლში თავის სამართლებლად იყო ჩასული"[1].

ს. ყაუხჩიშვილი, პირიქით, ფიქრობს, რომ პრისკეს ეს ცნობა ნიშნავს გუბაზის ქრისტიანობას და იმას რომ V ს. შუა წლებში ლაზეთი უკვე ქრისტიანული ქვეყანა ყოფილა[2].

მართალია, შესაძლოა გუბაზის მხრიდან ეს უბრალო დიპლომატიური ხერხი ყოფილიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, არც მისთვის, არც ბიზანტიელი კარისკაცებისათვის გუბაზის მიერ ქრისტიანობის ნიშნების ტარებაში უჩვეულო არაფერი იყო და ეს ცნობა შეიძლება ერთი მცირე მინიშნება იყოს ეგრისში ქრისტიანობის გავრცელებაზე გუბაზის დროს. ამასთან ჩვენ კარგად გვესმის, რომ თავისთავად აღებული მარტო ეს ცნობა ვერ გამოდგება გუბაზის უეჭველი ქრისტიანობის სამტკიცებლად.

ამასთან დაკავშირებით გარკვეულ ინტერესს იწვევს, ჩვენი აზრით, აგრეთვე დანიელ მესვეტის ცხოვრებაში შენახული ცნობა იმის შესახებ, რომ როდესაც გუბაზი ჩავიდა კონსტანტინეპოლში, იგი აქ შეხვდა დანიელ მესვეტეს, გაიცნო მისი „მოქალაქეობა ანგელოზებრივი" და შეიყვარა ქრისტიანობა „და ვიდრე აღსრულებამდე არა დასცხრებოდა ამისა ყოფად"[3].

მართალია, აქ ჩვენ წმინდანთა ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ფორმა გვაქვს თხრობისა, როდესაც ყოველგვარი მნიშვნელოვანი მოვლენა, ამ შემთხვევაში გუბაზის გაქრისტიანება, წმინდანის დამსახურებას მიეწერება, მაგრამ თავისთავად საინტერესოა, რომ საეკლესიო ლიტერატურულ ტრადიციაში შემოინახა შეხედულება გუბაზის ქრისტიანობის შესახებ—სულერთია გუბაზი კონსტანტინეპოლში ქრისტიანად ჩავიდა, თუ შემდეგ აქ მიიღო ქრისტიანობა.

ქრისტიანობის ფართო გავრცელებასა და ძლიერებაზე დასავლეთ საქართველოში ლაპარაკობს, სპეციალისტების აზრით, აგრეთვე ის ფაქტი, რომ ნიკეის I მსოფლიო კრებას ესწრებოდა „პიტიუნტის ეპისკოპოსი სტრატოფილე"[4].

ამ ცნობის საფუძველზე ჯერ კიდევ 1948 წ. ს. ყაუხჩიშვილმა აღნიშნა დასავლეთ საქართველოში ძლიერი ქრისტიანული ორგანიზა-

---

[1] ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 230.

[2] G., I, 252—253.

[3] К. Кекелидзе, Историко-агиографические отрывки, Хр. В., 1913 II, 1, გვ. 188.

[4] G., I, 2—4.

ციის არსებობა[1]. განსვენებულმა კორნელი კეკელიძემ უარყო ამ ცნობის მნიშვნელობა დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრების დროის გარკვევისათვის. კ. კეკელიძე აღნიშნავდა: „ავიწყდებათ ის გარემოება, რომ ბიჭვინტის ეპარქია იმ დროს იყო ერთი იმ ეპარქიათაგანი, რომელიც შავი ზღვის აღმოსავლურ სანაპიროზე დაარსებულნი იყვნენ ბერძნების მიერ ბერძნული კოლონიების სარწმუნოებრივი საჭიროებისათვის"[2].

ვფიქრობთ, რომ დღეს ამგვარი მტკიცებისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არც ერთ ძველ წყაროში პიტიუნტი-ბიჭვინტა ბერძნულ ახალშენად არ არის დასახელებული და ბიჭვინტის მითვლა ე. წ. ბერძნული კოლონიებისადმი, რასაც ჩვენ ზოგიერთ ნაშრომებში ვხვდებით, ნამდვილად გაუგებრობაზეა დამყარებული.

ამას გარდა, უკანასკნელი წლების არქეოლოგიურმა გათხრებმა კიდევ უფრო დაადასტურეს ქრისტიანობის დიდი ხვედრითი წონა აწინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე IV—V სს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ამ პერიოდის ეკლესიების აღმოჩენა ბიჭვინტაში, ქრისტიანული წარწერა ბიჭვინტის ტაძრის მოზაიკაზე, IV—V სს. დათარიღებული ჯვრის გამოსახულებით შემკული წითელლაქიანი ჭურჭლის აღმოჩენა იგივე ბიჭვინტაში[3].

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ქრისტიანობის ფართო გავრცელების დამადასტურებელი ნიშნები კარგად ჩანს არა მარტო ბიჭვინტაში, არამედ აბაზგიის შიდა რაიონებშიაც. კერძოდ, წებელდის ნეკროპოლზე აღმოჩენილია კერამიკული ჭურჭელი და მინის სასმისები, რომლებიც ჯვრის გამოსახულებით არის შემკული. აქვეა ნაპოვნი IV ს. დათარიღებული ვერცხლის მედალიონი ქრისტიანული წარწერით — „ერთარსი ღმერთი, მშველელი შემწირველთა" — და ოქროს პატარა ჯვარი[4]. წებელდის ნეკროპოლის სამარხთა უმეტესობის დაკრძალვის წესიც წმინდა ქრისტიანულია[5].

ყოველივე ეს უდავოდ უნდა მოწმობდეს იმას, რომ ბიჭვინტის

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, გვ. 42.

[2] კ. კეკელიძე, იბერიის ქრისტიანიზაციის საწყისებთან, ეტიუდები, III, 1955, გვ. 16—22.

[3] ო. ლორთქიფანიძე, ბიჭვინტის წითელლაქიანი კერამიკა, გვ. 250—251.

[4] М. М. Трапш, Некоторые итоги археологического исследования Сухуми в 1951—1953 гг., СА, XXIII, 1955, გვ. 272—273.

[5] М. М. Трапш, О некоторых итогах археологических исследований в с. Цебельда Сухумского района, ТАИЯЛИ, т. XXXII, 1961, გვ. 187; З. В. Анчабадзе, История и культура древней Абхазии, გვ. 227—228.

ეპისკოპოსი პირველ რიგში სწორედ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელია. მაგრამ, საქმე ისეა, რომ ბიქვინტასა და მის შემოგარენში ქრისტიანობის ესოდენი გავრცელება და სიმყარე მაინც ვერ გამოდგება ლაზეთში ამ დროისათვის ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადების საბუთად, რადგან პოლიტიკურად ეს ტერიტორია ლაზეთის სამეფოში IV ს. მიწურულამდე არ შედიოდა.

მაგრამ, ჩვენ ხელთ არის ერთი ნიშანდობლივი ცნობა, რომელსაც ვფიქრობთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი საკითხისათვის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს გელასი კვიზიკელის ცნობა: „იმავე ხანებში ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მიწაწყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამდე ის არ სწამდათ“[1].

დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ გელასი კვიზიკელს V საუკუნის ბოლოს შეუდგენია „საეკლესიო ისტორია“ და მის ძირითად წყაროს გელასი კესარიელის ნაშრომი წარმოადგენდა. როგორც გარკვეული აქვს ან. გლასს ლაზთა იბერებთან ერთდროული მოქცევის შესახებ ცნობა არ მოიპოვება არც ერთ სხვა საეკლესიო ისტორიაში, რომელიც კი იბერიის გაქრისტიანებას ეხება (სოკრატე. სოზომენე, თეოდორიტე კვირელი, ნიკიფორე კალისტოსი). არა აქვს იგი არც გელასი კესარიელის ლათინურად მთარგმნელს—რუფინუსსაც[2], ამიტომ შესაძლოა მართალი იყოს ივ. ჯავახიშვილი. რომელიც აღნიშნავს, „რომ ცნობა ლაზების იმავე დროს მოქცევის შესახებ გელასი კესარიელის ნაშრომში არ უნდა ყოფილიყო და თვით გელასი კვზიკელის საკუთარი დანართი უნდა იყოს“[3].

მაგრამ ასეთ შემთხვევაშიაც ეს ცნობა ბევრის მეტყველია: ცხადია, რომ V ს. ლაზეთის გაქრისტიანება დიდი ხნის მომხდარ ფაქტად და იბერიის გაქრისტიანების თანადროულ, ე. ი. IV ს. მოვლენად იყო მიჩნეული.

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეგრისის (ლაზეთის) გაქრისტიანება, ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად გამოცხადება შეუძლებელია VI ს. 20-იანი წლებით იყოს დათარიღებული და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ მოვლენას IV ს. ჰქონდა ადგილი, ე. ი. დაახლოებით იმავე ხანებში, როდესაც იბერიაში.

---

[1] G., I, 166.

[2] A. Gllas, Die Kirchengeschichte des Gelasios von Kaisareia die Vorlage für die beiden letzten Bücher der Kirchengeschichte Rufins, 1914, IV, გვ. 50.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 230—231.

ИСТОРИЯ ЭГРИССКОГО (ЛАЗСКОГО) ЦАРСТВА С ВОЗНИКНОВЕНИЯ ДО V В. Н. Э.

Резюме

В VI—I вв. до н. э. на восточном побережье Черного моря существовало Колхидское царство, которое объединяло проживающие здесь различные картвельские (мегрело-чанские) и некоторые абхазские племена. В конце II или начале I в. до н. э. это государство было завоевано царем Понта Митридатом VI, а в 60-ых годах I в. до н. э. оно превратилось в подвластную Риму страну, то входя в состав вассальных царств, то непосредственно подчиняясь римскому провинциальному управлению.

Во II в. н. э. на территории древнего Колхидского царства возникло несколько политических единиц. По сведениям проконсула Каппадокии Флавия Арриана, восточное побережье Черного моря, от Трапезунта до района Диоскурии-Севастополиса (нын. Сухуми) было заселено племенами колхов, саннов или же дрилов, макронов и гениохов, зидритов, лазов, апсилов, абасков и санигов.

Колхи и санны (дрилы) жили на территории, входящей в состав провинции Каппадокии, макроны и гениохи были объединены в одно царство, которое охватывало территорию от нын. р.Фуртуна-су или Абовице до района устья р. Чороxи, причем, крепость Апсар (совр. Гонио) находилась на ее территории. От района устья Чороxи примерно до нынешнего Кобулети проживали зидриты, подвластные в то время царю Иберии (Картли) — Фарсману II.

Центральную часть Западной Грузии, по обе стороны р. Риони (Фазиса) занимало царство лазов, севернее их находились царства апсилов, абасков и санигов; территория последних, начинаясь у г. Севастополиса, простиралась на северо-запад до нын. р. Шахе (Ахеунт Арриана).

По данным Арриана, цари всех названных политических образований были утверждены на престоле римскими императорами Траяном (98 — 117) и Адрианом (117 — 138). Это позволяет приурочить возникновение этих царств к периоду

не позднее конца I в. н. э. Однако некоторые сведения источников дают основание предполагать, что они возникли еще раньше, примерно в середине I в. н. э.

Относительно условий образования этих государств и их характера в научной литературе высказаны различные мнения.

Нам этот процесс представляется в следующем виде: древнее Колхидское царство никогда не являлось внутренне прочным, монолитным объединением. Входящие в его состав племена всегда сохраняли некоторую независимость, хотя и были отдельными административными единицами Колхидского царства, т. н. «скептухиями». Эти скептухии, возникшие на основе доклассовых племенных организаций, объединяли своеобразные территориально-этнические группы. Пока государственная власть Колхидского царства имела достаточно сил, она подчиняла себе «скептухов» и, в этих условиях, они представляли собой подвластных царю правителей административных единиц, но и тогда «скептухи» сохраняли тенденцию превратить свои скептухии в независимые царства (М. П. Инадзе).

После подчинения Римом Колхиды, эти тенденции скептухов были в значительной мере ограничены; пока власть Рима на Востоке была более или менее прочной, она сковывала стремления правителей названных территориально-этнических единиц к независимости. Но в I в. н. э. Рим был вынужден в значительной мере уступить свои позиции на Востоке, его завоевательный потенциал был исчерпан (Ф. Энгельс), вместо непосредственных широких завоеваний, Рим вынужден ограничиться созданием вдоль своих восточных границ системы полузависимых царств, игравших роль своеобразного «буфера» между Римом и Парфией.

К этому надо добавить явную активизацию Иберии с начала II в. н. э., что нередко выявлялось в опасных для Рима актах. Достаточно указать, например, на захват Фарсманом II территории зидритов. Тем самым царь Иберии вклинился в подвластные Риму области. Соседство такого неспокойного и нередко враждебно настроенного правителя было, конечно, для Рима весьма нежелательным.

В такой ситуации вышеназванные тенденции правителей отдельных областей Западной Грузии должны были усилиться. Этому способствовало растущее недовольство римской экспансией среди местного населения, выразившееся хотя бы в восстании Аникета при Веспасиане (69 — 79). В этих условиях Рим уже не в силах сопротивляться тенденциям местных правителей к независимости. Перед ним встает опасность полной потери Западной Грузии. Поэтому император-

ская власть вынуждена признать фактическую независимость правителей территориально-этнических единиц Западной Грузии, для того, чтобы сохранить хотя бы формальное сюзеренство и некоторое влияние в Колхиде.

Таким образом, реальной причиной и объективными условиями возникновения на территории Колхиды отдельных царств были, по нашему мнению, невозможность борьбы императорской власти с сепаратистскими тенденциями местных правителей, активизация местного населения и усиление Иберии.

Однако надо помнить, что в сохранении некоторой зависимости от Рима и хотя бы в наличии в некоторых приморских крепостях римских гарнизонов были заинтересованы и правящие круги названных царств. Это объясняется опять-таки усилением агрессивных стремлений Иберийского царства и активизацией северных племен (джиков, гениохов).

Одним из самых сложных вопросов является вопрос о социальном характере названных царств. Принимая во внимание общее развитие грузинского общества этой эпохи и положения, выдвинутые за последнее время рядом ученых относительно социального характера древневосточных государств, мы склонны считать царства Западной Грузии данного периода классовыми обществами переходного типа, для которых характерно сосуществование различных форм эксплуатации — значительных пережитков первобытнообщинного строя, рабства и зачатков феодальных отношений. Однако этот вопрос не может быть признан окончательно решенным и требует дальнейшего изучения.

• • •

Относительно истории Лазского царства во II—III вв. мы располагаем сравнительно скудными сведениями. В это время оно простиралось примерно от нын. Кобулети до р. Хоби.

На Востоке территория Лазики не достигала Сурамского хребта. Область западнее этого хребта (Аргвети грузинских источников), как видно по крайней мере со II в. н. э., входила в состав Картлийского царства.

По сведениям Арриана, Эгрисское царство находилось в вассальной зависимости от Рима: цари Лазики получают трон от императора, а в прибрежных пунктах стоят римские гарнизоны.

Римское правительство особо заботится об укреплении г. Фазиса. Это вызвано, как видно, активизацией «варварских» племен (гениохов, скифов, алланов), но вместе с тем

служит и защите римских гарнизонов от опасности нападения со стороны местного населения Западной Грузии. Особый интерес вызывает указание Арриана на наличие в Фазисе колонии ветеранов. Как видно, римское правительство поселяет здесь ветеранов для создания прослойки, на которую, в случае осложнений, Рим может опереться.

Римские гарнизоны стояли также в Апсаре (нын. Гонио) и Севастополисе (нын. Сухуми).

Назначением этих гарнизонов были защита римских владений от набегов северокавказских и причерноморских племен, а также от усилившейся Иберии и обеспечение римского влияния в Западной Грузии, население которой все сильнее выказывало тенденции к независимости.

Из фактов политической истории Лазского царства этого периода обращает на себя внимание рассказ Зосима об опустошении готами побережья Западной Грузии в 50-ых годах III в. В борьбе против готов активно участвует местное население Западной Грузии. Интересно, что, по рассказу Зосима, готы смогли во время второго похода захватить Питиунт и Трапезунт, но потерпели поражение у Фазиса. Можно полагать, что в этом факте проявляется усиление Лазского царства.

Новому нашествию Лазское царство подверглось в 90-ых годах III в., когда боспорский военачальник Савромат, победив лазов, дошел до р. Галиса (Кизил-Ирмак). Вскоре сарматы были вынуждены вернуться в Боспорское царство. В данном случае интересно, что при описании этих событий в Лазике не упоминаются римские войска. Надо полагать, что к этому времени римские гарнизоны уже не стоят в прибрежных городах Лазики.

Со II в. н. э. в Западной Грузии заметен подъем городской жизни. На месте старых городов, пришедших к концу эпохи эллинизма в упадок, возникают новые города—Севастополис, Ансар, Питиунт, а во внутренних областях Лазики — Сарапанис (нын. Шорапани), Мехлессос (позднейший Мохирис) и ряд крупных населенных пунктов, упоминаемых Птолемеем

Во II — III вв. в Западной Грузии ясно вырисовывается определенное оживление торговли, как внутренней, так и внешней. Особенно усиливаются торговые взаимоотношения с Римом и его провинциями.

Среди импортных изделий значительное место занимает краснолаковая керамика. Анализ найденных в Западной Грузии экземпляров краснолаковой посуды позволяет утверждать, что ввозилась она, в основном, во II — III вв. из производственных центров Малой Азии.

В большом количестве находят при раскопках (Пицунда, Сухуми, Гонио) т. н. керамическую тару в виде импортных амфор, производственными центрами которой являются, в основном, южнопонтийские города (Синоп, Гераклея).

Изучение нумизматического материала показывает, что в первые века н. э. Западная Грузия была тесно связана экономически с провинцией Каппадокия. Состав монетного обращения здесь идентичен (кессарийское серебро, общеимперские монеты, провинциальные медные монеты — в частности трапезунтские).

Отдельно следует отметить денежное обращение восточной части Западной Грузии. В отличие от прибрежных районов, состав денежного обращения здесь довольно пестрый; наряду с кассарийским серебром и общеимперскими монетами интенсивно обращаются парфянские драхмы и подражания статерам Александра Македонского. Монетный состав этой области Западной Грузии совершенно идентичен с иберийским. Это указывает на довольно тесные экономические связи западной части Лазики с Иберией.

* * *

Начиная с IV в., Лазское царство значительно усиливается. Об этом свидетельствует, в первую очередь, его территориальное расширение. Данные письменных источников (Аммиан, Аноним V в., Прокопий Кессарийский) свидетельствуют, что в южном направлении Лазское царство достигло района устья р. Чорохи, присоединив территорию, которую занимали во II в. подвластные Иберии племена зидритов.

Значительно расширилось к концу IV в. Лазское царство и в северном направлении. В его состав вошли царства апсилов и абазгов, на определенное время — царство санигов; подвластными царю лазов стали сваны, миссимианцы и население области Лечхуми (Сквимия).

Усиление Лазского царства не противоречило интересам Восточноримской (Византийской) империи. В условиях ослабления позиций Рима на Востоке (ряд неудач в войне с Персией) и активизации готов и позднее — гуннов, Византия нуждалась в сильном союзнике на Востоке. Но, вместе с тем, усиление Лазского царства было все же связано с ослаблением империи.

В III — IV вв. Римская империя уже не в состоянии самостоятельно решать все проблемы, возникающие перед ней. Империя вынуждена примириться со стремлениями правителей Лазики к независимости и территориальному расширению. Это было логическим продолжением постепенного ослабления позиций Рима на Востоке начиная с первых веков н. э.

То обстоятельство, что в роли объединителя Западной Грузии выступило именно Лазское царство, было обусловлено, в первую очередь, его ведущим экономическим положением. Являясь самой плодородной частью Западной Грузии, Лазское царство экономически быстро развивалось, что и способствовало его политическому усилению.

Царь Лазики по-прежнему считался вассалом византийского императора. Но эта зависимость была чисто формальной. В IV — V вв. нигде в Западной Грузии уже не видно римских гарнизонов. Единственным проявлением этой зависимости являлся обычай коронации лазского царя — инсигнии власти он получал от императора.

Царь лазов, со своей стороны, так же имел вассалов. Правители абазгов, сванов и других подвластных Лазскому царству областей, назначались лазским царем, платили дань и, по всей вероятности, были обязаны выставлять войска, в частности для защиты северных границ Лазики. Что касается Апшилии, она, как видно, непосредственно вошла в состав Лазского царства и управляли ею назначенные лазским царем чиновники (магистры).

Усиление Эгрисского царства продолжалось сравнительно недолго. К 70-ым годам V в. оно явно ослабело, что выразилось в потере Сванети. Ослабление это было вызвано обострением взаимоотношений с Византией. Воспользовавшись осложнениями в самой Византии (нашествия вандалов, гуннского вождя Аттилы, борьба с несторианством и монофизитством, борьба между отдельными группировками при императорском дворе), царь лазов Губаз восстал против императора Маркиана (450 — 457 гг.) и пытался даже заручиться помощью Ирана. За этим последовала война, а затем длительные переговоры, закончившиеся отказом Губаза от престола в пользу сына Цате.

Видно этими осложнениями воспользовались правители сванов и освободились от вассальной зависимости.

О дальнейших событиях истории Лазики мы ничего не знаем вплоть до 20-ых годов VI в.

* * *

Для характеристики экономического развития Лазского царства в IV—V вв. мы располагаем весьма скудными сведениями. Отдельные указания письменных источников частично восполняются археологическим материалом.

В эту эпоху, как видно, в Западной Грузии довольно высокого уровня развития достигает земледелие, в частности

полеводство и виноградарство. Значительное место в хозяйственной жизни занимает также скотоводство, обработка лесных массивов и т. д.

Более определенные данные имеются о развитии торговли, в частности внешней торговли. Наряду с более поздними византийскими авторами об этом свидетельствует хотя бы дорожная карта, составленная в IV в. римским картографом Касторием (т. н. Tabula Peutingeriana), на которой указаны торговые пути, связывающие Западную Грузию с восточными провинциями Византийской империи, а также с Арменией.

Археологический материал, добытый, в основном, в Пицунде и Сухуми, свидетельствует о торговых взаимоотношениях с южнопонтийскими городами (Синопа), Егейским миром, откуда поступают амфоры, краснолаковая посуда, а также с другими восточными и западными центрами (Кёльн, Александрия), откуда поступали изделия из стекла.

Здесь же надо отметить, что, по сравнению со II—III вв., с III и в особенности с IV в. значительно сокращается ввоз импортной керамики. Это объясняется упадком керамического производства в причерномо́рских городах и разорением городов Боспора и Трапезунта после нашествия готов. Но, наряду с этим, данное обстоятельство следует объяснить также развитием местного керамического производства, постепенно все успешнее конкурирующего с импортными изделиями. Однако это вовсе не значит, что с IV в. вообще прекращаются торговые связи Западной Грузии с внешним миром. На это указывает в частности нумизматический материал.

Усиление Эгрисского царства способствовало дальнейшему развитию городской жизни. Это, в первую очередь, выражалось в довольно широкой строительной деятельности в таких городах, как Севастополис, Питиунт, а во внутренних районах Лазики — в Археополисе, Сканде, Шорапани, Родополисе.

Знаменательным фактом является усиление в прибрежных городах Лазики местного элемента. Об этом свидетельствует увеличение местного керамического производства, которое, успешно используя опыт иноземных мастеров, достигает довольно высокого уровня развития.

Прибрежные города Лазского царства в IV — V вв. являются довольно развитыми ремесленными и торговыми центрами, для которых характерна ведущая роль местного населения. Это обстоятельство имеет особое значение, поскольку именно к этому времени боспорские города приходят в упадок; после нашествия готов и гуннов они не смогли восстановить свою былую мощь. Города Лазики оказались более жизнеспособными. Это было обусловлено усилением Лаз-

ского царства и тем, что эти города черпали жизненную силу во внутренних районах Лазики.

Что касается социального развития Лазского царства в в IV—V вв., несмотря на скудность источников, мы все же можем говорить о довольно интенсивном развитии элементов феодальных взаимоотношений. Это видно, в первую очередь, в самой политической структуре Лазского царства, а также в развитии церковного хозяйства и в усилении и окончательной победе христианства в Западной Грузии.

* * *

Культурное развитие Западной Грузии в позднеантичную эпоху изучено весьма слабо. Мы не будем касаться целиком этой сложной проблемы, а отметим лишь отдельные моменты, имеющие, на наш взгляд, особое значение.

Культурное развитие населения Лазского царства не отличается какими-либо принципиально новыми явлениями. Культурное развитие как городского, так и сельского населения в основном шло по тому же пути, что и в предыдущую, эллинистическую эпоху: местные традиции, восходящие к древней колхской культуре, органически сливались с западными, римско-византийскими культурными элементами. Это слияние хорошо видно хотя бы на примере керамического производства: используя, копируя римско-византийские типы и формы глиняной посуды, местные мастера украшают свои изделия традиционными местными орнаментами.

Влияние римско-византийской культуры коснулось, в первую очередь, верхушки общества. Местная знать широко пользуется привозной дорогой посудой (краснолаковая керамика, амфоры, стеклянные изделия), причем используется она не только высшими слоями населения приморских городов, но и внутренних районов (Цебельда, гора Парнали близ Кутаиси). Широко пользуется знать также различными украшениями и предметами одежды (фибулы, браслеты, серьги, бусы, пряжки и т. д.).

В этом отношении большой интерес вызывает раскопанная в Ланчхутском районе, в селе Шухути, вилла типа римской villa rustica, являвшаяся несомненно резиденцией богатого лаза, приобщившегося к римской культуре.

Влияние римско-византийской культуры хорошо заметно и на строительном искусстве, как в градостроительстве, где применяются методы, характерные для римско-византийской архитектуры того времени, так и в церковной архитектуре (двухнефная и двухапсидная церковь в Пицунде).

Особое значение при изучении культуры Лазского царства приобретают пицундские мозаики. По стилю и мотивам эти мозаики обнаруживают большую близость к произведениям сирийских и палестинских школ. В этом отношении следует, в первую очередь, отметить изображения «фонтана жизни», которые почти целиком повторяют эллинистические образцы. Аканфовые фризы также имеют много точек соприкосновения с аканфом палестинской школы. Но, вместе с тем, отдельные детали этих мозаик явно восходят к местным художественным традициям и верованиям. Внесение местных элементов в композицию мозаик и некоторые декоративные приемы, чуждые для эллинистического искусства, позволяют отнести Пицундские мозаики к произведениям местной художественной школы мозаистов.

При рассмотрении культуры Западной Грузии интересующего нас периода необходимо коснуться существования близ Фазиса высшей философско-риторической школы. О ней мы узнаем из речи известного философа и оратора Фемистия (IV в. н. э.), который, так же как и его отец, сам обучался в этой школе. Школа эта, как видно, была основана не позднее второй половины III в. н. э.

Поскольку в III—IV вв. в Фазисе, и вообще в Западной Грузии, нельзя предполагать наличие такого числа греческого населения (если оно вообще здесь было), чтобы для него специально была бы основана высшая школа, надо полагать, что здесь училась в основном местная молодежь. Сам факт существования подобной школы в Фазисе доказывает, что для ее организации здесь были необходимые условия и, следовательно, в Западной Грузии надо в то время предполагать высокую культуру философской мысли и риторического искусства. Недаром Фемистий называет эту страну «храмом муз».

И, наконец, еще один важный вопрос. Это распространение в Западной Грузии христианства.

В грузинской историографии до сегодняшнего дня было распространено мнение, что в Западной Грузии христианство было объявлено государственной религией намного позже, чем в Восточной, а именно в 20-ых годах VI в.

Это мнение основывалось на неправильном понимании одного места из летописи Феофана Исповедника, где он рассказывает о том, что в 523 г. царь лазов Цате был крещен в Константинополе.

Однако, как выясняется, у Феофана рассказ об этом событии значительно сокращен. Если же мы обратимся к источнику Феофана Иоанну Малале, то увидим, что царь Цате до этого по политическим мотивам перешел в язычество, а в

523 г. вновь вернулся в христианство и был вторично крещен. Следовательно, Цате был в свое время уже христианином.

В то же время у нас имеется целый ряд указаний, свидетельствующих о том, что задолго до VI в. в Западной Грузии широко было распространено христианство, что уже на I вселенском соборе в Никсе присутствовал епископ Питиунта Стратофил; авторы VI в. (напр., Прокопий Кессарийский) отмечают, что лазы с давних пор христиане и, наконец, автор V в. Галасий Кизикский прямо указывает, что при императоре Константине одновременно приняли христианство иберы и лазы.

Это дает основание считать, что христианство было объявлено государственной религией в Лазике в IV в., т. е. примерно тогда же, когда и в Иберии (Картли).

HISTORY OF THE KINGDOM OF EGRISSI (LAZICA) FROM ITS ORIGIN TO THE 5th CENTURY A. D.

(Summary)

In the 6th—1st c.c. B.C. there existed on the eastern coast of the Black Sea the State of Colchis, which held in unity the different local Kartvel (Megrelo-Chan) and some of the Abkhaz tribes. At the end of the 2nd c. B.C. or the beginning of the 1st c. B.C. it was conquered by Mithradates VI of Pontus, and in the 60s of the 1st c. B.C. it became a subjugated Roman province.

Some political entities came into being in the territory of the ancient Colchis State in the 2nd c. A.D. As Arrian, proconsul of Cappadocia, states the Colchians, Sanni or Drils, Macrones and Heniokhi, Zydritae, Lazi, Apsili, Abaski and Sanigi tribes inhabited the eastern coast of the Black Sea, from Trebizond to the area of Dioskuria-Sebastopolis (modern Sukhumi).

The Colchians and the Sanni (Drils) lived in the territory which constituted part of Cappadocia; the Macrones and Heniokhi were united into one kingdom embracing the space from the modern river Phurtuna-su or Abovitse up to the estuary of the Chorokhi, and the fortress of Apsar (modern Gonio) was located within the territory. The Zydritae settled on the land stretching from the Chorokhi estuary approximately to modern Kobuleti; in those days they were under the rule of Pharsman II, king of Iberia (Kartli).

The central part of western Georgia, on both sides of the Rioni (Phasis), was inhabited by the Lazi tribe; to the north were the kingdoms of the Apsili, Abaski and Sanigi, the territory of

the latter stretching from Sebastopolis in the north-westerly direction up to the modern Shakhe river.

These kingdoms originated approximately in the middle of the 1st c. A.D.

Differing opinions are recorded in scholarly literature concerning the conditions of the birth of these states and their character.

This is the present writer's view-point: the ancient state of Colchis could never boast of being internally stable or monolithic. The tribes that made up the state always retained some independence, though they represented separate administrative divisions of it, the so-called "skeptukhii". These divisions, formed on the basis of pre-class tribal organizations, combined peculiar territorial-ethnic groups. While the power of the Colchian state was sufficiently strong, it held these administrative divisions in submission, and under the circumstances the "skeptukhii" were ultimately dependent on the king, but they tried all the while to turn their "skeptukhii" into independent kingdoms.

